სამაგიეროდ უდავოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ლეონარდო პირველი მივიდა პასკალის კანონის ფორმულირებამდე; მან სკადა მდინარის კალაპოტში წყლის მოძრაობის კანონის დადგენა; მან პირველმა მოგვცა მეცნიერული ახსნა მთვარის ფერფლისებური სინათლისა; ლეონარდომ პირველმა აღწერა კაპილარობის მოვლენა; მან პირველმა განსაზღვრა მრუდხაზოვანი ბერკეტის წონასწორობის პირობები და დაადგინა ძალის მოძენების თანასწორობა; მან პირველმა შეისწავლა განსხვავება სრიალის ხახუნსა და გორვის ხახუნს შორის. ხახუნის შესწავლის სფეროში ლეონარდო და ვინჩი განსაკვირვებელ შედეგებს დებულობა და, თუ ისინი ზუსტნი არ არიან, ყოველ შემთხვევაში, იმ დროისათვის საესებით დამაკმაყოფილებელი იყო და შემდეგი ორი საუკუნის განმავლობაში უკეთესი შედეგი არავის მიუღია. ეს შრომები, სანწუხაროდ, დღემდე არ არის ჯერონად შესწავლილი მკვლევართა მიერ. ლეონარდოს შრომები ხახუნის შესახებ მისი გაბედული, კვლევითი რევოლუციური მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს.

ლეონარდომ პირველმა შეისწავლა ფრინველთა ფრენის მექანიზმი. მისი ბიოგრაფები ვადმოგვცემენ, რომ იგი ხშირად სტუძარი ყოფილა მაზრებისა, სადაც ცოცხალ გარეთ ფრინველებს ყიდულობდა, შემდეგ სახლში მიჰყავდა და იქ მათ თავისუფლებას ანიჭებდაო. ამ გარემოებას ბიოგრაფები ხსნიან, ერთი მხრით, ლეონარდოს ჰუმანურობით, ხოლო, მეორე მხრით, მისი სიყვარულით ფრინველების მიმართ. სინამდვილეში აქ არც ერთსა და არც მეორეს ადგილი არა ჰქონია. ლეონარდო ფრინველის გაშვების დროს დაძაბული



უყვირდებოდა ფრენის დაწყებას და შემდეგ მის განვითარებას, ეხვედრებოდა და სწავლობდა ფრინველის ფრენის მექანიზმს. ეს დასკვნა გამართლებულია ვინჩისავე ნახატებით, რომლებიც მას თავის შესანიშნავ უბის წიგნაკში აქვს მოცემული. აქ ჩვენ ვხედავთ ფრინველებს სხვადასხვა მდგომარეობაში: აღმავალ, დამავალ, ჰორიზონტალურსა და სხვა მდგომარეობაში. ნახაზებს ქვეშ ვკითხულობთ:



„ვიღრე მფრინავ არსებათა შესახებ დასწერდე, შეადგინე წიგნი იმ უაღრესად მსუბუქი სხეულების შესახებ, რომელნიც ჰაერში ქარის დახმარების გარეშე აღიან, ხოლო მეორე — იმ სხეულების შესახებ, რომელნიც ჰაერში ქარის დროს აღიან“. შემდეგ: „მე ჩემს ტრაქტატს ფრინველთა შესახებ ოთხ ნაწილად დავყოფ: პირველი აღწერს ფრენას ფრთების აქნევით; მეორე — ფრენას ფრთების აქნევის გარეშე, ჰაერის მოქმედებით; მესამე — ფრენას საზოგადოდ, როგორც, მაგალითად: ფრინველების, ლამურების, თევზებისა და მწერებისას; უკანასკნელი წიგნი შეეხება ხელოვნურ ფრენას“.

თვით ფრენის მექანიზმი ლეონარდოს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი, მოგვყავს მისივე სიტყვები:



„ფრინველთა ფრთების მიერ შესრულებული მარტივი მოძრაობა აურონის დროს უფრო ადვილია. ვიდრე ჩამოფრენის დროს. მოძრაობის დიდესს მსუბუქე ორი ნიჭებით აიხსნება: პირველი იმაში მდგომარეობს, რომ სიმძიმის გამო დაშვების დროს ფრთები ზევით იწევა; მეორე იმაში მდგომარეობს, რომ ფრთების გარეგანი ნაწილი ამოხეჩილია, ხოლო შიგნითა ნაწილი შეხეჩილი; ამიტომ ფრთები ზევით აწევის დროს ჰაერს უფრო ადვილად გამოადევებს, ვიდრე ქვეით დაშვების დროს, როდესაც შეხეჩილი ფრთის ქვეშ მოქცეული ჰაერი უფრო იკუმშება, ვიდრე გამოიდევნება.“

ჰაერში ფრინველი სხეულს მართავს თავისი ფრთის ნაპირით, მსგავსად ნიჩბის ბოლოსი ან მკუთარავის ხელისა წყალში. ჰაერი უფრო ნელა მოძრაობს, ვიდრე ფრინველის ფრთა; ამიტომ ფრინველის სხეულს ქვეშ ჰაერი მკვრივი ხდება და მას დიდ წინააღმდეგობას უწევს. ამავე დროს ჰაერი მიისწრაფის სიციარიელისაგან, რომელსაც ფრინველი თავისი სხეულის უკან სტოვებს, გარსის მსგავსად გარს ეხვევა და უკნიდან წინ უბიძგებს. ამგვარად, ფრინველი, ერთი მხრით, ჰაერს ამკვრივებს, რაც მას ქვევიდან ეშველება, ხოლო, მეორე მხრით, ქმნის ჰაერის დინებას, რომელიც მას უბიძგებს“.

„ყოველთვის, როცა კი ფრინველი მოისურვებს, — წერს ლეონარდო და ვინჩი, — მას შეუძლია ჰაერში ხან დამძიმდეს და ხან დამსუბუქდეს იმისდა მიხედვით, თუ ფრთის ფართობის რა სიდიდეს დაუპირისპირებს ჰაერის წინააღმდეგობას. მართლაც, სწრაფი ვარდნის შესაჩერებლად ფრინველი ფრთებსა და კუდს შლის ქოლგის მსგავსად, ხოლო ვარდნის დასაჩქარებლად ფრინველი ფრთებს სხეულზე მიიბჯენს“.

ლეონარდოს გამოკვლევები ფრენის შესახებ უფრო ღრმა და გონებაშეხილურია, ვიდრე ორი საუკუნის შემდეგ ბორელისა და სამი საუკუნის შემდეგ კელეის მიერ წარმოებული გამოკვლევები. ლეონარდომ დაადგინა, რომ ფრენისათვის ჰაერი ხელისშემშლელი კი არ არის, არამედ აუცილებელ პირობას წარმოადგენს; ფრინველს ფრენა იმიტომ შეუძლია, რომ იგი ჰაერზე მძიმეა და ამიტომ მას არ ემორჩილება, იგი სძლევს ჰაერის წინააღმდეგობას ნაწილობრივ თავისი წონის დახმარებით.

„ბუნება გონებაშეხილია, — წერს ლეონარდო და ვინჩი, — ფრინველის სხეულისაგან დაამზადა მანქანა, რომელიც საოცრად არის შეგუებული მის მიზნებთან, ბუმბული ბელოვნურად არის განლაგებული... როცა ფრთა ზევით აიწეეს, ბუმბული იშლება და ჰაერი ადვილად გადის მასში; როცა ფრთა ქვეით ჩამოდის, მასში ბუმბულები ერთმანეთს ეკვრის და ჰაერი ძლიერად ამკვრივდება.“

აღსანიშნავია, რომ ლეონარდო და ვინჩის არა ჰქონია იდეა ადამიანის საკუთარი ფიზიკური ძალით ჰაერში ფრენისა. იგი ოცნებობდა ისეთი აპარატის დამზადებაზე, რომელიც ადამიანს ჰაერში ააფრენდა. აი რას წერს იგი ამის შესახებ:

„შენ უნდა იცოდე, რომ ფრინველის კუნთები და მყესები შეუდარებლად უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანისა, რადგან მკერდის აუარებელი კუნთები



განკუთვნილია ფრთების მოძრაობის გასაძლიერებლად, ისევე როგორც მტკვრის მთლიანი ძვალი აძლიერებს მისი ფრთების მოძრაობას. ძაღვის სახსრებში რაოდენობა ფრინველში იმატომ არის დაგროვილი, რომ საჭიროების მიხედვით უნდა გააორკეცოს და გაასამეცოს თავისი ფრენის სწრაფება, როდესაც იგი თავდასხმას გაუბრძნის ან თვით ესხმება თავს თავის მსხვერპლს... ადამიანსაც ფეხებში გაცილებით უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე ეს მას სჭირდება საკუთარი სიმძიმის დასაკავებლად“.

ლეონარდო და ვინჩის ამ გამოკვლევებში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მან დააგეგმარა თვითმფრინავი, მაგრამ ცხადია, რომ მისი აპარატი ვერ აფრინდებოდა იმის გამო, რომ აპარატს ძრავი არ გააჩნდა.

ლეონარდო და ვინჩის მთელი ცხოვრება დაკავშირებული იყო ამქვეყნიურობასთან, პრაქტიკოსთან. ცნობილია მისი რამდენიმე პროექტი არხის გაყვანისა, ლეონარდოს ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ იგი გატაცებული ყოფილა სამხედრო იარაღების, მანქანებისა და მოწყობილობის საკითხებით. მის რეველში მრავალი საამისო პროექტია ჩახსული. იქვეა აღმაზა და ჩახსული მილანისა და მისი მიდამოების გამაგრების პროექტიც. იგი აუბჯობებდა სპარტიულერიო იარაღებს, სატყორცნ მანქანებს, ზღვაზე ომის წარმოების საშუალებებს და სხვ. მაგრამ ამგვარ ჩანაწერთა შორის გენიოსის ერთობ ჰუმანური აზრებიც არის გადმოცენული; ლეონარდო წერს:

„როგორ და რატომ არა ვწერ მე ჩემს მეთოდებზე წყალქვეშ იმდენი ხნით დარჩენის შესახებ, რამდენის უსაკებოდ გაძლება შეიძლება? ამას მე არ ვაქვეყნებ ადამიანების ბოროტი თვისებების გამო. იმიტომ, რომ ადამიანები ამ საშუალებას გამოიყენებენ ზღვის ფსკერზე ხალხის საუღელტაღ, გემებს ძირს შეუმტვრევენ და ჩასძირავენ ზედ მყოფ ადამიანებთან ერთად“.

სამწუხაროდ, დღეისათვის ცნობილი არ არის ამ პროექტებიდან ლეონარდოს მიერ რომელი იქნა თვითიალღურად წამოწყებული და, მით უმეტეს, რეალურად განხორციელებული. ყოველ შემთხვევაში მისი სამხედრო-ტექნიკური მიღწევები, როგორც ჩანს, ან გაუგებარი იყო მისი თანამედროვეებისათვის, ან განუხორციელებელი დარჩა მათი სირთულის გამო. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ლეონარდოს ოცნება შემოსენებული პროექტების საშუალებით სახელის მოხვეჭის შესახებ ოცნებად დარჩა. გარდა ამისა, იმ დროს იტალია განუწყვეტელ ომში იყო ჩაბმული საფრანგეთთან და ესპანეთთან. ეს ომი 1494 წელს დაიწყო და ლეონარდოს გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ დამთავრდა. იტალია ამ დროს პოლიტიკურად დაქსაქსულსა და ეკონომიურად დაუსტებულ ქვეყანას წარმოადგენდა. სახელმწიფოს მთელი სახსრები ომის წარმოებასა და კონტრიბუციის დაფარვაზე მიდიოდა, იტალიელთა მთელი ყურადღება მიქცეული იყო უთვალავი კოალიციისა და კავშირის შექმნაზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზნით.

ის, რასაც ჩვენ დღეს ტანკს ვუწოდებთ, ლეონარდო „საომარ ეტლს“ უწოდებდა. აი რასა წერს იგი ამის შესახებ:

„მე შემიძლია გავაკეთო უხიფათო დახურული და შეუღწევი საომარი ეტლები, რომელნიც შეიკრებიან მტრის რიგებში, თავისი არტილერიისგან არღვევენ მათ წყობილებას, როგორც მრავალრიცხოვანიც უნდა იყოს იგი, ხოლო მის კვალდაკვალ დაუბრკოლებლივ იმოძრავენ ფეხოსანი ჯარი ზარალის გარეშე“.

საომარი ეტლის განგონებას ინგლისელები ისაკუთრებენ. მაგრამ მისი გამოგონება არც ინგლისელებს ეკუთვნის და არც ლეონარდო და ვინჩის. დახურული საომარი ეტლები ხმარებაში იყო ჩ. წ.-ა. გაცილებით უფრო ადრე ქალების, ეგვიპტელების, ჩინელების, ბერძნებისა და ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხებში.

მოუხედავად თავისი სუსტი მათემატიკური შეიარაღებისა, მასალათა გამძლეობაში ლეონარდო და ვინჩი მრავალ ამოცანას სწორად წყვეტდა. მანგანათა ნაწილების შესწავლისას სერიოზულ ყურადღებას აქცევდა იმ დროის ტექნიკის მიღწევებს — ქალებსა და მათ სისტემას; მან თავისი მხრით განავეითარა ხრახნის, კბილანისა და ღერძის თეორია, თემცა საკმაო ზუსტი შედეგები ვერ მიიღო.

ლეონარდო და ვინჩის ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ იგი კარგი მუსიკოსი და მომღერალი იყო. უბის წიგნაკის ჩანაწერებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მან მრავალი ღირსშესანიშნავი დაკვირვება აწარმოვა აქუსტიკაში. როგორც ჩანს, ლიუტნაზე (გიტარის მსგავსი საკრავია, რომელიც შუა საუკუნეებში იხმარებოდა, იგი სპარსულ-არაბული წარმოშობისაა, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რაოდენობის სიმს შეიცავდა და უმთავრესად აკომპანიმენტისათვის იხმარებოდა) დაკვირის დროს შენიშნა რეზონანსის ნოვლენა. აი რას წერს იგი ამის შესახებ:

„ზარის დარტყმა მეორე მსგავს ზარში საპასუხო ბგერასა და მცირე რხევას იწვევს, ხოლო ლიუტნას მბგერავი სიმი იწვევს მეორე ლიუტნის შესაბამის სიმის მსგავს ბგერას და მცირე რხევას. ამაში შენ შეგიძლია დარწმუნდე, თუ ლიუტნის მკვლევარი სიმის შესაბამის მეორე უძრავ სიმზე ჩალის ღერს მოათავსებ“.

აღსანიშნავია, რომ ლეონარდოს ნიერ აქ ხსენებული ცდა რეზონანსის დასამტკიცებლად დღესაც გამოაყენება საშუალო სკოლებში ფიზიკის გაკვეთილებზე.

ლეონარდოსათვის ცნობილი იყო, რომ ბგერა ვრცელდება არა მარტო ჰაერში, არამედ სითხეებსა და მყარ სხეულებშიც, ამასთან ბგერა ამ სხეულებში უფრო ნაკლებ ძალას ჰკარგავს, ვიდრე ჰაერში:

„თუ გემს გააჩერებ, — წერს ლეონარდო, — წყალში მიღს ჩაუშვებ და მეორე ბოლოს ყურს მიადებ, გაიგებ იმ გემების ხმაურს, რომელნიც შენგან დიდი მანძილით არიან დაშორებულნი. ხოლო, თუ ანავეს წინაზე გავაკეთებ, მაშინ მოისმენ, რა ხდება შენგან ძალიან შორს“.

როგორც ვხედავთ, ლეონარდოსათვის ცნობილი იყო ბგერის გავრცელების თავისებურება წყალში. ეს მაშინ, როდესაც XVII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისის ფიზიკოსები ამტკიცებდნენ, რომ სითხეებში ბგერის გავ-



რცელბა შეუძლებელია, რადგან იგი არადრეკადი და უკუმშვადი ნივთიერებააო. ეს მცდარი შეხედულება მხოლოდ 1826 წელს იქნა დარღვეული ველი ფიზიკოსის კოლადონის მიერ ჩატარებული ცდების შემდეგ.

ფოტოაპარატი, დღევანდელი გაგებით, შეიძლება თვალს შევადაროთ და, ამგვარად, მხედველობის მექანიზმი, ფიზიკური გაგებით, სრულიად ნათელი იქნება. ასე მარტივი არ იყო წარმოგენა მხედველობის პროცესის შესახებ ძველ საბერძნეთში, მაგალითად, პლატონი (428 — 347 წ. წ.-ა.) ფიქრობდა, რომ მხედველობის პროცესში მონაწილეობას იღებს ის სხივები, რომელნიც თვალისგან გამოდის. თვალი შეიგრძნობს, აღიქვამს სხეულს თავისი სხივების საშუალებით. ლუკრეციუსი, რომელმაც თავის პოემაში „ნიეთთა ბუნების შესახებ“ ეპიკურის ფილოსოფია გადმოგვცა, განმარტავს, რომ სხეულთა ზედაპირიდან გამოდის „უწყრილესი გარეგანი გარსები“, რომელიც პაერში დაფრენენ და თვალში გვხვდებიან. მრავალი ასეთი მცდარი ჰაიპოთეზის ჩამოთვლა შეიძლება სინათლის შესახებ. მრავალფეროვანი ნიჭი ლეონარდო და ვინჩისა ოპტიკასაც მისწვდა; მის რეეულში ვკითხულობთ:

«ცდა საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ სხეულთა გამოსატულება ჩვენს წინ მდებარე ყოველ წერტილში. კარგად დაბნელებული ოთახის დარბაზში გააკეთეთ პატარა ხერედი და მოწინააღმდეგე კედელზე შენიშნავთ გარეთ მდებარე სხეულის შებრუნებულ გამოსახულებას. ხერელების რიცხვის განრავლებით, თქვენ გაამრავლებთ გამოსახულებათა რაოდენობას“.

ლეონარდოს ჩანაწერების ეს სტრიქონები ჩვენთვის საინტერესოა ორი თვალსაზრისით: ერთი მხრით, აქედან ჩანს, რომ მის დროს უკვე ცნობილი ყოფილა ბნელ ოთახში მცირე ხერელებით გამოსახულებათა მიღება, ე. ი. ცნობილი ყოფილა „კამერა — ობსკურა“, რომლიდანაც შემდეგში ფოტოაპარატი წარმოიშვა, ხოლო, მეორე მხრით, ეს ნაწყვეტი დაახლოებით პასუხს აძლევს კითხვაზე: „რატომ ვხედავთ სხეულებს“.

ფლორენციისა და მილანის ჰერცოგთა სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის დაკვეთები ლეონარდოს ახალ საშუალებას აძლევდა მეცნიერული კვლევისაკენ. ასე, მაგალითად, 1487 წელს მილანის ჰერცოგ გალეაცოს ქორწინების დღესასწაულისათვის ლეონარდომ დააპროექტა და შეასრულა სცენის რთული დანადგარი, რომელშიც პლანეტები, ღმერთები და გმირები პროექტის ავტორის სურვილისამებრ გამოჩნდებოდნენ, ბრუნავდნენ და ქრებოდნენ. ხოლო 1491 წელს ჰერცოგ ლოდოვიგო მოროს ქორწინების დღისათვის ლეონარდო კვლავ მიიწვიეს, როგორც შესანიშნავი მხატვარი და ინჟინერი. ამ დღესასწაულისათვის ლეონარდომ ხელოვნებისა და საინჟინერო ტექნიკის ისტორიაში პირველმა მოაწყო მექანიზირებული მბრუნავი სცენა. ამ ტექნიკურმა გამოგონებამ აიძულა ლეონარდო და ვინჩი დაკვირვებები ეწარმოებინა ბერკეტთა რთულ სისტემაზე, ხოლო მებრძოლთა ზეგებით შეტაკებებში, რაც ჩვეულებრივ საზეიმო ცერემონიებს ახლდა, ლეონარდო სიმძიმის ცენტრის გადაადგილებისა და დრეკადი დაჯახების მოვლენებამდე მიყვანა. ამგვარი მექანიზმებისა და შრომების შექმნის საფუძველზე ლეონარდო და ვინჩი გახდა პირველი სწავლული, რომელმაც შეიქმნა „სტატისტიკური



მომენტის* ზოგადი ცნება და დანატყეცა თეორემა ძალთა მომენტების თანასწორობის შესახებ. თანამედროვე საინჟინერო ტექნიკაში ამ ცნებასა და თეორემას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ან საკითხებს თანამედროვე მექანიკაში ერთ-ერთი საბატიო ადგილთაგანი უკავია.

ლეონარდო და ვინჩის ნათელი და ფხიზელი გონება თავს ესმის ალქიმის, ასტროლოგიასა და ჯადოქრობას. ალქიმისტებს ლეონარდო უწოდებს „ბუნების ცრუ განმმარტებლებს“. ჯადოსნური შელოცვისა და გარდაქმნის რწმუნის შესახებ იგი ერთობ მძაფრად გამოდის: „კაცობრიობის ყველა აზრთა შორის: — ამბობს და ვინჩი, — ყველაზე უფრო უგუნურად მე მიმაჩნია ჯადოქრობა, ალქიმის დაი“.

„ჯადოქრების მიხედვით სულები ლაპარაკობენ უენოდ, აწარმოებენ წვინასა და ქარიშხალს, ხოლო ხალხი კატებად, მგლებად და სხვა ცხოველებად არიან გადაქცეული. ნაშინ როდესაც, მართალი რომ ითქვას, პირუტყვად არის გადაქცეული მხოლოდ ის, ვინც ამგვარ სისულელეს ამტკიცება“.

ლეონარდო და ვინჩი ილაშქრებს წინააღმდეგ სქოლასტიკის წარმონადგენებისა, რომელნიც გრძნობათა მომაცდუნებლობას ქადაგებდნენ და უნაყოფო პაექრობას ეწეოდნენ.

„ამტკიცებენ, — წერს ლეონარდო, — თითქოს მხედველობა აღამიანს ხელს უწლის დამსუღროებულსა და მოფიქრებულ გონებრივ შემეცნებას, რომლის საწუალებითაც წარმოებს ბუნების ღეთილრ სიადუმლოებაში წელწევა და თითქოს ამ დაბრკოლებამ აიძულა ერთი ფილოსოფოსი თვალეზი დაეთხარა. ამაზე მე ასე ვუბასუებ, რომ თვალი როგორც გრძნობათა მეუფე ასრულებს თავის ვალს, როდესაც აღამიანის წინაშე აღმართივენ დაბრკოლებას ბუნდოვანისა და ნაცდური აზროვნების სახით და, თუ ერთმა ფილოსოფოსმა ამგვარი აზროვნების დროს წარმოშობილი დაბრკოლების გადასალახავად თვალეზი დაითხარა, უდავოა, რომ ეს ოპერაცია ვაგლენას მოახდენდა მის ტვინზეც და აზროვნებაზეც, რადგან ყველაფერი ეს უგუნურობა იყო“. შემდეგ:

„ნუთუ ვერა ხედავ, რომ თვალი მთელ სამყაროს შოიციავს, იგი მართავს და აღამაზებს კაცობრიობის ყოველ ხელოვნებას, ამოძრავებს აღამიანს ქვეყნის სხედასხვა ნაწილში, იგი მათემატიკის დსაწყისია. მან განიმა ვარსკვლავთ სიდიდე და სიმაღლე. მან იპოვა ელემენტები და მათი ადგილი“ და ა. შ.

ლეონარდო და ვინჩის შემეცნების წყაროს წარმოადგენდა ობიექტურად არსებული გარეშე სამყარო. იგი წერდა:

„სარკე ღებულობს მხოლოდ ხილული სხეულების გამოხატულებებს, და გამოხატულებებიც არ იქმნება ან სხეულების გარეშე“.

ლეონარდო ჯეროვნად აუასებდა ააუქუეების მანძილზე დაგროვილ მეცნიერულ ცოდნას და ესმოდა, რომ საჭიროა ამ ცოდნათა განუწყვეტელი განვითარება, ძველიდან ახლის შენება, უკვე დამკვიდრებულ და გაბატონებულ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზი. საჭირო შემთხვევაში იგი ილაშქრებდა ძველი შეხედულებების წინააღმდეგ და წერდა: „ბევრი სამართლიანად მიიჩნევს ჩემს გაკიცხვას იმის გამო, რომ ჩემი მტკიცებანი ეწინააღმდეგება დიდ



პატივში მყოფი ზოგიერთი ადამიანის ავტორიტეტს...“ და იქვე დასძინდა: „ვინც ავტორიტეტზე დაყრდნობით კამათობს, იგი იუენებს არა თავის ღირსებას, არამედ მეხსიერებას“.

ასეთივე გაბედულებით: ამსჯურვდა ლეონარდო და ვინჩი სახარების მითხრობითი წარდგინის შესახებ და ამტკიცებდა, რომ „ბუნებრივი მიზეზებით წარდგინის დასაბუთება ძველმა „თეორიამ“ ვერ შეძლო და ამიტომ საშველად „სასწაული“ მოიხმო“.

ახალი მეცნიერების წინასწარმეტყველად გვევლინება ლეონარდო და ვინჩი აგრეთვე თავის ნატურფილოსოფიურ შეხედულებებშიც. მოძრაობას ლეონარდო თვლის სივრცის ყოველგვარი გამოვლინების საფუძვლად. კერძოდ, მექანიკაში ლეონარდო მოძრაობას სამ ნაწილად ჰყოფს:

1. წონა და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი მოძრაობანი,
2. ძალა და მის მიერ გამოწვეული მოძრაობანი,
3. დაჯახება.

ლეონარდო ამ დაყოფის გარეშე კიდევ იხილავს ინერციისა და წინააღმდეგობის საკითხებს. გარდა ამისა, ლეონარდო განაზოგადებს თავის შეხედულებებს მოძრაობის შესახებ და ასკვნის:

„ყველა მოვლენას, როგორც, მაგალითად, ბგერას, სინათლეს, სითბოსა და მაგნიტოზმს, საფუძვლად უდევს რხევითი მოძრაობა“. ლეონარდოს მიხედვით, სანაყარო განუსაზღვრელია და დედამიწა მის ცენტრში არ არის მოთავსებული. დედამიწა მზის ორბიტის ცენტრში არ არის, არამედ თავის ელემენტებს შორისაა მოქცეული და მათ დაჰყვება. სხვა მნათობთათვის დედამიწა ისევე ანათებს, როგორც მთვარე. ამგვარად, ლეონარდოს შეხედულებით, ზეციურ ნატურისა და დედამიწას შორის დაპირისპირება არ არსებობს. მიმზიდველობა არ არის დედამიწის პრეროგატივი, ყოველ მნათობს აქვს მის გარემოშეკველ ელემენტებზე ზემოქმედების სფერო. ლეონარდო წერს:

„მთვარე მკერივია; როგორც მკერივი იგი მძიმეა; როგორც მძიმე იგი არ შეიძლება მის მიერ დაკავებულმა სივრცემ შეინაგროს. ამიტომ იგი უნდა ჩამოსულიყო დაბლა, სამყაროს ცენტრისაკენ, ყოველ შემთხვევაში, მისი წყლები უნდა გადმოღვრილიყო, ხოლო თვითონ ბრწყინვალეობა დაეკარგა. მაგრამ ასეთი შედეგები არ არის ხოლმე. ცხადია, რომ მთვარე გარემოცულია თავისი ელემენტებით — წყლით, ჰაერითა და ცეცხლით და, ამგვარად, თავის თავს იკავებს სივრცეში, ისევე როგორც ჩვენი დედამიწა თავისი ელემენტებით — სხვა სივრცეში“.

ამგვარად, ლეონარდო და ვინჩის მიხედვით, სამყარო დაყოფილია უამრავ უჯრედებად, სამყაროებად, ამასთან ეს სამყაროები ჯრთიერთზე არ მოქმედებენ და ყოველი სამყარო გარემოცულია საკუთარი ელემენტებით.

მოძღვრება სამყაროს სიმრავლისა და სამყაროს მატერიალური ბუნების შესახებ ლეონარდო და ვინჩის სახით ახალ მიმდევარს პოულობს.

საინტერესოა ის გარემოება, რომ შუა საუკუნეებში თეზისი დედამიწის ისტორიის შესახებ პირველად ლეონარდო და ვინჩიმ წამოაყენა. ლეონარდო წერს:



„ვინაიდან ნივთები უფრო ძველია, ვიდრე ხელნაწერები, ამიტომ ვასაკვირველი არ არის, რომ არავითარი დოკუმენტი არ შემონახულა იმის შესახებ, რომ ნრავალი ქვეყანა ძველად ზღვებით ყოფილა დაფარული. საამისოდ მოთხოვება საკმაო ნივთები, რომლებიც მლაშე ზღვებში გაზენილან და დღეს მაღალ მთებზე მოიპოვებიან“. შემდეგ:

„გადატრიალებისა და მოვლენათა როგორც რიგს უნდა გაველო მას შემდეგ, რაც ეს უცნაური ფორმის თევზი ამ გამოქვაბულში მოკვდა...“

ამგვარად, ლეონარდოს მიხედვით, დედამიწას თავისი ისტორია აქვს, რასაც ამტკიცებს დედამიწის ქერქში ნაპოვნი გაქვევებულობანი.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ, რომ იგივე აზრი დედამიწაზე ისტორიული პროცესების მიმდინარეობის შესახებ 1745 წელს მიხეილ ლომონოსოვმა გამოაქვეყნა, ოღონდ ვაცილებით უფრო ღრმად და მეცნიერულად დასაბუთებული. ამასთან, ცხადია, რომ ლომონოსოვს არ შეეძლო სტოდნოდა ლეონარდო და ვინჩის ანალოგიური შრომები, ვინაიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ლეონარდოს შრომების შესახებ არანცთუ რუსეთმა, თვით იტალიამაც კი 278 წლის დაგვიანებით შეიტყო.

ლეონარდოს ყოველი შრომა ფიზიკაში, რომელსაც კი მისი გონება მისწვდა და გამოიკვლია, დაუმთავრებელი დარჩა. ეს შრომები ფრაგმენტულია და ვერ იქნა მოყვანილი ერთ მთლიანობაში. ლეონარდო და ვინჩის შრომებს ფიზიკაში დაუსრულებლობისა და გაუბედაობის ჩრდილი ახლავს. ეს გარემოება კი იმით აიხსნება, რომ ლეონარდომ კვლევითი შრომის უზარმაზარი მასშტაბი აიღო და ისიც თავისი სიცოცხლის მთა წლებში. ამ საკითხის დასრულება ერთი ადამიანის მიერ შეუძლებელი იყო.

მნიშვნელოვანია ლეონარდოს კვლევის ახალი მეთოდი—ექსპერიმენტული მეთოდი, რომლითაც მეცნიერება დღემდე მიიმაართება. არსებითად ლეონარდოს შემდეგ იქნა მიღებული ექსპერიმენტული მეთოდი ფიზიკაში. ლეონარდოს მთელი მეცნიერული სისტემა აგებულია ტექნიკურ პრაქტიკაზე.

ფლორენციელი მხატვარი, ფიზიკოსი, ტექნიკოსი, სწავლული და მეცნიერი, უიღბლო და ერთგვარად უცნაური ლეონარდო და ვინჩი ხუსტი მეცნიერების ისტორიის გამოგონებათა და აღმოჩენათა ოკეანეში უშუქურას მსგავსად ანათებს. შუა საუკუნეების მეცნიერულ ფონზე ლეონარდო და ვინჩი იმ მწვერვალს წარმოადგენდა, რომლიდანაც ფართო ჰორიზონტი მოსჩანდა და ამიტომ დასახულ პრობლემათა რიცხვიც ვარსკვლავთა მსგავსად მრავლობდა.

ლეონარდოს საყვარელი აფორიზმი, რომელიც მან კაცობრიობას ანდერძად დაუტოვა, შემდეგი იყო:

„კაცობრიობისათვის სასარგებლო საქმეზე უარის თქმას სჯობია ადამიანი არ იძვროდეს“.

აღორძინების ხანის დახასიათების დროს ფრიდრიხ ენგელსი განსაკუთრებით გამოაქყოფს ლეონარდო და ვინჩის და წერს:

„ლეონარდო და ვინჩი მარტო მხატვარი არ იყო, იგი ამასთან ერთად დიდი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერიც იყო, რის წყალობით მას ფიზიკის სხვადასხვა ნაწილში მნიშვნელოვანი აღმოჩენები აქვს მოპოვებული“.

ამგვარად, ზემოთ განხილული საკითხების საფუძველზე ლეონარდო და ვინჩი უნდა ვაღიაროთ ახალი ფიზიკის—ექსპერიმენტული ფიზიკის ფუძემდებლად.

ლიტერატურა

1. Избранные произведения Леонардо да Винчи, т. I, II, Москва, 1935.
2. Флорентийские чтения. Леонардо да Винчи, перевод с итальянского (Сборник статей итальянских ученых), Москва, 1914.
3. А. Дживидгов, Леонардо да Винчи, Москва, 1935.
4. М. Гукровский, Механика Леонардо да Винчи, Москва, 1949.
5. В. Лазарев, Леонардо да Винчи, Москва, 1952.
6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ბუნაწერი № 406.
7. იმავე მუზეუმის ბუნაწერი № 407.
8. " " " № 180.
9. " " " № 610.
10. გ. ქიქოძე, ერეკლე II, თბილისი, 1941.
11. დ. გნგელსი, ბუნებას დიალექტიკა, თბილისი, 1950.

ატალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ზოგადი ფიზიკის კათედრა

(წემოვილა რედაქციაში 1954. V. 25)

В. Д. Паркадзе

Леонардо да Винчи как физик

Резюме

Представленная работа является скромной попыткой охарактеризовать Леонардо как физика на основании опубликованных трудов Леонардо да Винчи.



3. მკაბეაძე და 3. კოპოლაშვილი

წყალბადის ზეჟანგის კომოგენური კინეტიკა გზვე პიკში

კატალიზატორების გავლენით წყალბადის ზეჟანგის დაშლის კინეტიკის შესწავლა დიდი ხანია წარმოადგენს კვლევის საგანს, რადგან თეორიულის გარდა, მას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ლიტერატურის განხილვიდან ჩანს, რომ სადღეისოდ შედარებით დაწვრილებით არის შესწავლილი წყალბადის ზეჟანგის ფოტოქიმიური დაშლის მექანიზმი [1—6]. საინტერესო ცნობები მოიპოვება აგრეთვე წყალბადის ზეჟანგის კატალიზური დაშლის მექანიზმის შესახებ პალაგენიდიების მოქმედებით [1, 8, 9].

მრავალი გამოკვლევიდან, რომლებიც შეეხება სხვადასხვა კატალიზატორით წყალბადის ზეჟანგის დაშლას, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის მასალა, რომელიც შეეხება წყალბადის ზეჟანგის დაშლის კინეტიკას ტუტე არეში. ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლიტერატურის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ დღემდე ცნობილი გამოკვლევებიდან არც ერთი არ იძლევა ტუტე არეში წყალბადის ზეჟანგის დაშლის სრულ სურათს; ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის შესახებ არსებული ცნობები არასაკმარისი და, ზოგ შემთხვევაში, მცდარია კიდევ.

როგორც სხვა ავტორების, ისე ჩვენი გამოკვლევებიც მიუთითებენ, რომ ტუტე არეში წყალბადის ზეჟანგის მდგრადობა ძლიერ შემცირებულია, რის გამოც იგი ადვილად იშლება ისეთ ნივთიერებათა გავლენით, რომლებიც ნეიტრალურ ან მჟავე არეში სრულიად არ მოქმედებენ, ან პრაქტიკულად უმნიშვნელო სიჩქარით შლიან მას (მაგ., მეტალური ოქრო, კოლოიდური ოქრო [10], კალა, ტყვია, მინა და სხვ.).

ტელეტოვი და გრიცანი [14] აღნიშნავენ თავიანთ შრომაში, რომ ტუტის კონცენტრაციის გადიდებით თანდათან მატულობს წყალბადის ზეჟანგის დაშლის სიჩქარე, იგი მაქსიმალურ სიდიდეს აღწევს 0,03 ტუტე არეში, რის შემდეგ ტუტის კონცენტრაციის გადიდებით წყალბადის ზეჟანგის დაშლის სიჩქარე კლებულობს (რეაქციის სიჩქარის მაქსიმუმის მიღწევას პლატინის შემთხვევაშიც, 0,03 N ტუტე არეში აქვს ადგილი).

ტუტის კონცენტრაციის გადიდებით რეაქციის სიჩქარის მაქსიმუმზე გავლის შესახებ მიუთითებენ აგრეთვე შპიტალსკი და ფუნკი [15]. სამწუხაროდ, შრომაში დაწვრილებით არ არის აღწერილი ცდის პირობები, ტუტის



კონცენტრაცია და სხვ. ავტორები აღნიშნავენ, რომ, რაც უფრო მეტია ჰიდროქსილიონების კონცენტრაცია, მით უფრო სწრაფად აღწევს ლეიტანე მაციხალურ სიჩქარეს; რეაქციის სიჩქარე შენდევ კვლევულობს და მიმდინარეობს უფრო ნელა, ვიდრე მცირე კონცენტრაციის ტუტე ხსნარებში. აღნიშნულის შედეგად ავტორები ასკენიან, რომ რაღაც ოპტიმალურ pH-ის პირობებში რეაქცია მიდის მაქსიმალური სიჩქარით, რის შემდეგ pH-ის ზრდით რეაქციის სიჩქარე კვლევულობს (ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებითი ცნობები შრომაში არ მოიპოვება).

ნსვავაი შედეგები იქნა მიღებული აგრეთვე ჩვენ მიერ წყალბადის ზეჟანგის ტუტე ხსნარების პლატინის ან მხოლოდ ტუტის გავლენით დაშლისას, როდესაც სარეაქციო ნარევენი წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია ძლიერ არ აღემატებოდა მასში შეტანილ ტუტის კონცენტრაციას. აღნიშნული შედეგები თითქოს მიუთითებენ, რომ ტუტე არეში წყალბადის ზეჟანგის დაშლის სიჩქარე მაქსიმუმზე უნდა ვადიოდეს. რეაქციის უფრო დეტალური შესწავლით გამოირკვა, რომ აღნიშნულ მაქსიმუმზე გაგლა მოჩვენებითი გამოდგა; აღმოჩნდა, რომ ამის მიზეზს წარმოადგენს წყალბადის ზეჟანგის დაშლისათვის დანახსიათებელი კინეტიკური თავისებურებანი ტუტე არეში, რომელთა დაწვრილებითი გარჩევა მოცემულია შრომის შემდგომ ნაწილში.

ო. ხ. ტელეტოვისა და დ. ი. გრიცანის [14] მიერ შენიშნული იყო, რომ წყალბადის ზეჟანგის დაშლისას ტუტე არეში პირველი 25—40 წუთის განმავლობაში ადგილი აქვს რეაქციის სიჩქარის მუდმივას თანდათან შემცირებას (ეს დრო დამოკიდებულია წყალბადის ზეჟანგის საწყის კონცენტრაციაზე), ხოლო შემდეგ კარგ მუდმივობას იჩენს. მაგ., ერთ-ერთ ცდაში, სადაც რეაქციის დასაწყისში ადგილი ჰქონდა K-ს თანდათან შემცირებას, K უკვე კარგ მუდმივობას იჩენს, როდესაც წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია 0, 0025 NKMnO_4 -ის 26,4 მლ-ის ტოლი ხდება.

ჩვენ მიერ შემჩნეული იყო, რომ რეაქციის სიჩქარის მუდმივას თანდათან შემცირება წყდება დაახლოებით იმ მომენტიდან, როდესაც ხსნარში წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია (მოლ/ლიტ) გაუტოლდება სარეაქციო ნარევეში მყოფ ტუტის კონცენტრაციას (მოლ/ლიტ), იხ. კინეტიკური მრუდეები № 1-დან № 4-მდე და № 7-დან № 10-მდე. აღნიშნული კანონზომიერება ნათლად ჩანს ტელეტოვისა და გრიცანის გამოკვლევაშიც. მაგ., ჩვენი გამოანგარიშებით მათ ცდაში K-ს თანდათან შემცირება უხდა შემწყდარიყო, როცა ხსნარში დარჩებოდა $0,03 \cdot 2 = 0,006 \text{ NH}_2 \text{ O}_2$ ანუ როცა ხსნარზე დაიხარჯებოდა $\approx 24 \text{ მლ } 0,0025 \text{ KMnO}_4$ სა, რაც საკმაოდ ახლოს იმყოფება ტელეტოვისა და გრიცანის მიერ ნაპოვნ სიდიდესთან (26,4 მლ).

სხვადასხვა კატალიზატორით წყალბადის ზეჟანგის დაშლაზე ტუტის გავლენის შესწავლით გამოკვლეულია, რომ რეაქციის დასაწყისში ტუტე შედის წყალბადის ზეჟანგთან რეაქციაში, რის გამო ხსნარის pH მცირდება, ხოლო რეაქციის დასასრულს ხსნარის pH ხელახლა იზრდება (ტელეტოვი და გრიცანი [14], გ. ა. პოგდანოვი [16, 17]).



ტუტე არეში წყალბადის ზეჟანგის დაშლა შესწავლილი იყო აგრეთვე ბურკისა და შაფის [18] მიერ. აღნიშნული შრომის შედეგების განხილვა გვიჩვენებს, რომ ავტორები წყალბადის ზეჟანგის დაშლის რეაქციაზე დაკვირვების შედეგებს იძლევიან მას შემდეგ, როცა სარეაქციო ნარევეში მყოფი წყალბადის ზეჟანგის დაახლოებით $\frac{1}{8}$ ან $\frac{1}{4}$ ნაწილი უკვე დაშლილია; ამისთანავე დაკვირვებას არ აწარმოებდნენ რეაქციის დანთავრებამდე, არამედ დაკვირვებას წყვეტდნენ, როდესაც სარეაქციო ნარევეში წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია საწყის კონცენტრაციასთან შედარებით მაქსიმუმ 3—4-ჯერ მცირდებოდა; ამგვარად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტუტე არეში წყალბადის ზეჟანგის დაშლის კინეტიკა ბერკისა და შაფის მიერ არასრულად არის შესწავლილი, ნით უმეტეს, რომ რეაქციის სწორედ ის უბნები, სადაც გამოვლინებულია ტუტე არეში წყალბადის ზეჟანგის დაშლისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი კინეტიკური თავისებურებანი, ავტორების მიერ სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ წყალბადის ზეჟანგის თერმული დაშლის მექანიზმის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვემოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ წყალბადის ზეჟანგის თერმული დაშლის მექანიზმი მსგავსი უნდა იყოს მისი ფოტოქიმიური დაშლის მექანიზმისა [19, 20]. აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად, ვინაიდან საკმაოდ დაწვრილებითი გამოკვლევებით [19, 22] დადგენილია, რომ ტუტეები და ჰალოგენების მარილები წყალბადის ზეჟანგის ფოტოქიმიური დაშლისათვის საკმაოდ ძლიერ ინჰიბიტორებს წარმოადგენენ, მაშინ, როდესაც ისინი ძლიერ აჩქარებენ წყალბადის ზეჟანგის თერმულ დაშლას.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტებსა და ჩვენი გამოკვლევის შედეგებს მიყავართ იმ დასკვნამდე, რომ წყალბადის ზეჟანგის თერმული და ფოტოქიმიური დაშლა სხვადასხვა მექანიზმით უნდა მიმდინარეობდეს.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ განსხვავებაში უნდა ვეძებოთ ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ წყალბადის ზეჟანგის თერმული დაშლის რეაქციის კატალიზატორების ინჰიბიტორულ მოქმედებას, წყალბადის ზეჟანგის ფოტოქიმიური დაშლის დროს. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი არაორგანული ნაერთი, რომელთა ინჰიბიტორული უნარი ფოტოქიმიური რეაქციის შემთხვევაში მნიშვნელოვანი სიდიდისაა (მაგ., ქლორიდები, ბრომიდები, იოდიდები, სხვადასხვა ტუტეები), წყალბადის ზეჟანგის თერმულად დაშლის რეაქციისათვის კარგ კატალიზატორებს წარმოადგენენ, გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ნივთიერებები თავიანთი კატალიზური უნარის გამო—აღვილად უნდა იხდნენ ფოტოქიმიური რეაქციის დროს წარმოქმნილი აქტიური ცენტრების დეჰაქტივაციას, რაც გამოიწვევს ფოტოქიმიური რეაქციის სიჩქარის შემცირებას.



ქიმიკური მუშაობის ნაწილი

ზოგიერთი საორიენტაციო ცდებით გამოირკვა, რომ ტუტე ბაზის ზეჟანგის დაშლა იმის მიხედვით, თუ როგორია სარეაქციო ნარევი მისი და ტუტის კონცენტრაციის ფარდობა, სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს; ამის გამო წყალბადის ზეჟანგის დაშლის კინეტიკის შესწავლისათვის შერჩეულ იქნა ორი მეთოდი:

1. სარეაქციო ნარევებში, სადაც წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად აღემატება ტუტის კონცენტრაციას, მისი დაშლა ძირითადად ჰომოგენურად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაციის განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო მანგანოპერტოლი მეთოდი;

2. ხსნარში, სადაც წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია ტოლია ან ნაკლები ნაშვი მყოფ ტუტის კონცენტრაციაზე, რეაქცია ჰეტეროგენულია; ვინაიდან ამ დროს რეაქციაზე დიდ გავლენას ახდენს ჭურჭლის ზედაპირისა და სარეაქციო ნარევის მოცულობის ფარდობა, იძულებული ვიყავით (იმისათვის, რომ სარეაქციო ნარევის მოცულობა რეაქციაზე დაკვირვების განმავლობაში უცვლელად დარჩენილიყო), მივყვართა გაზონტრიული მეთოდისათვის (გალტონ შპიტალსკის აპარატით), რომელიც ამ შემთხვევაში გაცილებით ზუსტი და ნოხერბებული გამოდგება. ზემოაღნიშნული ორი მეთოდიდან მარტო ერთ-ერთის გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი მთელი რიგი მიზეზების გამო.

როდესაც ნარევი წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია ბევრად აღემატება ტუტის კონცენტრაციას, წყალბადის ზეჟანგის დაშლის რეაქციას ახასიათებს ინდუქციის პერიოდი. მთელი რიგი ცდებით გამოირკვა, რომ ინდუქციის პერიოდის ხანგრძლიობა კანონზომიერად კლებულობს როგორც ტემპერატურის, ისე ტუტის კონცენტრაციის გადიდებისას. ინდუქციის პერიოდის ხანგრძლიობა ჩვენს ცდებში ცდის პირობების მიხედვით რამდენიმე წუთიდან 16 საათამდეც კი გრძელდებოდა და კიდევ იყო შემთხვევები, როცა ინდუქციის პერიოდი იმდენად ხანმოკლე იყო, რომ მისი შემჩნევა ექსპერიმენტულად ძნელი ხდებოდა, მაგ., მაღალ ტემპერატურებზე დიდი კონცენტრაციის ტუტე არეში მიმდინარე რეაქციის შესწავლის დროს.


ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ზოგიერთი ცდის შედეგების გრაფიკული გამოსახულება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სხვა პირობებში ჩატარებული ცდებიც მსგავსი ხასიათის კინეტიკურ სურათებს იძლევიან.

№ 1—№ 3 სურათებიდან ჩანს, რომ ტუტე არეში წყალბადის ზეჟანგის დაშლის რეაქციის, გარდა ინდუქციის პერიოდისა, ახასიათებს რეაქციის სიჩქარის მკვეთრი შეზღუდვა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს N ტუტე არეში მიმდინარე რეაქციის კინეტიკური მრუდებიდან (სურ. 1, 2, 3).

ინდუქციის პერიოდის ბუნების გასარკვევად ჩვენ მიერ ჩატარებული იყო ცდები (სურ. 4, მრუდი 2), რომელთა კინეტიკური სურათი შედარებულია მე 4 სურათის მრუდთან. ეს ცდა შემდგენიარად წარმოებდა: სანამ ცდას დავიწყებდით, წინასწარ აღებული იყო 30°-ზე გამოთბარი 50 მლ მაღალი


კონცენტრაციის წყალბადის ზეჟანგი და დამატებული იყო მასზე ტუტე ისეთივე ნაწილით, რომ შეგვექმნა 0,2N ტუტე არე. ამ ცდის დროს რეაქციის სიჩქარე თანდათან მატულობდა ≈ 2 საათის განმავლობაში. 14 საათის შემდეგ,

როდესაც წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია სარეაქციო ნარევეში 145,6 მლ-დან 4,4 მლ 0,1 N $KMnO_4$ -ის შესაბამისი ვახდა, ვიღებთ სარეაქციო ნარევიდან 25 მლ ხსნარს და მასზე ვამატებთ 25 მლ 30%-ზე გამობარ მაღალი კონცენტრაციის წყალბადის ზეჟანგს, რის შედეგად მიიღება სარეაქციო ნარევი, რომელშიც ტუტის კონცენტრაცია 0,1 N-ის შესაბამისია და სადაც წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია 75,3 მლ 0,1 N $KMnO_4$ -ის შესატყვისია. რეაქციაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ ცდის დროს ინდუქციის პერიოდი უკვე აღარ არსებობს და რეაქცია თავიდანვე კარგად ემორჩილება პირველი რიგის რეაქციების განტოლებას (იხ. სურათი 4, სადაც № 2 ცდის შედეგები ჯვრებით არის აღნიშნული).



სურ. 1.

იმ მიზნით, რომ გავვერკვია, რეაქციის კინეტიკური სურათის შეცვლა ხომ არ იყო გამოწვეული წყალბადის ზეჟანგის საწყისი კონცენტრაციის შემცირებით, ჩვენ მიერ ჩატარებული იყო № 3 ცდა, სადაც წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაცია ისეთივე იყო, როგორიც № 2 ცდაში, მხოლოდ აქ, № 2 ცდისაგან განსხვავებით, წყალბადის ზეჟანგის წინასწარი დაშლა არ ჩავეტარებია. № 3 ცდის შედეგები მოცემულია იმავე № 4 ნახ. 3, ამ ცდის დროს რეაქციის მაქსიმალური სიჩქარის მიღწევას თითქმის 2 საათი დასჭირდა.




სურ. 2.

აღნიშნული ცდებიდან გამომდინარეობს, რომ ინდუქციის პერიოდის არსებობა დაკავშირებულია შორისული პროდუქტის წარმოქმნისა და დაგროვების პროცესთან.

მსგავსი ცდები დაყენებული იყო აგრეთვე 0,5 N ტუტე არეში მაღალი კონცენტრაციის წყალბადის ზეჟანგის დაშლაზე (სურ. 5).




როგორც მე-5 ნახაზიდან ჩანს, აქაც ინდუქციის პერიოდის შემდეგ თებს მეორეულ ცდას, რომლის შედეგები გამოსახულია ამავე სურათზე ჯვრებით.



სურ. 3.

აქ მოტანილი შედეგები გვიჩვენებენ, რომ აღნიშნული უაქტორების გავლენა ერთნაირია როგორც სხვადასხვა კონცენტრაციის ტუტე არეში, ისე სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში. ანილინი არსებითად ზრდის


ჩვენ მიერ დაყენებული იყო მთელი რიგი ცდები ტუტე არეში მაღალი კონცენტრაციის წყალბადის ზეჟანგის დაშლაზე ბენზოეს მეცის, ანილინისა და მინის კაპილარების გავლენის შესასწავლად; მიღებული შედეგები გამოსახულია მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 სურათებზე.




სურ. 4.

წყალბადის ზეჟანგის დაშლის სიჩქარეს, ბენზოეს მეცა ანცირება, მინის კაპილარების თანაობისას კი რეაქციის სიჩქარე მკვეთრად კლებულობს.

მაღალი კონცენტრაციის წყალბადის ზეჟანგის დაშლის შესწავლის დროს მიღებული ტემპერატურული კოეფიციენტებიდან გამომდინარე აქტივაციის ენერჯიის განხილვა გვიჩვენებს, რომ მისი სიდიდე მნიშვნელოვნად მცირდება როგორც ტუტის კონცენტრაციის, ისე ტემპერატურის გადიდების დროს (იხ. სურ. 11).




სურ. 5.




სურ. 6.

როგორც სურათიდან ჩანს, რეაქციის ტემპერატურული კოეფიციენტი β და შათვან გამომდინარე აქტივაციის E_{app} . ენერგია ძლიერ მატულობს



სურ. 7.

როგორც ტუტის (კატალიზატორის) კონცენტრაციის, ისე ტემპერატურის გადიდების დროს. ეს მოვლენა, ერთი შეხედვით, თითქოს მოულოდნელია.




სურ. 8.



როგორც რეაქციის სიჩქარის თერმოდინამიკა გვიჩვენებს, რეაქციის სიჩქარის მუდმივაა


$$K = e^{-\frac{kt}{h}} e^{-\frac{E_{ქს}}{RT}} e^{\frac{\Delta S}{R}} \quad (1)$$

აღნიშნული განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ რეაქციის სიჩქარე დაპირობებულია აქტივაციის დროს თავისუფალი ენერჯიის ΔF -ის ცვლილებით და არა აქტივაციის სითბოთი (H ექსპ).



სურ. 9.


ვინაიდან გაზური რეაქციების დროს ენტროპიის ცვლილება არ არის დიდი, ანიტომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რეაქციის სიჩქარეს განაპირობებს მხოლოდ აქტივაციის $\Delta H = E_{ქს}$ სითბო.



სურ. 10.




როგორც ზემოთ მოტანილი (1) განტოლებიდან ჩანს, $E_{\text{კვს}}$ მნიშვნელობები შესაძლებელია ΔS -ით კომპენსირდებოდეს, რის გამოც მისი ბისმეირი კავშირი, რომელიც გააძლიერებს ΔS -ს, შეამცირებს აქტივაციის



სურ. 11.

თავისუფალ ΔF -ენერჯიას, ე. ი. გააძლიერებს რეაქციის სიჩქარეს. ამგვარად, კატალიზატორის დამატება ჰომოგენურ რეაქციას წარმართავს იმ გზით, რომლითაც საჭიროა უფრო ნაკლები აქტივაციის თავისუფალი ენერჯია.



სურ. 12.

(1) განტოლებით გამოთვლილი იყო ტუტე არეში მაღალი კონცენტრაციის, წყალბადის ზეფანგის დაშლის რეაქციის აქტივაციის ენტროპიები. გამოთვლებიდან ჩანს, რომ ΔS მნიშვნელოვნად მატულობს როგორც ტუტის კონცენტრაციის, ისე ტენპერატურის ვადიდებით. ΔS -სა და $E_{\text{კვს}}$ -ის



მიხედვით ჩვენ მიერ გამოთვლილი იყო განსახილველი რეაქციის აქტივაციის თავისუფალი ენერგია $\Delta F = E_{კა} - TS$.

მიღებული შედეგები გამოსაბუღია მე-12 სურათზე.

როგორც მე-12 სურათიდან ჩანს, აქტივაციის თავისუფალი ენერგია კანონზომიერად კლებულობს ტუტის (კატალიზატორის) კონცენტრაციის გადიდება, ხოლო ტემპერატურის გადიდებაში მისი მნიშვნელობა უცვლელი რჩება.

დასკვნები

1. ტუტე არეში წყალბადის ზეფანგის დაშლა იმის მიხედვით, თუ როგორია სარეაქციო ნარევიში მისი და ტუტის კონცენტრაციის ფარდობა, სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს.

იმ ნარევებში, სადაც წყალბადის ზეფანგის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად აღემატება ტუტის კონცენტრაციას, რეაქცია ძირითადად ჰომოგენური, ხოლო ისეთ ნარევებში, სადაც წყალბადის ზეფანგის კონცენტრაცია ტოლია ან ნაკლებია ტუტის კონცენტრაციაზე, რეაქცია ჰეტეროგენულად მიმდინარეობს.

2. მინის კაბილარების თანაობისას ჰომოგენური რეაქციის სიჩქარე დაახლოებით ორჯერ მცირდება, ჰეტეროგენულია კი დაახლოებით ამდენჯერვე მატულობს.

3. ტუტის კონცენტრაციის გადიდებისას წყალბადის ზეფანგის ჰომოგენური დაშლის რეაქციის ტემპერატურული კოეფიციენტი და მისი შესატყვისი აქტივაციის ენერგია იზრდება, ხოლო აქტივაციის თავისუფალი ენერგია მცირდება.

4. ტემპერატურის გადიდებით აქტივაციის ენერგია იზრდება, მაგრამ აქტივაციის თავისუფალი ენერგია უცვლელი რჩება.

5. ტემპერატურის გადიდების ან ტუტის კონცენტრაციის მატებისას წყალბადის ზეფანგის ჰომოგენური დაშლისათვის დამახასიათებელი ინდიკაციის პერიოდი შესამჩნევად კლებულობს.

6. ტუტე არეში წყალბადის ზეფანგის ჰომოგენური დაშლის სიჩქარე მატულობს ანილინისა და კლებულობს ბენზოეს მჟავას თანაობისას, რაც აღნიშნული ნივთიერებების ფუძე ან შესაბამისად მჟავური ბუნებით არის გამოწვეული.

ლიტერატურა

1. Л. В. Писаржевский, С. Чрелашвили и Савченко, Труды Тифлисского хим. института, т. I, 1935, стр. 11—18.
2. Е. Кондратьев и В. Кондратьева, Ж.Ф.Х., выпуск 4—5, т. XIX, 1945 г.
3. Lena Alyca, J. Am. Ch., Soc. 55, № 12, 4801, 1932.
4. Alyca and Jamis Pace, J. Am. Ch., Soc. 55, № 12, 4802, 1933.
5. Suenster, J. Am. Ch., Soc. 55, № 1, 62, 1933.
6. Н. Кондратьев, Проблемы кинетики и катализа: Сборник трудов конференций, посвящ. 40-летию перевесной теории Энглера, Баха, НК XII, СССР, Л.-М., 1940.



7. А. Мельвин, Хьюв, Кинетика реакций в растворах, 1933 г., стр. 239—171 и 181.
8. Liubavsky, J. Am. Ch. Soc. 55, № 10, 3977, 1933.
9. Livingston, J. Am. ch., Soc. 48, № 1, 45, № 2, 405.
10. Н. С. Телстов и Д. И. Грицап, Тр. Харьковского госуд. университета, т. III, 1937 г., стр. 7—14.
11. Тайлор и Райдил, Катализ в теории и практике, стр. 67—68 (1933).
12. А. В. Писаржевский, Ж. Р. Ф. Х. О, вып. 9, т. XI, 1609, 1929 г.
13. В. И. Веселовский, Ж. Ф. Х. вып. 3, т. XX, 1946.
14. Н. С. Телстов и Д. И. Грицап, Харьк. гос. университет, труды Института химии, 1940.
15. Spitalsky u Funk, Z. phys. ch., 126, 1927.
16. В. А. Богданов, Ж. Ф. Х., т. XXI, вып. I, стр. 51, 1947; Ж. О. Х., т. XVII, вып. 5, стр. 587, 1947.
17. В. А. Богданов, Ж. Ф. Х., т. XXI, вып. 4, стр. 439, 1947.
18. Burk u. Schaaf, Helv. Chem. acta, 4, 418, 1921.
19. Dain u. Schwarz, Acta phys. chim., № 2, 3, 1933.
20. В. Дайн и Эпштейн, Ж. Ф. Х., вып. 6, т. VIII, 1936.
21. Andersen a. Taylor, J. Am. Ch., Soc. 45, 650, 1923.
22. Andersen a. Taylor, J. Am. Ch., Soc. 45, 1210, 1923.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფიზიკური ქიმიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V. 15)

მს. დაბადე რა 3. კომუნიკაციები

აირად შახაში პარაფორმალდეჰიდის თერაპიული დისოხიამიის კინეზიკა

უკანასკნელ წლებში სახალხო მეურნეობის ინტენსიურ განვითარებასთან დაკავშირებით ინტერესი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი, კერძოდ, ნავთობის ბუნებრივი გაზების საკითხში, დიდად გაიზარდა. მრავალი გამოკვლევა მიმართულია ამ გაზების არა საწვავად, არამედ სხვადასხვა ქიმიური პროდუქტის ნედლეულად გამოყენებისაკენ. უდავოა, რომ ნავთობის ბუნებრივი გაზების გამოყენების ხასიათი არსებითად არის დამოკიდებული აღნიშნული გაზების შემადგენლობისაგან. რადგან ეს გაზები ძირითადად მეთანისაგან შედგება, ამიტომ გასაგებია, რომ მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა მისი არასრული დაჟანგვის პროდუქტების მიღება, რომელთაგან უდიდესი მნიშვნელობა ფორმალდეჰიდის ეკუთვნის


უკანასკნელ წლებში და ნახშირწყალბადების კატალიზური ურთიერთმოქმედება შესწავლილია მრავალი რუსი და საბჭოთა მეცნიერის მიერ, რომელთაგან მეტად საინტერესო გამოკვლევები ეკუთვნის ორლოვს [1], ფოკინს [2], როგინსკის [3], ელოვიჩს [4], შედვედევს [5]. უამრავი შესწავლილი კატალიზური რეაქტივიდან მხოლოდ ზოგიერთი გამოკვლევა ნათელყოფს რეაქტივის კეშმარტივ მქანის მნიშვნელობას.

მეორე მხრით, ჩვენში ქიმიური კინეტიკის განვითარება სახავს ნახშირწყალბადების ჰომოგენური დაჟანგვის შესაძლებლობას აირად ფაზაში. ამ მხრივ მეტად საინტერესო ამოცანას წარმოადგენს იმავე მეთანის ფორმალდეჰიდამდე ჰომოგენური დაჟანგვა.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მეთანის ჰომოგენური დაჟანგვით დღემდე არ არის მიღებული ფორმალდეჰიდის მნიშვნელოვანი გამოსავალი, იხსნება იმით, რომ ფორმალდეჰიდის დაშლისა და დაჟანგვის კინეტიკა არასაკმარისად არის შესწავლილი. ამიტომ ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა მყარი და აირადი ფორმალდეჰიდის თერაპიული წინასწორობა და მათი ურთიერთგადასვლის კინეტიკა.

მეთოდიკა

ფორმალდეჰიდის წყალხსნარების შედარებითი მდგრადობა იმისი ნიშანია, რომ შექცევადი რეაქციის გამო ფორმალდეჰიდის მეტი წილი ჰიდრატის სახით იმყოფება:



წარმოქმნილი დიოლი არ მიიღება თავისუფალ მდგომარეობაში და წყალხსნარის აორთქლებისას წარმოიქმნება მაღალმოლეკულური ნაერთი—პოლიოქსიმეთილენი. ეს უკანასკნელი მოლეკულები აგებულია ერთსა და იმავე პრინციპის მიხედვით, რომელთა ჯაჭვები სხვადასხვა სიგრძისაა. აქედან გამომდინარე, სუფთა ფორმალდეჰიდის მისაღებად ჩვენ მივმართეთ პოლიოქსიმეთილენს, რომლის გასუფთავების ნიშნით გამშრალი ნივთიერება მოვათავსეთ ვაკუუმში. მაღალ ტემპერატურამდე გაცხელებით გამოვიწვეეთ მისი დისოციაცია და ვაგატარეთ ჰურტელში 0°C პირობებში, სადაც გამოიყინა აქროლებული პოლიმერები, ხოლო მონომერები კონდენსატის სახით დავაგროვეთ თხევად ჰაერში ჩადგმულ დამპერში. ამ უკანასკნელის გათბობით კონდენსატი გაღნა და მიღებული სითხის აორთქლებით (დუღილის $t = -21^\circ\text{C}$) წინასწარ ევაკუირებულ კოლბაში დავაგროვეთ აირადი ფორმალდეჰიდი.

აირადი ფორმალდეჰიდი საკმაოდ დიდ მდგრადობას იჩენს და მხოლოდ ნელა განიცდის პოლიმერიზაციას, რის შედეგად მიიღება სუფთა პოლიოქსიმეთილენი. მისი თერმული დისოციაციის შესასწავლად მივმართავდით ელექტრული ღუმელის ტემპერატურის თერმოსტატირებას და მანომეტრულ განომევებს. ამ უკანასკნელის შემოწმების მიხედვით კარგებლობდით ქიმიური ანალიზითაც.

ასპერიმენტული ნაწილი და მიღებული შედეგები

ფორმალდეჰიდის აირადი და მყარი ფაზების წინასწორობის დამყარება არ ხდება წამსვე და, როგორც ეს ჩვენი კინეტიკური გამოკვლევებიდან გამომდინარეობს, მოითხოვს დროის გარკვეულ მონაკვეთს. ფორმალდეჰიდის დისოციაციის წნევა იზომებოდა ჰურტელის წინასწარი ევაკუირების შემდეგ. ვაკუუმი მიიღებოდა ზეთისა და დიფუზიური ტუმბოების დახმარებით. მყარი ფაზის დისოციაციის წნევა ისაზღვრებოდა ვერცხლისწყლის მანომეტრით, რომლის თავისუფალი მოცულობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მოცემული ტემპერატურის პირობებში დისოციაციის შედეგად მიღებული აირადი ფაზის წინასწორული წნევა განსაზღვრული იყო სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში. მიღებული შედეგები გამოხატულია მრუდით (სურ. 1), რომლის მიხედვით განაგარიშებულია აქროლების სიბრ. მაგალითად, $t = 60^\circ$ დროს $P_2 = 17$ მმ-ს, ხოლო $t_2 = 100^\circ\text{C}$ დროს $P_2 = 80$ მმ, აქედან

$$\lambda = \frac{4 \cdot 575 \cdot 373 \cdot 385}{40} \log \frac{80}{17} = 9600 \text{ კალ/მოლ.}$$




სხვა წერტილები, მაგალითად, $t=112^\circ$ დროს $P=270$ ნმ მიღებული λ ტოლია.

$$\lambda = \frac{4 \cdot 575 \cdot 333 \cdot 385}{72} \log \frac{270}{17} = 9800 \text{ კალ/მოლ}$$

აღსანიშნავია, რომ მაღალ ტემპერატურაზე აირადი ფაზის ხანგრძლივი გამოტუნების შედეგად დარჩენილი მყარი ფაზა დისოციაციის უფრო ნაკლებ წინეებს იჩენს იმავე ტემპერატურაზე (სურ. 2). დისოციაციის წნევის შემცირებას შეესაბამება დისოციაციის უფრო მეტი სიღრმე, რომელიც საშუალოდ უდრის 16700 კალ/მოლ.

$$\lambda = \frac{4,575 \cdot 323 \cdot 381}{58} \log \frac{106}{2} = 16700 \text{ კალ/მოლ.}$$

$P_{\text{მმHg}}$
260
240
220
200
180
160
140
120
100
80
60
40
20



სურ. 1.


აქედან განომდინარეობს, რომ აირადი ფორმალდჰიდის პოლიმერიზაციით მიღებული პოლიოქსიმეთილენი შედგება პოლიმერიზაციის სხვადასხვა ხარისხის მთელი წყება მოლეკულისაგან, რომელთაგან დაბალი პოლიმერები აღვილად განიციდან დისოციაციას.

განომდინარე ზოგადი მოსაზრებებიდან, შეიძლება იმის მტკიცება, რომ აირადი ფაზა და მყარი ფაზები, ე. ი. მყარ ფაზაში არსებული პოლიმერები, წონასწორობაში უნდა იყვნენ ერთმანეთთან. ამიტომ მსუბუქი პოლიმერების მოცილების შემდეგ ნოსალოდნელი უნდა იყოს მათი წარმოქმნა მძიმე პოლიმერებიდან, ვიდრე არ აღდგება საწყისი წონასწორობის მდგომარეობა. ამ მოსაზრებების შემოწმების მიზნით დარჩენილი მძიმე პოლიმერები ჩვენ დაგაყოფნეთ 100° ზე მაღალ ტემპერატურის პირობებში, რის შემდეგ დისოციაციის წნევა საწყის მნიშვნელობას მიუახლოვდა და თითქმის გაუტოლდა კიდევ ნას (სურ. 3). უკანასკნელ შემთხვევაში აქროლების სიღრმე $\lambda = 8200$ კალ/მოლ.

იმის გასარკვევად, თუ რა მდგომარეობაშია აირად ფაზაში ნიღბული ფორმალდჰიდი, არის იგი მონომერისა თუ აქროლებული პოლიმერის სახით, ჩვენ მივმართეთ შემდეგ მეთოდს: ევაკუირებულ ჭურჭელში მოთავსებულ




პარაფორმალდეჰიდს 0,03 გ რაოდენობით ვათავსებდით 70° ან 100°C ტემპებში. ჭურჭლის გახსნისას ეუშვებდით მასში იოდის ტიტრირების წესით რომლის გატიტრვა თიოსულფატით საშუალებას გვაძლევდა გამოგვეთვალა აირადი ფორმალდეჰიდის რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ პოლიმერები იოდით არ იტიტრება, ამიტომ მათი რაოდენობრივი დიფერენცირება აღეწერება.



სურ. 2.

მეტად საინტერესო იყო ინდივიდუალური პოლიმერების გამოყოფა და მათი მოლეკულური წონისა და პარახორის განსაზღვრა, მაგრამ მათი ცუდი ხსნადობის გამო ეს ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.


ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა აგრეთვე შეგვესწავლა აირადი ფორმალდეჰიდის დაჟანგვის კინეტიკა სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში. ვინაიდან ფორმალდეჰიდის დაჟანგვისას მოლეკლის რიცხვი უცვლელი რჩება, $HCOH + O_2 = H_2O + CO_2$, ამიტომ იძულებული ვიყავით კინეტიკური გაზომვები ჩავგეტარებინა არა მანომეტრული, არამედ ანალიზური გზით. ამ მიზნით მზადდებოდა სპეციალური მილაკები, სადაც პარაფორმალდეჰიდი ვაკუუმში დისოციაციის შემდეგ ერთნაირი ტემპერატურის პირობებში ($T = 300^\circ C$) შეგვეკონდა ჟანგბადი. გარკვეული დროის განვლის შემდეგ ჭურჭლის გაცივებით ვაჩერებდით რეაქციას და ანალიზური გზით ვსაზღვრავდით რეაქციის გარეშე დარჩენილი ფორმალდეჰიდის რაოდენობას. მიღებული კინეტიკური მრუდი გამოსახულია მე-4 სურათზე.



სურ. 3.


ფორმალდეჰიდის დაჟანგვის კინეტიკური მრუდის ანალიზიდან ჩანს,

რომ იგი არ ემორჩილება არც მონო-, არც ბი- და არც ტრიმომლეკულური რეაქციის განტოლებას. არამედ უფრო რთულ კინეტიკურ კანონზომიერებას. ფორმალდეჰიდის დაჟანგვის კინეტიკური მრუდის ასაგებად მრუდი



სურ. 4.

კოორდინატებში გრაფიკულად გაგვიდოფერენცირეთ, რის შედეგად მივიღეთ მრუდი $\frac{d(\Delta C)}{dt}$ და t კოორდინატებში (სურ. 5), რაც გამოსახავს რეაქციის სიჩქარის ცვლილებას დროის ნიხედვით. ეს მრუდი მეტად დამახასიათებელია განშტოებადი ჯაჭვური რეაქციისათვის. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ჩვენ მიერ მიღებულია ფორმალდეჰიდისა და ჟანგბადის ნარევის თვითაალებმა, რაც რეაქციის ჯაჭვურ ხასიათს მოწმობს.



სურ. 5.

ფორმალდეჰიდის აირად ფაზაში დაჟანგვის კინეტიკა დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. გათვალისწინებული იყო მხოლოდ მისი მონაწილეობა როგორც ერთ-ერთი შუალედი პროდუქტისა ნეთანის დაჟანგვის სარეაქციო ჯაჭვურ სქემაში [6,7].

მისი აირად ფაზაში დაჟანგვის მექანიზმის გარკვევა მოითხოვს აალებების მოვლენათა შესწავლას და პირველ რიგში თვითაალებების ზღვრების გარკვევას.

დასკვნები

1. შესწავლილია ფორმალდეჰიდის წარმოქმნა მყარი პოლიმერების დისოციაციით და განსაზღვრულია დისოციაციის წინევა სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში.



2. დადგენილია წონასწორობის არსებობა აირად ფორმალდეჰიდის მონომერებს შორის.
3. დადგენილია, რომ პოლიმერის დისოციაციით მიღებული აირადი ფაზა ძირითადად მონომერებისაგან შედგება.
4. შესწავლილია ფორმალდეჰიდის დაჟანგვის რეაქცია აირად ფაზაში.

ლიტერატურა

1. Е. И. Орлов, Ж.Р.Ф.Х.О, 39,1414, 1908.
2. Е. И. Орлов, Ж.Р.Ф.Х.О, 40,652, 1908.
3. С. А. Фокин, Ж.Р.Ф.Х.О, 40,276, 1908.
4. С. З. Рогинский, Проблемы кинетики и катализа, I—VII.
5. С. Ю. Елович, Дан СССР, 75,711, 1950.
6. С. С. Медведев, Изв. Хим. ин-та им. Карпова, 3,54, 4924. Успехи химии, XX, 2, 176, 1951 г.
7. Н. Н. Семенов, Цепные реакции, 1934 г.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფიზიკური ქიმიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V. 15)

В. Кокочавили и К. Лабадзе

Кинетика термической диссоциации формальдегида в газовой фазе

Резюме

С целью изучения термической диссоциации полимеров формальдегида химич. чистый полимер помещался в замкнутый сосуд, снабженный ртутным манометром. Изучено равновесное давление при различных температурах, в результате чего с помощью уравнения Клапейрона-Клаузиуса вычислена теплота сублимации, которая составляет около 9 кал/моль. Соответствующие анализы показали, что газовая фаза состоит из мономера.

Исследование показало, что твердая фаза состоит из набора полимеров разного состава. Огачка газовой фазы и легких полимеров приводит к увеличению теплоты сублимации до 16 кал. Дальнейшая термическая обработка приводит к начальной упругости диссоциации, что указывает на восстановления равновесия, т. е. на появление прежнего набора полимеров (теплота сублимации доходит до 8—9 кал/моль).

Кроме указанного, получена кривая кинетика окисления формальдегида кислородом в газовой фазе.



6. ტიხიშვილი, თ. კიპარაძე,
ბ. ტიხიშვილი, ბ. ჩიხლაძე

საქართველოს ზოგირითი რაიონის კარტოფილის ქიმიური გამოკვლევა

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების საქმეში გარკვეული როლი ენიჭება კარტოფილის უხვი მოსავლის მოყვანას. კარტოფილი ეკუთვნის იმ იშვიათ კულტურას, რომელიც ითავსებს ერთდროულად როგორც კვებითს, ასევე ტექნიკური მნიშვნელობის ღირებულებას. კვების ბალანსში კარტოფილს პურეულის შემდეგ მეორე ადგილი უკავია. დიდი მნიშვნელობა აქვს კარტოფილს ბაღაგ-სახანებლისა და სპირტის წარმოებაში. მეცხოველეობის დარგის ზრდა-განვითარება დიდათაა მასთან დაკავშირებული. კარტოფილი, როგორც სახამებლის წყარო, სოფლის მეურნეობის სხვა კულტურებს შორის ყველაზე ძვირფასია. გარდა სახამებლისა, ცილოვან ნივთიერებისა და სხვა საკვები ხასიათის ნივთიერებისა კარტოფილის ტუბერი შეიცავს C, B₁, B₂ ვიტამინებსაც, რაც ბევრად ზრდის მის კვებითს ღირებულებას. პარტია და ნთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ კარტოფილეობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის შენდგომი აღმავლობისა და ამ კულტურათა ფართობების გადიდებისათვის. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება აყვანილი უნდა იქნეს ისეთ ოდენობამდე, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს არა მარტო ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, გადამმუშავებელი მრეწველობის საჭიროებას, არამედ მეცხოველეობის მოთხოვნილებასაც კარტოფილზე.

კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების ამოცანასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა — ბრძოლა მდიდარი მოსავლის მაღალხარისხიანობის მიღებისათვის.

კარტოფილის მაღალი და მყარი მოსავლის მიღება შესაძლებელია მთელ რიგ პირობათა ზუსტი დაცვითა და ნათი სრული და დრრული შესრულებით. ეს პირობებია: თესობრუნვის წესის დაცვა, ნადაგის შერჩევა, მისი საუკეთესო დამუშავება. საჭირო სასუქის თავის დროზე შეტანა, კარტოფილის ჯიშის სწორად შერჩევა, სადი და მაღალი ღირებების კარტოფილის სათესლე მასალის გამოყენება, დარგული კარტოფილის კარგი მოვლა-პატრონობა, მოწინავე აგროწესებისა და მექანიზაციის ფართო გამოყენება და ა. შ. ყველა აღნიშ-



ნული ღონისძიების გატარება უზრუნველყოფს არა მარტო მაღალმშენებლობას, არამედ დიდად შეუწყობს ხელს მაღალხარისხიანი მოსახლის მოვლასა და კარტოფილის ტუმბერში შესაძველ ძვირფას კვებითი და ტექნიკური მნიშვნელობის ნივთიერებათა (სახამებლის, ვიტამინების, ცილოვანი ნივთიერების, მინერალური ელემენტებისა და სხვა ნივთიერების). რაოდენობრივად გამდიდრებას.

კარტოფილის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა უზრუნველყოფს მეკარტოფილეობის სწრაფი ტენიით წინსვლასა და ამ საქმის უფრო მაღალ დონეზე აყვანას.

კარტოფილას კულტურამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. საქართველოს ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება ხელს უწყობს ამ კულტურის ფართო გავრცელებას. ამ მხრივ გავრცელების საუკეთესო ზონად მიჩნეულია ვერცხვადამბული მესამე ზონა, რომლის გრილი ზაფხული და შედარებით ტენიანი ჰავა ყველა პირობას ქმნის საუკეთესო ღირსების კარტოფილის მოყვანისათვის. დასავლეთ საქართველოში ამ ზონას მიეკუთვნება ზღვის დონიდან 1200—1800 მ სიმაღლეზე მდებარე ადგილები; აღმოსავლეთ საქართველოდან ამ ზონაში შედიან: სამხრეთ საქართველოს მთავარი მასივები, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, წალკის, ბორჯომის (ბაკურიანის), თეთრიწყაროს, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, საგარეჯოსა (გომბორის) და სამხრეთ-ოსეთის მთიანი ადგილები. პირველ ზონაში შემავალ ადგილებში, სადაც ზაფხულის ტემპერატურის გამო კარტოფილმა ვერ მიიღო საჭირო გავრცელება, აკად. ლისენკოს ნეთოდის დანერგვა კარტოფილის მოყვანის საქმეში დიდ პერსპექტივას უზსნის ამ კულტურის გავრცელებასა და მისი მოსავლიანობის ზრდას.

საქართველოს კარტოფილის ქიმიური მხარე სრულებით არ არის შესწავლილი, თუმცა ამის საჭიროება კი დიდია. ჩვენ მიერ დასახული კვლევა ამ მიზანს ემსახურება. დარწმუნებული ვართ, რომ კვლევის შედეგად ნობოვებული მონაცემები დაეხმარება სოფლის მეურნეობაში მომავლე სპეციალისტებს, კვებითი მრეწველობის მუშაკებს, სელექციონერებს, კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს.

პირველ ყოვლისა ჩვენი საკვლევი ობიექტს წარმოადგენდა მაღალმთიანი ადგილების კარტოფილი, რომელიც ცნობილია მაღალხარისხიანი პროდუქტად; მისი მაჩვენებლები გამოდგება სხვა ადგილებიდან ნიღბული კარტოფილის შედარებისა და სათანადო დასკვნების გამოტანისათვის. ჩვენ მიერ შესწავლილია ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის 1952 წლის მოსავლის 16 ჯიშის ნიმუში, ბაკურიანის აგრომეტეოროლოგიური სადგურის სამი ჯიშის და თბილისის აგრობიოლოგიური სადგურის ოთხი ჯიშისა და მარნეულის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის ერთი ჯიშის ნიმუში.

კარტოფილის ტუმბერის ნივთიერების რაოდენობრივი შედგენილობის ცვლილება მჭიდროდა დაკავშირებული ნივთ რიგ ფაქტორთან, როგორცაა: ჯიში, ჰავა, ნიადაგი, ადგილმდებარეობა, სისუქი, აგროტექნიკა, შენახვის

პირობები, სათესლე მასალა, მისი ხარისხი და სხვ. მაგალითად, ჯიშთა შორის გზედებით მშრალი ნივთიერებისა და მასთან დაკავშირებული სახამებლის რაოდენობაში განსხვავებას. დაკვირვებამ ნათელყო სიმდიდრე საგვიანო ჯიშებისა საადრეო ჯიშებთან შედარებით როგორც მშრალი ნაშთით, ისე სახამებლის რაოდენობით. გარდა ამისა, მრავალი კარტოფილის ველური და პრიმიტიული სახეობა ხასიათდებით როგორც სახამებლის, ისე ცილოვანი ნივთიერებისა და C ვიტამინის მაღალი შემცველობით. ლიტერატურული მასალები მიუთითებენ, რომ ჩრდილოეთ ადგილებში კარტოფილის ჯიშები აგროვებს ნაკლებ რაოდენობით სახამებელს, ვიდრე ცენტრალური და სამხრეთი ზონის ადგილები. ამის შესახებ, სამართლიანად აღნიშნავს ს. მ. პროკოშევი, რომ ამის გამოსწორება შესაძლებელია კარტოფილის ჯიშის შერჩევითა და აგროტექნიკის გაუმჯობესებით. სასუქებიდან, მაგალითად, კარგ შედეგს იძლევა ნაკელი, მინერალურიდან განსაკუთრებით აღინიშნება კალიუმის სასუქის გაყვანი. კარტოფილი უკეთეს მოსავალსა და ნაღასხარისხიან პროდუქციას იძლევა ქვიშნარსა და თხნარ ნიადაგებზე, მთიანადგილების კარტოფილი ბევრად უკეთესია დაბლობ ადგილებთან შედარებით და სხვ.

კარტოფილის ტუბერის შემადგენელი ნივთიერებიდან ჩვენ მიერ იკვლეოდა სინესტე, მშრალი ნაშთი, სახამებელი, საერთო აზოტი, C ვიტამინი და ნაცარი.

საანალიზო ნიმუშები თბილისში ჩამოტანისას ანალიზის დაწყებამდე ინახებოდა ოთახში 10—18°C ტემპერატურულ პირობებში; ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა კანმოცილებული ტუბერი. წინასწარმა შემოწმებამ კანში C ვიტამინის შემცველობაზე უარყოფითი შედეგი გვიჩვენა. C ვიტამინი ისაზღვრებოდა ტილმანსის მოდიფიცირებული მეთოდით (ისაზღვრებოდა მხოლოდ ადდგენილი ფორმა ასკორბინის მჟავისა), სახამებელი—დიასტაზის მეთოდით, აზოტი—კიელდალის წესით, სინესტე და ნაცარი—ჩვეულებრივი მეთოდით.

გამოკვლევის შედეგები მათი რიცხვობრივი მაჩვენებლებით წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ პარეულსა და მეორე ცხრილში.

წარმოდგენილი მასალის განხილვა შემდეგ სურათს იძლევა: ბაკურიანის კარტოფილში გამოკვლევის მანძილზე (23.X—3.XI.52 წ.) სინესტის რაოდენობა ცვალებადობს 72,10—76,95% ს შორის, საშუალო 74,98%-ს შეადგენს; ჯიშთა შორის სინესტის ცვალებადობის ამპლიტუდა 4,85%-ით გამოისახება; მშრალი ნაშთის რაოდენობა 23,05—27,90% ს შორის მერყეობის, საშუალო რიცხვი 25,4%-ს უდრის; სახამებელი 18,26—19,98%-ს შორის მერყეობს; ცვალებადობის ზღვარი ჯიშთა შორის 1,72%-ს შეადგენს, იგი ვიწრო ფარგლებში მოთავსებული. მშრალი ნაშთისა და სახამებლის პროცენტულ რაოდენობას შორის განსხვავება 4,79—7,92 რიცხვებით გამოისახება. ეს რიცხვები სცილდება მეტეორის მიერ მოწოდებულს მუდმივ მაჩვენებელს 5,75-ს, ასეთ დაცილებას მიუთითებს საბჭოთა კავშირის ზოგიერთი მკვლევარიც, მაგალითად, ს. პროკოშევი, ნიკოლაევი და სხვები. საერთო აზოტის რაოდენობა ცვალებადობს 0,30—0,47%-ს შორის, აქედან 0,40%-ის ზეით შეიცავს სამი მეოთხედი შესწავლილი ჯიშების ნიმუშები; საშუალო რიცხვი 0,41%-ს უდრის; ნაცარი

კარტოფილის ზოგადი ჯიშის ქიმიური შედგენილობა
ნედლ ნივთიერებაზე ნაანგარიშები

| ნომერი რაიონი | ჯიში | სიწესი %/ით | შხარდი ნაწილი %/ით | ცელულოზი %ით | სახარბილო %ით | საერთო აბორი %ით | ნაკარი %ით | თითო ტუბერის საშუალო წონა გრ-ით | თითო ტუბერის კანის სპ.წ. წონა გრ-ით | მოსავლის აუტის აპ- გული | ჩატარებული ანალიზის დრო |
|------------------|--------------|----------------|--------------------------|-----------------|------------------|---------------------|---------------|---------------------------------------|---|--|-------------------------------|
| 1 | სილოსური | 76,28 | 23,72 | 58,72 | 19,89 | 0,45 | 1,13 | 32,1 | 1,0 | ← ბაქტერიის ბოტანიკური ბაღი | 23 X 1952 |
| 2 | ალმა | 76,67 | 23,33 | 42,96 | 19,62 | 0,44 | 1,28 | 45,2 | 2,6 | | 23 X - 52 |
| 3 | კბრონი 15 | 76,95 | 23,05 | 45,25 | 19,17 | 0,42 | 1,30 | 41,5 | 1,0 | | 27 X - 52 |
| 4 | 437/34 | 75,80 | 24,20 | 32,09 | 19,80 | 0,40 | 1,01 | 52,8 | 0,20 | | 27 X - 52 |
| 5 | ხოჯლა | 76,33 | 23,17 | 41,63 | 19,96 | 0,42 | 1,13 | 35,3 | 1,10 | | 23 X - 52 |
| 6 | კბრონი 28 | 75,53 | 24,47 | 37,08 | 19,98 | 0,40 | 1,12 | 29,50 | 1,40 | | 27 X - 52 |
| 7 | კუნგლა | 76,28 | 23,72 | 34,90 | 19,18 | 0,30 | 1,36 | 32,90 | 0,50 | | 3 X I - 52 |
| 8 | ფრუბოტე | 76,90 | 23,10 | 49,32 | 18,26 | 0,41 | 1,21 | 29,60 | 0,83 | | 27 X - 52 |
| 9 | თეთრი | 73,53 | 26,47 | 53,84 | 19,98 | 0,40 | 1,20 | 46,80 | 1,20 | | 27 X - 52 |
| 10 | დეოდარა | 74,00 | 26,00 | 31,52 | 19,35 | 0,46 | 1,30 | 33,33 | 1,10 | | 23 X - 52 |
| 11 | 6/34 | 73,95 | 26,05 | 30,90 | 19,36 | 0,39 | 1,34 | 30,40 | 1,30 | | 3 X I - 52 |
| 12 | შეიტიკი | 72,94 | 27,06 | 45,95 | 19,71 | 0,47 | 1,35 | 33,42 | 0,71 | | 23 X - 52 |
| 13 | სახალბო | 73,74 | 26,90 | 28,0 | 19,08 | 0,39 | 1,26 | 48,0 | 1,00 | | 3 X I - 52 |
| 14 | გამარჯვება | 75,48 | 24,52 | 47,50 | 18,72 | 0,43 | 1,30 | 37,70 | 1,00 | | 27 X - 52 |
| 15 | 437/35 | 72,62 | 27,32 | 57,14 | 19,26 | 0,39 | 1,31 | 49,60 | 1,70 | | 3 X I - 52 |
| 16 | ოქტომბრული | 72,10 | 27,90 | 40,98 | 19,25 | 0,43 | 1,30 | 40,40 | 1,0 | | 27 X - 52 |
| | საშუალო | 74,38 | 25,62 | 42,41 | 19,34 | 0,41 | 1,24 | | | | |
| 17 | ნაესტიკი | 77,21 | 22,79 | 42,00 | 12,54 | 0,21 | 0,69 | 14,8 | 0,29 | თბილისი ფორმალდეჰ- ბოტანიკური | 23 VI - 1952 |
| 18 | სადრეო ვარდი | 75,54 | 24,46 | 46,00 | 12,10 | 0,22 | 0,64 | 9,0 | 0,22 | | |
| 19 | ასტრეაული | 80,84 | 19,16 | 47,00 | 12,54 | 0,28 | 0,80 | 13,2 | 0,28 | | |
| 20 | სეგანი | 75,71 | 24,29 | 47,00 | 12,15 | 0,28 | 0,91 | 7,51 | 0,18 | | |
| | საშუალო | 77,32 | 22,76 | 45,20 | 12,35 | 0,25 | 0,76 | | | | |
| 21 | ღორბი | 76,61 | 23,39 | 57,0 | 19,95 | 0,48 | 1,10 | 129,4 | 2,0 | ბაქტერიის ფორმალდეჰ- ბოტანიკური როლ. ს.ა.წ. | 25 IX - 1952 |
| 22 | მაესტიკი | 74,24 | 25,76 | 48,0 | 18,90 | 0,49 | 1,01 | 85,2 | 1,3 | | |
| 23 | ოსტობტე | 74,14 | 25,86 | 54,0 | 19,01 | 0,39 | 0,85 | 59,6 | 1,1 | | |
| | საშუალო | 74,99 | 25,0 | 53,0 | 19,28 | 0,44 | 0,99 | | | | |
| 24 | ღორბი | 80,50 | 19,50 | 49,0 | 18,61 | 0,35 | 0,78 | 48,4 | 0,82 | ზოიგული ბულგარ- ნის საბუნების- მეცნიერება | 29 VI 1952 წ. |

კარტოფილის ზოგერთი ჯიშის ქიმიურა შედეგნილობა
 მშრალ ნივთიერებაზე ნაანგარიშევი

| ნომერი რიგზე | ჯ ი შ ი | სახამებე- ლი % ⁰ -ით | C ვიტა- მინი მგ % ⁰ -ით | საერთო აზოტი % ⁰ -ით | ნაცარი % ⁰ -ით | მოსავლის აღების ადგილი | დ რ ო ანაწიზის ჩატარებასა |
|-----------------|---------------|------------------------------------|--|---------------------------------------|------------------------------|---|---------------------------------|
| 1 | სილოსურია | 81,25 | 236,7 | 1,89 | 4,66 | ↑ ბაკურიანის ბატანჯური ბაღი ↓ | ← 23 X 1952—3 XI 1952 წ. → |
| 2 | აღმა | 84,20 | 184,3 | 1,87 | 5,48 | | |
| 3 | ვბრონი 15 | 83,25 | 195,5 | 1,82 | 5,64 | | |
| 4 | 437 ც/34 | 81,80 | 134,3 | 1,65 | 4,17 | | |
| 5 | ხოფლა | 81,78 | 179,6 | 1,82 | 4,87 | | |
| 6 | ვბრონი 28 | 81,59 | 151,2 | 1,63 | 4,53 | | |
| 7 | კუხგლა | 80,78 | 147,4 | 1,26 | 5,74 | | |
| 8 | ფურბოტე | 79,10 | 212,6 | 1,76 | 5,23 | | |
| 9 | თეთარი | 75,40 | 225,0 | 1,51 | 4,52 | | |
| 10 | დეოდარა | 74,50 | 124,3 | 1,78 | 5,01 | | |
| 11 | ც/34 | 74,45 | 147,4 | 1,26 | 5,74 | | |
| 12 | წიკრივი | 72,90 | 169,8 | 1,74 | 4,99 | | |
| 13 | სახალხო | 71,75 | 107,6 | 1,47 | 4,79 | | |
| 14 | გამარჯვება | 71,42 | 193,8 | 1,75 | 5,31 | | |
| 15 | 48 ც 35 | 70,65 | 208,2 | 1,43 | 4,81 | | |
| 16 | ოქტომბრელი | 69,10 | 147,0 | 1,54 | 4,66 | | |
| 17 | მაყესტივი | 55,03 | 162,84 | 0,91 | 3,03 | თბილისი აგრობიოლოგიური სადგური | 23 IX 1952 წ. |
| 18 | საადრეო ვარდი | 49,80 | 133,98 | 0,90 | 2,61 | | |
| 19 | ასურეთული | 64,26 | 245,26 | 1,46 | 1,46 | | |
| 20 | სევანი | 48,70 | 193,03 | 1,12 | 1,12 | | |
| 21 | ლორზი | 81,01 | 243,69 | 2,05 | 4,70 | ბაკურიანი აგრო- მეტეოროლოგიური სადგური | 23 VI 1952 წ. |
| 22 | მაყესტივი | 74,14 | 186,33 | 1,92 | 3,87 | | |
| 23 | ოსტბოტე | 73,80 | 209,62 | 1,51 | 3,80 | | |
| 23 | ლორზი | 95,69 | 251,28 | 1,80 | 4,00 | მარნეული ბუნებათა- მეცნიერებათა სახ. კოლმეურ- ნეობა | 23 VI 1952 წ. |

1,0%-სა და 1,36%-ს შორის მერყეობს, საშუალო რიცხვი 1,24%-ს შეადგენს; C ვიტამინის რაოდენობა, გამოსახული მგ⁰-ით, ივარგლება 28,0—58,72 მგ⁰ რიცხვებით, საშუალო 42,41 მგ⁰-ს უდრის; საანალიზოდ აღებული კარტოფილის საშუალო წონა 40,9 გ უდრის. აქედან შემდევი საერთო დასკვნის გამოტანა შეიძლება: ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის კარტოფილა ხასიათდება მაღალი C ვიტამინურობით, ჯიშთა შორის ზედიზიან ისეთები, რომელთა C



ვიტამინურობა 58,72; 57,14; 53,14 მგ⁰/₁₀₀-ს შეიცავს, რაც საკმაოდ დიდ რაოდენობას წარმოადგენს კარტოფილისათვის. ყველაზე მდიდარია C ვიტამინი (58,72 მგ⁰/₁₀₀) სილოსური ჯიშის კარტოფილი. მას მოსდევს 48⁰/₁₀₀—57,14 მგ⁰/₁₀₀ და თეთრი—53,84 მგ⁰/₁₀₀; C ვიტამინის ყველაზე ნაკლებ რაოდენობას შეიცავს სახალხო—28,00 მგ⁰/₁₀₀ და e/34—30, 90 მგ⁰/₁₀₀; დეოდარა და 437 e/34 თათქმის ტოლ რაოდენობას შეიცავს, სახელდობრ—32,32 მგ⁰/₁₀₀-ს და 32,09 მგ⁰/₁₀₀-ს მეტი ნაწილი ჯიშებისათვის C ვიტამინის რაოდენობა 40—49 მგ⁰/₁₀₀-ს შორის მერყეობს. კარგ მაჩვენებლებს იძლევა ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის კარტოფილი სახამებლიანობის მხრივაც, ჯიში ეპრონი და თეთრი, თვითოეული მათგანი 19,98⁰/₁₀₀-ს შეიცავს. ასეთივე მაღალ პროცენტს იძლევა სილოსური—19,89 მგ⁰/₁₀₀, შიკრიკა—19,71 მგ⁰/₁₀₀, 437 C/34—19,80 მგ⁰/₁₀₀; შედარებით ნაკლებ პროცენტს უჭვენებს სამი ჯიში, სახელდობრ: ხოულა—18,96 მგ⁰/₁₀₀-ს, გამარჯვება—18,72 მგ⁰/₁₀₀-ს და ფრუბოტე—18,26 მგ⁰/₁₀₀-ს; სხვა დანარჩენი ჯიშთა ნიმუშებში სახამებლის პროცენტი 19 მგ⁰/₁₀₀-ს აღემატება. C ვიტამინის, სახამებლისა და საერთო აზოტის შედარებით მაღალი შეცულობა დაპარაკობს საერთოდ ბაკურიანის კარტოფილის დიდ ღირსებაზე. ასეთ შეფასების დადასტურებას იძლევა ბაკურიანის აგრომეტეოროლოგიური სადგურიდან მიღებული სამი ჯიშის ნიმუშის ანალიზის შედეგები, სახელდობრ: ლორხი, მაგესტიკი, ოსტბოტე; მათთვის C ვიტამინის შეცულობის საშუალო რიცხვი 53 მგ⁰/₁₀₀-ს უდრის, დანარჩენი წინათყურებათათვის მიღებული მონაცემები, ბოტანიკური ბაღის ასეთივე მონაცემებთან შედარებით, მცირე განსხვავებას იძლევა. სახამებლის საშუალო პროცენტი უდრის 19,28, სინესტე—74,99, საერთო აზოტი—0,44; განსხვავებას ვხვდებით მხოლოდ ნაცრისა და C ვიტამინის რაოდენობაში. აგრომეტეოროლოგიური სადგურის კარტოფილის ჯიშები მეტ C ვიტამინს შეიცავს, ხოლო ნაცარს—ნაკლებს; ამის მიზეზი ნიადაგის განსხვავებაში უნდა ვეძიოთ. საინტერესოა მოვახდინოთ ანალიზის შედეგების შედარება თბილისის აგრობიოლოგიური სადგურიდან მიღებული ოთხი ჯიშისა და ბაკურიანის აგრომეტეოროლოგიური სადგურიდან მიღებული სამი ჯიშის ნიმუშის შედეგს შორის, ვიდა ანალიზის ჩატარებისა ერთად მეორისაგან ცხრა თვით არის დაშორებული. ბაკურიანის ნიმუშებში იკვლეოდა სექტემბრის თვეში, თბილისისა—ივნისში, რასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთგვარი გავლენა უნდა მოეხდინა ტუბერის შენადგენელი ნივთიერების ცვალებადობაზე. C ვიტამინის მზრივ დიდ ცვლილებას არ აქვს ადგილი; საშუალო რიცხვი მერად არ განსხვავდება, იგი უდრის; 45,2 მგ⁰/₁₀₀ ს, 53 მგ⁰/₁₀₀-სა და 42,41 მგ⁰/₁₀₀-ს; ეს არ ითქმის სახამებლის შემცველობის შესახებ. თბილისის აგრობიოლოგიური სადგურის კარტოფილი საგრძნობლად ნაკლებ სახამებელს შეიცავს, საშუალო 12,35⁰/₁₀₀-ს უდრის, მაშინ როდესაც ბაკურიანის კარტოფილი იძლევა საშუალოდ 19,28⁰/₁₀₀ ს და 19,34⁰/₁₀₀-ს. აგრობიოლოგიური სადგურის კარტოფილის ასეთი განსხვავების მიზეზი, ჩვენი აზრით, უნდა მიეწეროს 1951 წლის გვალვიანი ზაფხულის გავლენას და, შესაძლებელია, ნიადაგის თვისებებითაც, რაზედაც მივითითებებს ნაცრის რაოდენობის მაჩვენებლები. რასაკვირველია, არ შეიძლება გამოირიცხოს თვით ჯიშობრივი თავი-



სებურებაც, ადგილმდებარეობა და მისი ჰავა. ამ ფაქტორთა გავლენის შესახებ ერთი და იგივე ჯიშის მაკესტიკისათვის მიღებული შედეგები მიკვიითიხებენ; ეს ჩანს იქედან, რომ ერთი და იგივე ჯიში ბაკურიანისა და თბილისის პირობებში, იენისში შეიცავს 12,20 მგ% სახანებელს, ხოლო სექტემბერში ბაკურიანის პირობებში—18,90 მგ%, მართა დროს ფაქტორი ასეთ დიდ განსხვავებას ვერ გამოიწვევდა.

ყურადღებას იმპრობს სინესტის რიცხვი და საერთო აზოტის რაოდენობა. მიუხედავად იენისის თვისა, თბილისის აგრობიოლოგიური სადგურის კარტოფილის ჯიშის ნიმუშები მეტ სინესტეს შეიცავს. აქ აღსანიშნავია, რომ ბაკურიანის კარტოფილის მორწყვა ბუნებრივი ნალექების გამოყოფასთან არის დაკავშირებული, ხოლო თბილისში კარტოფილი ხელოვნურად ირწყვება. საინტერესოა შევიდაროთ ერთმანეთს ლორხის ჯიშის ნიმუშების ანალიზის შედეგები, რომლებიც მარნეულიდან და ბაკურიანის ბოტანიკური ბაღიდანაა მიღებული და სხვიდასხვა დროს ანალიზირებული (იხ. ცხრილი № 3).

ცხრილი № 3

| ჯ ი შ ი | ანალიზის დრო | მთვეანს ად- გალი | ც ვიტ. მგ % -ით | სინესტე გრ % -ით | მშრალი ნაშთი გრ % -ით | საბამეული გრ % -ით | საერთო აზოტი მგ % -ით | ნაცარი გრ % -ით | საანალიზოდ აღ- ებული ცალი | ნაითი საერთო წონა გრ-ით | საშუალოდ თითო ცალს წონა გრ-ით |
|---------|--------------|---------------------|--------------------|---------------------|-----------------------------|--------------------------|-----------------------------|--------------------|------------------------------|----------------------------|----------------------------------|
| ლორხი | 29. VI. 52 | მარნეული | 49,0 | 80,50 | 19,50 | 18,61 | 0,95 | 0,78 | 10 | 484,0 | 48,4 |
| ლორხი | 25. IX. 52 | ბაკურიანი | 57,0 | 76,61 | 28,39 | 19,95 | 0,48 | 1,10 | 10 | 1294 | 129,4 |

ორივე ნიმუში ცეცხლში მცირე განსხვავდება; მარნეულის ლორხი იენისში მეტს სინესტეს შეიცავს (80,50%-ს) სექტემბრის ბაკურიანის ლორხთან შედარებით (76,61%-ს). ეს განსხვავება შეიძლება დაკავშირებული იყოს ნორწყვის საკითხთან. ბაკურიანის კარტოფილის მორწყვა ატმოსფერული ნალექების გამოყოფასთან არის დაკავშირებული. დიდ სხვაობას ვხვდებით ტუბერის წონაში, თითქმის 2,5-ჯერ მეტს იწონის ბაკურიანის ლორხის ტუბერი; საერთო აზოტს მეტს შეიცავს ბაკურიანის ლორხი, სადა იგივეს კი—მარნეულისა, რაც ჩანს მშრალ ნაშთზე გადაანგარიშებული რიცხვების დაპირისპირებით.

ზემოთაღნიშნული ადგილებიდან შესწავლილ ჯიშთა შორის კარგ მაჩვენებლებს იძლევა შემდეგი ჯიშები: მაყესტიკი, ლორხი, ოსტობოტე, შიკრკი, თეთრი, ეპრონი 23,437 ა/34, სილოსური. კარტოფილის შედგენილობაში შეშავალ ნივთიერებათა ურთიერთკავშირზე, მათ რაოდენობრივ დაგროვების უნარზე, მივიტოებენ შენდევნი მისალკები.

ერთსა და იმავე დროს 23. X. 1952 წ. სამი ჯიშისა: შიკრკის, აღმასა და ხოულის ნიმუშებისა. ანალიზი ჩატარდა ანალიზის შედეგების შედარება

გვიჩვენებს ერთგვარ კორელაციას სახამებლის, მშრალი ნაშთის, C ვიტამინისა და საერთო აზოტის რაოდენობას შორის, რაც ჩანს შემდეგ ცხრილში (იხ. ცხ. № 4).

ცხრილი № 4

| ჯ ი შ ი | მშრალი ნაშთი გრ % -ით | C ვიტამინი მგ % -ით | სახამებელი გრ % -ით | საერთო აზოტი გრ % -ით | ნაცარი გრ % -ით |
|---------|-----------------------|---------------------|---------------------|-----------------------|-----------------|
| შაქრიკი | 27,06 | 45,95 | 19,71 | 0,47 | 1,35 |
| ალმა | 23,33 | 42,96 | 19,62 | 0,44 | 1,28 |
| ხოულა | 23,17 | 41,63 | 18,96 | 0,42 | 1,18 |

მშრალი ნაშთის რაოდენობის დაკლებას თან სდევს სახამებლისა, C ვიტამინისა, საერთო აზოტისა და ნაცრის რაოდენობის შემცირება. 1952 წ. დეკემბერში მიღებულ იქნა კარტოფილის ჯიშების ახალი (მეორე) პარტია ბაქურიანის ბოტანიკური ბაღიდან, რომელიც ჩვენ მიერ იყო შესწავლილი. საანალიზო კარტოფილის ნიმუშები ანალიზის პერიოდის განმავლობაში ინახებოდა სინათლიან და არამზიან ოთახში 10—14°C ტემპერატურულ პირობებში. კარტოფილის მიღებისთანავე ყველა ნიმუში ერთდროულად იქნა განსახლვრული C ვიტამინზე (აღდგენილი ფორმა), ხოლო სხვა დანარჩენი შემადგენელი ნივთიერება შესწავლილ იქნა II. XII 52 წლისა 13. I 53 წლის პერიოდში; გამოკვლევა წარმოებდა იმავე მეთოდით, რომლითაც პირველი პარტია იყო გამოკვლეული. ქვემოთ მოცემულია ანალიზის შედეგები, როგორც ნელ ნივთიერებაზე გამოანგარიშებული, ისე მშრალ ნივთიერებაზე გადაყვანილი (იხ. ცხრ. № 6 და № 7).

მოგახდინოთ პირველი და მეორე პარტიის კარტოფილისათვის მიღებული საშუალო მონაცემთა შედარება; ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოთავსებულია შესადარებელი რიცხვები.

ცხრილი № 5

| ანალიზის პერიოდი | C ვიტ. მგ % -ით | სინესტე გრ % -ით | მრშ. ნაშთი გრ % -ით | სახამებელი გრ % -ით | საერთო აზოტი გრ % -ით | ნაცარი გრ % -ით |
|---|-----------------|------------------|---------------------|---------------------|-----------------------|-----------------|
| 1. 23 X 13, XI 52 წ. | 42,11 | 74,98 | 25,02 | 19,84 | 0,41 | 1,24 |
| 2. 11. XI 52 წ. 13. I 53 წ. | 24,89 | 74,89 | 25,05 | 19,87 | 0,47 | 1,24 |
| საშუალო მონაცემებიდან მიღებულია სხვაობა | 18,52 | 0,09 | 0,03 | 0,03 | 0,06 | 0 |

მაშასადამე 50 დღის განმავლობაში კარტოფილის შენახვის დროს (ბაქურიანის პირობებში), გარდა C ვიტამინის რაოდენობისა, დანარჩენი შემადგენელი ნივთიერებების რაოდენობის ცვლილება არ შეინიშნება.

კარტოგრაფიის ზოგადი ჯიშის ქიმიური შედეგნილობა
წელს ნივთიერებაზე ნაანგარიშები

| როგორც № | ჯიშა | სინესტემ %/ით | მშრალი ნი- ში %/ით | ც ვიტამინი მეგა %/ით | სახამებელი %/ით | სულთა აბ- ტი %/ით | ნ ცარი %/ით | თითო ტუბ- რის წონა (საშ.) %/ით | თითო ტუბ- რის კანის წი- ლი (საშ.) %/ით | ანალიზის ჩა- ტარ. დრო | მ-სკლას აღების აღ- წერი |
|-------------|----------------------------|------------------|--------------------------|-------------------------|--------------------|-------------------------|----------------|--------------------------------------|--|--------------------------|-------------------------------|
| 1 | სიბირიკი | 76,39 | 23,61 | 35,57 | 20,40 | 0,49 | 1,12 | 30,33 | 0,60 | 11/XII-52 | ბაქოიანის ბოტანიკური ბაღი |
| 2 | ნერატული პეტრ. საღ. | 76,33 | 23,67 | 20,55 | 18,64 | 0,57 | 1,29 | 44,44 | 0,37 | " | |
| 3 | ფოლტმანი 437C/34 | 74,60 | 25,40 | 19,97 | 15,92 | 0,38 | 1,36 | 31,60 | 0,90 | 18/XII-52 | |
| 4 | დუნერმი | 75,33 | 24,67 | 12,00 | 20,17 | 0,60 | 1,25 | 17,21 | 0,42 | " | |
| 5 | კატადინი | 74,03 | 25,97 | 26,47 | 17,95 | 0,46 | 1,30 | 29,60 | 0,60 | " | |
| 6 | ბერლინბანე- ნი ვარდფეოი | 74,12 | 25,88 | 42,55 | 16,59 | 0,69 | 1,35 | 21,68 | 0,41 | " | |
| 7 | ბერლინბანე- ნი ვარდფეოი | 75,14 | 24,86 | 19,35 | 18,09 | 0,40 | 1,24 | 22,00 | 1,28 | 23/XII-52 | |
| 8 | ოსტბორტე ნერატული | 74,21 | 25,79 | 34,65 | 21,80 | 0,40 | 1,13 | 36,37 | 0,62 | " | |
| 9 | ოდესიდან | 75,45 | 24,55 | 21,12 | 18,27 | 0,32 | 1,26 | 36,00 | 0,50 | " | |
| 10 | მოწინავე | 74,40 | 25,60 | 19,25 | 19,12 | 0,45 | 1,20 | 38,00 | 1,25 | 26/XII-52 | |
| 11 | გრედსკოტი | 75,15 | 24,85 | 42,36 | 21,40 | 0,49 | 1,10 | 18,07 | 0,64 | " | |
| 12 | ჩიკევა | 75,75 | 24,25 | 10,36 | 20,00 | 0,43 | 1,10 | 50,25 | 2,37 | 6/I-53 | |
| 13 | სააღრეო ვარდი | 74,65 | 25,35 | 19,15 | 19,80 | 0,43 | 1,18 | 27,00 | 1,60 | " | |
| 14 | ბერლინბანე- გეხი თეთრი | 74,52 | 25,48 | 19,35 | 18,88 | 0,59 | 1,34 | 23,66 | 1,25 | " | |
| 15 | 1004 | 74,84 | 25,16 | 17,82 | 19,31 | 0,40 | 1,32 | 35,75 | 1,62 | 9/I-53 | |
| 16 | ნერატული | 74,79 | 25,21 | 18,76 | 20,14 | 0,61 | 1,30 | 24,50 | 1,16 | " | |
| 17 | 155C/34 | 74,82 | 25,18 | 11,38 | 19,55 | 0,49 | 1,35 | 30,00 | 1,00 | " | |
| 18 | № 12 | 74,47 | 25,53 | 34,86 | 20,12 | 0,39 | 1,21 | 27,50 | 1,20 | 13/I-53 | |
| 19 | H H X | 74,42 | 25,58 | 35,76 | 20,31 | 0,45 | 1,23 | 23,50 | 0,50 | " | |
| 20 | ლორხი | 74,60 | 25,40 | 35,76 | 20,80 | 0,50 | 1,25 | 28,80 | 1,40 | " | |
| | საშუალო | 74,89 | 25,06 | 21,87 | 19,32 | 0,47 | 1,24 | | | | |

დგენელი ნივთიერებისათვის ცვლილება მეტრე აღმოჩნდა, იგი პროცენტების წილადების შესანე რიცხვია, სახელდობრ: სინესტემ დიკლო 0,09-ით მშრალმა ნაშთმა და სახამებელმა იმატა 0,03-ით, ასევე იმატა საერთო აზოტის რაოდენობამ 0,06-ით, ხოლო ნაცრის რაოდენობა დარჩა უცვლელი. შენახვის პერიოდში ც ვიტამინის რაოდენობა თითქმის ორჯერ ნაკლები გახდა. ეს ფაქტი აღინიშნება ლიტერატურაშიც, სადაც მითითებულია, რომ პირველ სამ-ორ თვეში, ჩვეულებრივად, ადგილი აქვს ც ვიტამინის რაოდენობაში შესამჩნევ დაკლებას შემდგომ პერიოდთან შედარებით.

20 ნიმუშში (იხ. ცხ. 6). ც ვიტამინის რაოდენობის მერყეობა ჯიშთა შორის 42,55 — 10,36 მგ% ზღვრებს შორის იმყოფება, სახამებელი — 21,80 — 15,82% შორის. ყველაზე მაღალ მაჩვენებელს იძლევიან შემდეგი ჯიშები: ლორხი და ოსტბორტე 21,80%-ს. ლიტერატურაში აღინიშნულია, რომ ბოლო დროს ოსტბორტემ მეტოქეობა გაუწია ვოლტმანს, მან ბიოლოგიური და

კარტოფილის ზოფიერთი ჯიშის ქიმიური შედეგნილობა
 მშრალ ნაშთზე ნაანგარიშები

| № | ქ ი შ ი | C ვიტამინი მგ. %-ით | სახანებელი %-ით | საერთო აზოტი %-ით | ნაკარი %-ით | ანალზის პატარების დრო | მოსავლის აღების ადგილი |
|----|------------------------------|------------------------|--------------------|-------------------------|----------------|-----------------------------|------------------------------|
| 1 | სიბირიაკი | 150,40 | 85,93 | 2,07 | 4,75 | 11/1-62 წ. — 19/1-63 წ. | ბაქო-ნახის მოტახევენი ბაღი |
| 2 | სერგუელა პეტრ. სადგ. | 86,80 | 78,74 | 2,41 | 5,45 | | |
| 3 | ვოლტმანი | 78,60 | 82,28 | 1,49 | 5,35 | | |
| 4 | 437 (3/34) | 44,10 | 81,76 | 2,43 | 5,07 | | |
| 5 | დუნერმა | 102,1 | 66,80 | 1,77 | 5,01 | | |
| 6 | კატადინი | 164,4 | 64,14 | 2,88 | 5,22 | | |
| 7 | ბერლინინგე- ნი ვა.დ. ფერი | 77,50 | 72,48 | 1,64 | 4,97 | | |
| 8 | ალტბოფე | 134,4 | 84,52 | 1,55 | 4,88 | | |
| 9 | ნერგთესლი ოდესიდან | 86,02 | 74,41 | 1,30 | 5,14 | | |
| 10 | ნაწინავე | 75,58 | 74,68 | 1,75 | 4,79 | | |
| 11 | გრედსკოტი | 170,40 | 86,11 | 1,97 | 4,43 | | |
| 12 | ჩიბევე | 42,72 | 82,47 | 1,84 | 4,54 | | |
| 13 | სადრეო ვარდი | 75,54 | 78,10 | 1,69 | 4,65 | | |
| 14 | ბერლინინგენი თეთრი | 75,93 | 74,09 | 2,31 | 5,26 | | |
| 15 | 1004 | 70,82 | 76,88 | 1,59 | 5,28 | | |
| 16 | ერენკონსული | 74,41 | 79,88 | 1,41 | 5,16 | | |
| 17 | 15:1/34 | 45,83 | 74,84 | 1,95 | 5,37 | | |
| 18 | № 12 | 136,50 | 78,81 | 1,53 | 4,90 | | |
| 19 | И И X | 133,1 | 79,39 | 1,75 | 4,32 | | |
| 20 | ლორხი | 140,78 | 81,88 | 1,98 | 4,91 | | |
| | საშუალო | 79,88 | 76,51 | 1,85 | 4,97 | | |

სამეურნეო თვისებებით გაუსწრო და დიკავა ვოლტმანის ადგილი. შესწავლილ 20 ნიმუშიდან საბამებელს 20 %-ზე ზევით 7 ნიმუში შეიცავს, რომლებიც ეკუთვნის შემდეგ ჯიშებს: გრედსკოტი, ИИХ ი, სიბირიაკი 437 4/34-ი, ერენკონსული, № 12-ი და ჩიბევე. გარდა ორი ჯიშისა, სიბირიაკისა და ნერგთესლისა (პეტროვსკის სადგურიდან), რომლებიც თითქმის ერთი და იმავე რაოდენობის სინესტეს შეიცავენ — 76,39%-ს და 76,33%-ს. სხვა დანარჩენ ჯიშთათვის იგი ცვალებადობს 75,75 — 74,03%-ს შორის, უმრავლესობისათვის (13 ნიმუში) — 74,12 — 74,75%-ს ინტერვალში წდებადრეობს. სინესტის საშუალო პროცენტი შეადგენს 74,89%-ს. მეორე პარტიის კარტოფილის ქიმიური შედეგნილობა ამტკიცებს ჩვენ მიერ მიღებულ დასკვნას ბაქო-ნახის კარტოფილის მილაბარის ხანობის შესახებ, რაზედაც ლაპარაკობს სახანებლის, საერთო აზოტისა და C ვიტამინის რაოდენობრივი მანგენებლები. ლიტერატურაში მითითებულია C ვიტამინის გამძლეობის შესახებ, რომელიც თავს იჩენს შენახვის პერიოდში 25 მგ-%; როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ მიღებულ შედეგებში ეს რაოდენობა უახლოვდება აღნიშნულ რიცხვს — 24,89 მგ-%-ს. ამრიგად, პირველსა და მეორე პარტიაში 1952 წლის მოსავლის კარტოფილის

36 ჯიშის ქიმიური შედგენილობის შესწავლა გვაძლევს საშუალებას, ორჯერ უფრო მეტად შევადაროთ მონაცემებიდან გამომდინარე, ბაკურიანის კარტოფილის ქიმიური შედგენილობის სურათი, შესწავლილი ვადების შესაბამისად შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: სინესტე — 74,93%, მშრალი ნაშთი — 25,03%, სახამებელი — 19,35%, საერთო აზოტი — 0,44%, ნაცარი — 1,24%, ვიტ-С 33,65%.

საინტერესოა, რომ კენიგს მოყვანილი აქვს საშუალო შედგენილობა კარტოფილისა, რომელიც ნას გამოუყვანია 1903 წელში 239 სხვადასხვა ავტორთა ანალიზის შედეგების საფუძველზე. კენიგის მოწოდებული ცნობებით სინესტის საშუალო პროცენტი უდრის 74,93, ე. ი. ჩვენ მიერ მიღებულ რაოდენობის ტოლია. მაშასადამე, 50 წლის განმავლობაში კარტოფილის სინესტის საშუალო პროცენტი არ შეცვლილა. მეორე პარტიის კარტოფილის მონაცემთა შემოწმებამ, მერკურის მიერ მოპოვებული მშრალი ნაშთისა და სახამებლის ოდენობათა შორის სხვაობის გამომსახველ რიცხვმა, კვლავ ვერ პოვა ჩვენ მასალებში დამთხვევა.

პირველსა და მეორე პარტიის კარტოფილს შორის აღმოჩნდა ერთი და იგივე ჯიში, სახელდობრ, 437 ე/34. საინტერესოა გავივით, რა ცვლილება განიცადა 50 დღის განმავლობაში შენახვის პერიოდში ამ ჯიშის კარტოფილის ტუბერბა შემადგენლობის მხრივ.

ცხრილი № 8

ჯ ი შ ი 437 ე/34

| ანალიზის დრო | С. ვიტ. მგ. %-ით | სინესტე გრ. %-ით | მშ. ნივ. გრ. %-ით | საშ.მ. გრ. %-ით | საერთო აზოტი გრ. %-ით | ნაცარი გრ. %-ით |
|--------------|------------------|------------------|-------------------|-----------------|-----------------------|-----------------|
| 28. X—52 წ. | 82,09 | 75,80 | 24,20 | 19,80 | 0,40 | 1,01 |
| 6. XII—52 წ. | 12,00 | 75,88 | 24,67 | 20,17 | 0,60 | 1,25 |

თვალსაჩინო შემცირება მოხდა С ვიტამინის რაოდენობაში დაკვების მხრივ. გარდა სინესტისა, რომელშიც 0,47-ებში დაიკლო, სხვა დანარჩენმა ნივთიერებებმა განიცადა მომატება შეათედებში, მაგრამ არა უმეტესი 0,47-სა, რაც მიეწერება კარტოფილის გაშრობის ხარჯზე მომხდარ ცვლილებებს. ვთვლით მოვლეობად მაღლობა გამოუცხადოთ ბაკურიანის ბაღის დირექტორს ე. ნ. ჯავახიშვილს საანალიზო მასალის მოწოდებისათვის.

დასკვნები

1. შესწავლილია ქიმიური შედგენილობა და С ვიტამინურობა 1952 წ. კარტოფილის მოსავლისა. გამოკვლეულია 39 ჯიშის 44 ნიმუში, შემდეგი ადგილებიდან მიღებული: ბაკურიანის ბოტანიკური ბაღისა და აგრომეტეოროლოგიური სადგურის ნაკვეთიდან, ობილისის აგრობიოლოგიური სადგურის ნაკვეთიდან და მარნეულის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობიდან.

2. შესწავლილია კარტოფილის შემდეგი ჯიშები: ლორხი, პაეესტიკი, საადრეო ვარდი, ასურეთული, სევანი, ოსტბოტე, შიკრიკი, აღმა, დეოდარა, ხოულა, თეთრი, ეპრონი 23, ეპრონი 15, სილოსური, 437ე/34, ე/34.



48 ე/35, ოქტომბრელი. განარჯვება, ფრუპოტე, კუნგლა, სახალხო-პირველი პარტიიდან და სხვა ჯიშები მეორე პარტიიდან.

3. ტუბერის შენადგენელი ნივთიერებიდან შესწავლილია პროცენტული შედგენილობა: სახამებლის, მშრალი ნაშთის, სინესტის, C ვიტამინის, საერთო აზოტისა და ნაცრის.

4. ბაკურიანის კარტოფილი თავისი მაჩვენებლებით (საშუალო მონაცემით) მაღალ შეფასებას იმსახურებს. იგი მდიდარია სახამებლით და საერთო აზოტით; C ვიტამინის მხრივ ყველა ადგილის კარტოფილის ჯიშის ნიმუში კარგ შედეგს იძლევა, რაც მივლითობებს საჭარბოვან კარტოფილის (შესწავლილი მასალის მიხედვით) მაღალ C ვიტამინურობაზე.

5. თბილისის აგრობიოლოგიური სადგურის კარტოფილის სიღარიბე სახამებლით და საერთო აზოტით ჩვენი აზრით, გამოწვეულია 1951 წლის მეტად გვალვიანი ზაფხულით; გამოირიცხული არ არის სხვა ფაქტორების გავლენაც: ადგილმდებარეობა, ჰავა, ნიადაგის ხასიათი და სხვ.

6. 50 დღის შემდეგ ბაკურიანის პირობებში შენახული კარტოფილის მეორე პარტია 20 ჯიშისაგან შემდგარი, კვლავ შესწავლნო იქნა და გამოყვანილია ამ 20 ჯიშის ქიმიური შედგენილობის საშუალო პროცენტი.

7. პირველი და მეორე პარტიის კარტოფილის საშუალო შედეგების შედარებამ განავლინა უმნიშვნელო ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა სახამებლის, სინესტისა და საერთო აზოტის რაოდენობაში; სამივე როდ, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა C ვიტამინის შემცველობაში. 50 დღის შემდეგ იგი 42,41 მგ %-იდან დავიდა 24,39 მგ %-მდე.

8. ყველაზე მაღალ C ვიტამინურობას იქნენ: სილოსური, 48 ე/35 და თეთრი. სახამებლის მხრივ—თეთრი, ებრონი და სილოსური.

9. მეორე პარტიის შედეგმა კვლავ დაადასტურა ჩვენი მიერ გამოტანილი დასკვნა ბაკურიანის კარტოფილის მაღალი ღირსების შესახებ.

10. შემჩნეულია ერთგვარი კორელაცია: სახამებლის, მშრალი ნაშთის, C ვიტამინისა და საერთო აზოტის რაოდენობის დაკრძებებს შორის.

11. კვლევის შედეგად მიღებული მასალა დაეხმარება სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგში მომუშავე სპეციალისტებს.

ლიტერატურა

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმი შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ, ამს. ვ. პ. მკავანაძის მოხსენება, „კომუნისტი“ 6. XI. № 263 (1971).
2. კარტოფილის კულტურის აგროწესები, საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოცემა, 1949 წ.
3. С. М. Прокошев, Биохимия картофеля, изд. АН СССР, 1947 г.
4. Биохимия и Физиология витаминов, изд. иностранной литературы. 1950 г.
5. В. Вертои, Картофель, изд. иностранной литературы 1952 г.



6. Д. В. Церовитниов, Химия и товароведение свежих плодов и овощей, т. I, изд. ГТИ, 1949 г.
7. J. K ö n i g, Die menschlichen Nahrungs gemissmittel, I, 701, 1908.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანული ქიმიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1953. V. 25)

Н. Цицишвили, Г. Цицишвили,
Г. Кипаренко, Б. Чихладзе

Химическое исследование картофеля некоторых районов Грузии

Резюме

Изучены на химический состав и С витаминность 39 сортов картофеля, именно: лорх, мажестик, ранняя роза, асуретули, севан, остботе, курьер, альма, деодара, хоуба, белая, зпрон 28, зпрон 15, силосный, 437с/34, с/34, 48с/35, октябренок, победитель, фруботе, кунгла и народный первой партии и 20 других сортов из второй партии урожая 1952 г.

Место сбора урожая: Бакуриани—ботанический сад и агрометеорологическая станция; Тбилиси—агробиологическая станция; Марнеули—колхоз им. Булганина. Изучены следующие составные вещества клубня картофеля: крахмал, влага, сухой остаток, С витамин, общий азот и зола.

Процентный состав клубня картофеля 16 сортов из Бакурианского ботанического сада: крахмал—19,98—18,26%, общий азот—0,47—0,30%, С витамин—58,72—28,0 мг⁰/₁₀₀, влага—76,95—72,10%, сухой остаток—27,90—23,05%, зола—1,36—1,01%. Дата производства анализа 23. X—3. X. 52 г.

3 сорта участка Бакурианской агрометеорологической станции: крахмал—19,95—18,90%, общий азот—0,49—0,36%, С витамин—57,0—48,0 мг⁰/₁₀₀, влага—76,61—74,14%, сухой остаток—25,86—23,39%, зола—1,10—0,85%. Дата анализа 25. IX. 52 г.

4 сорта участка Тбилисской агробиологической станции: крахмал—12,54—12,15%, общий азот—0,28—0,21%, С витамин—47,0—42,0 мг⁰/₁₀₀,



საქართველოს

საგანმანათლებლო

საზოგადოებრივი

влаги—80,84—75,54%, сухой остаток—24,46—19,16%, зола—64%. Дата анализа 23.VI. 52 г.

Один сорт (лорх) из колхоза Марнеули: крахмал—18,61%, С витамин—49,0 мг%, общий азот—0,35%, влага—80,50%, зола—0,78%, сухой остаток—19,50%.

Сорта картофеля из Бакуриани (средний состав), в отличие от сортов из Тбилиси и Марнеули, дают, сравнительно, почти по всем показателям исследованных веществ, в особенности высокие содержания С витамина, количество которого свидетельствует о богатстве вообще грузинского картофеля (изученных мест) этим витамином. Слишком низкий процент картофеля участка Тбилисской агробиологической станции мы склонны объяснить засушливым летом соответствующего года. Не исключено влияние и других факторов, как-то: местоположение и характер почвы, условия агротехники и др. В некоторых случаях замечена корреляция между накоплением сухого остатка, крахмала, С витамина и общего азота.

Спустя 50 дней, в период хранения картофеля изучена другая партия, состоящая из 20 сортов, полученных с Бакурянского ботанического сада. Средний процентный состав новой партии указывает на незначительную разницу порядка сотых долей, именно: количество крахмала увеличилось на 0,03, общий азот на 0,06, влага уменьшена на 0,09%, зола не изменилась в количестве. Значительное изменение произошло по отношению вит. С. Количество его снизилось с 42,41 мг% до 24,89 мг%. Итоги анализа второй партии также свидетельствуют о высоких качествах Бакурианского картофеля.

Результаты анализа представляют интерес для работников сельского хозяйства пищевой промышленности.

ა. ბეჟინი და მ. სამსონი

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი მარცვლავლი კულტურის ქიმიური გამოკვლევა

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კონიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებანი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის შეუჩერებელი ზრდისა და სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების მკვეთრად გადიდების შესახებ მთელ რიგ სერიოზულ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე.

სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის დიდ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს არა მარტო იმის ცოდნა, თუ რომელი ჯიშის თესლითან აქეთ მათ საქმე, არამედ სასურველია, რომ მათ წინასწარ იცოდნენ თესლის ქიმიური შედგენილობაც, რათა დაკვირვებით შეარჩიონ კარგი თესლი მოსავლიანობის გადიდების მიზნით. მეორე მხრით, მათ უნდა შეარჩიონ მარცვლავლის ისეთი ჯიშები, რომლებიც საკმაო რაოდენობით შეიცავს ზეთს, სახამებელსა და სხვ. იმის გამო, რომ ჩვენში შესწავლილი არ არის სათესლე მარცვლავლობა, ჩვენ განვიზრახეთ შეგვესწავლა ეს საკითხი და პრაქტიკულად დავგვეწყო მუშაობა ამ მიმართულებით. ნიმუშები ჩვენ მივიღეთ ქუთაისის სათესლე საკონტროლო სადგურიდან, აგრონომ ეპიტაჩე ნიშნიანძისგან. შესწავლის ობიექტი იყო: სიმინდი, ღომი, ხორბალი და ქერი.

ცნობილია ის გარემოება, რომ წარსულში დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ღომის კულტურა და მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ერთ-ერთ მთავარ საკვებს. მოსახლეობა დიდად იყო შეგუებული ამ კულტურას და, უნდა ითქვას, რომ სახალხო კვების ბალანსში მას თვალსაჩინო ადგილი ეკავა. ღომის კულტურა (*Panicum italicum* L.) მდიდარია ნახშირწყლებითა და ცილოვანი ნივთიერებით, ის მიეკუთვნება ნოყიერ საკვებს და ადვილი მოსანელებელია.

სამწუხაროდ, ამ კულტურის მოყვანა წლითი-წლად მცირდება. ამ გარემოებას სერიოზული უტრადდება უნდა მიეჭკეს და მისი მოყვანის აგროტექნიკის გაუმჯობესებით მივაღწიოთ არსებით გარდატეხას, რათა ღომის კულტურამ სახალხო კვების ბალანსში დაიბრუნოს თავისი პირვანდელი მდგომარეობა.

დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურა ორნახევარი საუკუნის მანძილზე მტკიცედ დამკვიდრდა. ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიმინ-



| № | სათესლე მაჩვენებლები | წ. მ. შ. ი. | სად არის მოყვანილი | მოსავლა ცენტნარზე | მარცვლი მ/მ ² | ტენიანობა %/მ ² | აზოტი %/მ ² | ფოსფორი %/მ ² | პოტაშის %/მ ² | ცენტი %/მ ² | ცელულოზა %/მ ² | საქობი %/მ ² | სრულად მშრალი | | | მცობი %/მ ² | მარცვლი ცენტნარზე | საქობი %/მ ² |
|----|-------------------------|--------------------------|--|----------------------|-----------------------------|-------------------------------|---------------------------|-----------------------------|-----------------------------|---------------------------|------------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|---------------------------|----------------------|----------------------------|
| | | | | | | | | | | | | | საქობი %/მ ² | საქობი %/მ ² | საქობი %/მ ² | | | |
| 1 | სიმინდი . . . | თეთრი ავამ- თის | სოფ. აუკეთი | 1940 | 402,00 | 14,92 | 1,80 | 10,80 | 0,54 | 5,1 | 2,27 | 1,28 | 2,12 | 12,72 | 0,83 | 6,09 | 2,67 | 1,45 |
| 2 | სამინდი . . . | ყვ. თეთრი | სახეურის რ.-ნი, სოფ. კობოლო | 1940 | 322,70 | 15,15 | 1,76 | 10,56 | 0,61 | 5,16 | 2,32 | 1,23 | 2,07 | 12,44 | 0,72 | 6,08 | 2,78 | 1,45 |
| 3 | სიმინდი . . . | აბაშის ყვითე- ლა კბლა | სოფ. ბანეთი | 1940 | 481,00 | 12,63 | 1,61 | 9,66 | 0,60 | 4,61 | 2,33 | 1,01 | 1,84 | 11,06 | 0,89 | 5,27 | 2,67 | 1,16 |
| 4 | ღამი . . . | აღცილობრივი | ანბროლაურის რ.-ნი, სოფ. ხუ- დალეთი | 1940 | 2,27 | 12,12 | 1,78 | 10,66 | 0,44 | 3,28 | — | 2,68 | 2,03 | 12,15 | 0,51 | 3,67 | — | 3,0 |
| 5 | ღამი . . . | აღცილობრივი | ანბროლაურის რ.-ნი, სოფ. ხუ- დალეთი | 1940 | 2,42 | 11,74 | 1,71 | 10,26 | 0,42 | 3,22 | — | 2,63 | 1,94 | 11,64 | 0,49 | 3,65 | — | 2,96 |
| 6 | ღამი . . . | აღცილობრივი | ტყიბულის რ.-ნი, სოფ. ჯვარი | 1940 | 1,98 | 12,30 | 1,44 | 8,64 | 0,56 | 2,94 | — | 2,54 | 1,64 | 9,81 | 0,64 | 3,55 | — | 2,90 |
| 7 | ღამი . . . | აღცილობრივი | ტყიბულის რ.-ნი, სოფ. ხორჩანა | 1940 | 2,02 | 12,15 | 1,62 | 9,72 | 0,48 | 3,20 | — | 2,44 | 1,84 | 11,04 | 0,55 | 3,64 | — | 2,78 |
| 8 | სორბალი . . . | ვახუშტის დიკ | სახეურის რ.-ნი, სოფ. კობოლო | 1940 | 23,23 | 13,11 | 1,78 | 10,15 | 1,00 | 4,03 | — | 1,98 | 2,05 | 11,68 | 1,15 | 2,34 | — | 2,27 |
| 9 | სორბალი . . . | შემოდგომის დიკი | ანბროლაურის რ.-ნი, კოლხ.-მა- ლა ცოთხაშენა | 1940 | 43,32 | 13,06 | 1,94 | 11,64 | 0,80 | 4,53 | — | 1,65 | 2,23 | 13,36 | 0,9 | 1,76 | — | 1,93 |
| 10 | სორბალი . . . | ხელუცი | ანბროლაურის რ.-ნი, კოლხ.- სახეურის რ.-ნი, სოფ. კობოლო | 1940 | 47,97 | 13,16 | 1,43 | 8,15 | 0,93 | 4,96 | — | 1,82 | 1,65 | 9,41 | 1,07 | 2,26 | — | 2,69 |
| 11 | ქერი . . . | ორ რიგაში | სოფ. კობოლო | 1940 | 37,00 | 13,04 | 1,34 | 7,64 | 1,08 | 4,76 | — | 2,74 | 1,54 | 9,24 | 1,25 | 2,02 | — | 3,13 |

დის თესლის ჯიში „აჯამეთის თეთრი“ უფრო მდიდარია ცილოვანი ნივთიერებითა და ზეთით, ვიდრე „კაჯ-თეთრი“ და „ყვირელ-კბილა“.

ლომის ჯიშს შორის „ადგილობრივი“ (სოფ. ზედალვარდია) უფრო მდიდარია ცილოვანი ნივთიერებებითა და ზეთით, ხორბლგულიდან ჯიში „ღოლი“ უფრო მეტ ცილოვან ნივთიერებას შეიცავს, ვიდრე ჯიში „ხულუგი“. ცილოვანი ნივთიერების გადასაანგარიშებლად სიმინდისა და ლომისათვის ფაქტორად ავიღეთ 6,0, ხოლო ხორბლისა და ქერისათვის — 5,7.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანალიზური ქიმიის კათედრა

(შეზოგადო რედაქციაში 1954.V.25)

М. Бекая, М. Самсония

Исследование химического состава семян некоторых зерновых культур Западной Грузии

Резюме

Для получения богатого урожая определенной сельскохозяйственной культуры, предварительное знание химического состава употребляемых семян, имеет немаловажное значение. Авторы задались целью восполнить существующий в этой области пробел. Исследованию подверглись семена, полученные из Кутаисской семенной контрольной станции следующих культур: кукуруза, гоми (*Panicum italicum* L), пшеница и ячмень.

Результаты исследования даны в виде процентного состава, пересчитанного на сухой вес.

| Наименование культур | азот % | жиры % | урожай |
|----------------------|-----------|-----------|---------|
| Кукуруза | 1,84—2,12 | 5,27—6,09 | 1940 г. |
| Гоми | 1,64—2,03 | 3,35—3,67 | 1940 „ |
| Пшеница | 1,65—2,23 | 1,76—2,34 | 1940 „ |
| Ячмень | 1,54 | 2,02 | 1940 „ |

მ. შარაშენიძე და ვ. კობიძე

ტრაგაკანტის გუმიისი გეოგრაფიული განაწილების შესახებ

ტრაგაკანტის გუმიისი წარმოადგენს ნივთიერებას, რომელსაც გამოჰყოფს მცენარე *Astragalus*-ი. ეს მცენარე ფართოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს. საქართველოში ის ცნობილია ასტრაგალის, გელერტხას ან ილერტხეს სახელწოდებით; სომხეთში—კრნიპუშის, შენამირგის, ხოსის, ხუსის, კიახის, ცაკისა და ხაზირანის სახით; აზერბაიჯანში—იხშუკიანის, გავანის სახით და სხვ. იზრდება მთის შუა სარტყელში, მშრალ ფერდობებზე.

გარდა ამისა, ეს მცენარე გავრცელებულია ირანში, სირიაში, არაბეთსა და სხვაგან. ირანში, სირიასა და არაბეთში ის იზრდება გაცილებით სწრაფად და უფრო დიდია. ამ ჯიშის განმეობით შესაძლებელია მისგან დიდი რაოდენობით მივიღოთ ნივთიერება, ტრაგაკანტის გუმიისი. განსაკუთრებით ბევრს აგროვებენ მას ქ. ტალიშში. ამის ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ქვეყნებიდან ტრაგაკანტის გუმიისი საქმით რაოდენობით გააქვთ სხვა ქალაქებში, შემოგვკონდა ჩვენს ქვეყანაშიც.

ნივთიერება ტრაგაკანტის გუმიისი დიდად საქირო და სასარგებლო პროდუქტს წარმოადგენს, ის გამოიყენება, როგორც საღებავთა შემსუბუქებელი, სააფთიაქო საქმეში, პარფიუმერიაში, საკანდიტრო საქმეში. ტრაგაკანტის გუმიისის ძირითადი გამოყენება აქვს წარმოებაში ქსოვილთა გაწებვისათვის; და ამავე დროს ქსოვილებისათვის ხმარებული საღებავების გასასქებლად კერძოდ, აბრეშუმისა და მაქმანის ქსოვილების დამზადების საქმეში.

Astragalus caucasicus, ქართულად გელერტი, ეკლიანი პატარა ბუჩქია, ის 30—40 სმ სიმაღლის ბალიშებს ქმნის.

ამიერკავკასიის სამხრეთ მაღალ უტყეო ადგილებში ასტრაგალის ბუჩქები წარმოადგენს თითქმის ერთადერთ საწევე მასალას. მისი ეკლიანი ბუჩქი იხზარება აგრეთვე აბრეშუმის ჭუპრის მიერ პარკის ამოსახვევ საფარად. ცხვარი და თხა ძალიან ეტანება ასტრაგალის ყვავილს. როდესაც გლეხებს პირუტყვისათვის საზრდო არა აქვთ, მაშინ თხრიან ამ მცენარეს, წმენდენ მას ეკლებისაგან და პირუტყვს აძლევენ საზრდოდ. საქონლის რძეს ასტრაგალი აძლევს ყვითელ ფერს. თუ მცენარე ასტრაგალი საქონელმა ბევრი კამა, მაშინ საქონლის რძე მწარე გემოსია.

ტყის დოუცველ პირობებში ასტრაგალის ზრდასა და გავრცელებას ხელს უშლის თვით ადამიანი და პირუტყვი, რის გამო ის სიმაღლით მცირე ბუჩქების ბალიშებს ქმნის.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცენარე ასტრაგალი იძლევა ე. წ. ტრაგანტი-გაიანტის გუმფისის—ტრაგანტს. ეს პროდუქტი მცენარე ასტრაგალის ღეროსა და ტოტების შეუაგულშია. მისი მოგროვება ხდება შემდეგნაირად: ასტრაგალის ეკლიან ბუჩქს გასხლავენ ან გაწეკვენ, შემდეგ ღეროს შემოაცლიან მიწას ფესვების ყელამდე და ამ ადგილას გააკეთებენ რამდენიმე ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურ ღარებს ან ხვრელებს იმგვარად, რომ ღეროს შუა გულიდან ტრაგაიანტის გუმფისის ადვილად შეეძლოს გადმოსვლა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ღარები ან ხვრელები გაკეთებული იქნება, დიწყებს დენას გუმფისი, რაც ჰაერთან შეხებისას ცივდება და მეტად ბლანტი ხდება; ამასთან, ნაწილობრივ იყვანება და მოკვითალო ფერს ღებულობს. ამ პროდუქტს უწოდებენ ტრაგაიანტის გუმფისს—ტრაგანტს ანუ გუმიტრაგანტს, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, დიდი გამოყენება აქვს განსაკუთრებით საღებავთა გასქელებისა და ქსოვილთა გაწეკვა-განამებისათვის.

ტრაგაიანტის გუმფისი-ტრაგანტი-გუმიტრაგანტი, რომელიც უმთავრესად ქსოვილთა საღებავების გასქელებისა და ქსოვილთა განამებისათვის გამოიყენება წარმოებაში, უნდა იყოს სახმარ ფორმაში ან თეთრი, ანდა ოდნავად მოკვითალო ფერისა; ჰაერზე სწრაფად არ უნდა იყვანებოდეს, ის უნდა იყოს გამჭვირვალე, რქისმაგვარი, არ უნდა ჰქონდეს არც სუნი და არც გემო. წყალში ძნელად ხსნადია, მაგრამ განიცდის ძლიერ გაჯეჯვებას და ქმნის წებოსმაგვარ წილვად მასას, რომელიც ბლანტია. ამ პროდუქტის დაჭხვივება ან მტვრად ქცევა ძნელად მოსახერხებელია. ის არ უნდა შეიცავდეს მინარევებს (ნაცარს არა უმეტეს 0,05%-ისა საუკეთესო ხარისხისათვის; ხშირად მინერალური მინარევები 3%-ს აღწევს).

ტრაგაიანტის გუმფისის გამოყენების მიზნით, მას რამდენიმე დღის ან კვირის წინ წინასწარ ასველებენ ცივი წყლით და შემდეგ ენერგიულად ხარშავენ 4—6 საათის განმავლობაში. 60 გრამი ტრაგანტი იხსნება 1 ლიტრ წყალში.

ტრაგანტის ქიმიური შედგენილობა ასეთია:

| | |
|-----------------------|------------|
| კუთრი წონა | 1,46—1,47. |
| წყალი | 20% |
| ხსნადი გუმფისი | 8—10% |
| ჰექტოზები | 60% |
| ცელულოზა | 3% |
| სახამებელი | 2—3% |
| მინერალური ნაწილაკები | 3% |

ეს შედგენილობა ძირითადია, თუმცა წარმოშობისა და მცენარის სახის მიხედვით ცვალებადობს, განსაკუთრებით წყლის შემცველობასთან დაკავშირებით.

ჩვენ მიერ მცხეთის რაიონში შერჩეულ იქნა astragalus-ის ოთხი მცენარე—დანომრილი № № 1, 2, 3, 4. ამ მცენარეებს ვაუქკეით ჰორიზონტა-



ღური ამონაჭერი ღეროს შუა გულამდე და ყოველთვიურად წარმოებდა და კვირგება მცენარეებიდან ტრაჯაკანტის პროდუქტის გამოყოფის რაოდენობა შესწავლილ იქნა თითოეული ნიმუშის ქიმიური შემადგენლობა.

განსაზღვრა წარმოებდა შემდეგნაირად:

1. კუთრი წონა—პიკრომეტრით;
2. წყალი—დინა-სტარკის მეთოდით;
3. ცელულოზა—შტომანის მეთოდით;
4. სახამებელი—კოლორიმეტრული მეთოდით;
5. პექტოზები—წონითი მეთოდით, კალციუმის პექტატის სახით;
6. ხსნადი გუმფისი—სხვაობის სახით;
7. ნინერალური ნივთიერება—გამოწვის მეთოდით;
8. სიბლანტე—ოსტვალდის ვისკოზიმეტრით.

ექსპერიმენტული ნუშაობის შედეგი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ცხრილი № 1

1951 წლის 5 ივნისი

| № № | თვისებისა და შედგენილობის დასახელება | № 1 | № 2 | № 3 | № 4 |
|-----|--------------------------------------|----------------|-------|------|------|
| | | ნი მ უ შ ე ბ ი | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1. | კუთრი წონა | 1,95 | 1,95 | 1,38 | 1,32 |
| 2. | სიბლანტე | 4,3 | 3,78 | 3,67 | 4,30 |
| 3. | წყალი %-ით | 21,0 | 20,62 | 20,2 | 20,6 |
| 4. | პექტოზები* | 60,5 | 60,2 | 60,3 | 60,5 |
| 5. | სახამებელი* | 3,3 | 3,00 | 3,0 | 3,2 |
| 6. | ცელულოზა* | 2,5 | 2,7 | 3,0 | 3,0 |
| 7. | ხსნადი გუმფისი* | 10,5 | 10,0 | 10,3 | 10,2 |
| 8. | მექანიკური მინარეგები* | 3,2 | 3,3 | 3,2 | 3,3 |
| 9. | რაოდენობა გრა-ით. | 34,5 | 46,0 | 40,0 | 28,4 |

1951 წლის 5 ივლისი

| | | | | | |
|----|-------------------------|------|------|------|------|
| 1. | კუთრი წონა | 1,38 | 1,97 | 1,40 | 1,36 |
| 2. | სიბლანტე | 4,5 | 4,1 | 3,91 | 4,40 |
| 3. | წყალი %-ით | 20,1 | 20,0 | 20,0 | 20,2 |
| 4. | პექტოზები „ | 60,7 | 60,8 | 60,8 | 60,6 |
| 5. | სახამებელი „ | 3,0 | 2,9 | 3,0 | 3,1 |
| 6. | ცელულოზა „ | 2,8 | 2,6 | 2,7 | 2,9 |
| 7. | ხსნადი გუმფისი „ | 10,6 | 10,8 | 10,5 | 10,2 |
| 8. | მექანიკური მინარეგები „ | 2,8 | 2,9 | 3,0 | 3,0 |
| 9. | რაოდენობა გრამობით | 35,0 | 46,7 | 42 | 31,5 |

1951 წლის 5 აგვისტო

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|----|-------------------------|------|------|------|------|
| 1. | კუთრი წონა | 1,41 | 1,40 | 1,43 | 1,39 |
| 2. | სიბლანტე | 4,6 | 4,3 | 4,1 | 4,6 |
| 3. | წყალი %-ით | 19,5 | 19,4 | 19,2 | 19,6 |
| 4. | პექტოზები „ | 60,8 | 59,8 | 60,8 | 60,9 |
| 5. | სახამებელი „ | 3,1 | 3,0 | 3,0 | 3,2 |
| 6. | ცელულოზა „ | 2,9 | 2,7 | 2,8 | 2,9 |
| 7. | ხსნადი გუმფისი „ | 10,8 | 11,1 | 11,0 | 10,7 |
| 8. | მექანიკური მინარეგები „ | 2,9 | 3,0 | 2,8 | 2,7 |
| 9. | რაოდენობა გრამობით | 36,3 | 48,0 | 42,1 | 29,4 |

1951 წლის 5 სექტემბერი

| | | | | | |
|----|-------------------------|------|------|------|------|
| 1. | კუთრი წონა | 1,43 | 1,42 | 1,45 | 1,42 |
| 2. | სიბლანტე | 4,7 | 4,3 | 4,2 | 4,6 |
| 3. | წყალი %-ით | 19,3 | 19,2 | 19,1 | 19,4 |
| 4. | პექტოზები „ | 60,9 | 59,9 | 60,6 | 60,7 |
Даже при особых условиях перегонки (вакуум и пр.) невозможно полностью избежать разложения иодистых органических соединений, являющихся и в этих условиях неустойчивыми. В отношении иода еще в большей степени, чем в отношении серы¹, справедливо будет отметить, что распределение иода в полученных фракциях не будет соответствовать истинному распределению его в исходной сырой нефти. К многочисленному фактическому материалу, полученному в этом направлении для серы и азота, ряд авторов совершенно справедливо относится критически.

Несмотря на сомнительную ценность исследования по распределению иода хотя бы в групповых компонентах нефти, нам кажется, что эти данные не лишены определенного геохимического интереса.

С этой целью нами было проведено определение содержания иода в различных фракциях, результаты которого приводятся в таблице № 3.

¹ А. Добрянский, Геохимия нефти, 247.



Таблица № 3

| Название нефти | Фракция С° | Выход весов. % | У на 100 г дест. или оста- тка |
|----------------|-------------------|----------------------|--------------------------------------|
| б. № 15 | 0—150 | 21,57 | 92,0 |
| " " № 15 | 150—200 | 6,58 | 23,0 |
| " " № 15 | 200—250 | 6,08 | 28,0 |
| " " № 15 | 250—300 | 9,83 | 42,0 |
| " " № 15 | остаток от перег. | | 164,0 |
| " " № 15 | в нефти (средн.) | | 374,0 |

Таким образом, при среднем содержании в нефти вода 374,0у в результате этих опытов баланс вода составляет 349,0у. Учитывая сложность подобного анализа, полученные данные можно считать удовлетворительными.

Исходя из этих данных следует, что в дестиллат перешло около 53%, а 47% осталось в остатке от перегона.

Эти данные следует рассматривать как грубо ориентировочные и они ни в какой степени не могут претендовать на действительное распределение вода в приведенных фракциях по причинам, указанным выше.

Однако, несомненно, что даже при термическом разложении соединений вода, содержащихся в нефти, все же около половины его остается в остатке. При этом характерно, что в легких фракциях (до 150°) переходит половина всего вода, полученного в дестиллате, это вероятно часть, полученная в результате термического разложения неорганических соединений тяжелых компонентов.

Полученные данные говорят о том, что большая часть соединений вода в нефти должна находиться в виде относительно термостойчивой формы.

Что же касается содержания брома, который определялся не во всех пробах, то, как видно из полученных данных для нефти (б. № 41) и норийской (б. № 31), содержание его более низко чем вода. Так, отношение $\frac{\text{Br}}{\text{J}}$ для нефти (б. № 41) составляет всего 0,22¹, а для норийской (б. № 31) получена значительно меньшая величина отношения.

Рассматривая содержание вода (а также и брома) с точки зрения современных представлений об образовании и превращении нефти, полученное

¹ Исходя из среднеарифметического, из двух параллельных определений—1,52.10⁻⁴.



нами содержание этих элементов находится в согласии с представлениями наиболее принятыми в настоящее время. Так, будем ли считать в качестве нефтеобразующего исходного материала морских животных: рыбы, моллюски и сапронелъ (по гипотезе Энглера-Гейфа) или же планктон, диатомовые, частично растительный детрит наземного происхождения (по гипотезе Добрянского); в обоих случаях концентрирование иода вполне допустимо. Данные А. П. Виноградова о концентрировании иода названными выше организмами хорошо известны. К этим общирным и убедительным данным мы хотели бы добавить результаты наших исследований по содержанию галогенов в диатомите (с Касатубского м-ния), составляющие в ‰ их $J-4,17 \cdot 10^{-4}$, $Br-6,34 \cdot 10^{-4}$, $Cl-3,3 \cdot 10^{-2}$.

Ни одна из существующих гипотез о превращении нефти¹ не может исключить возможность дальнейшего связывания иода продуктами преобразования исходного материала на сложном пути его превращений.

При рассмотрении геохимической стороны вопроса галогенов вообще и, в частности, иода, нельзя не учесть роли сопутствующих с нефтью вод. О происхождении этих последних и особенно о их взаимосвязи с нефтью нет единого мнения. В частности, для рассматриваемого нами вопроса существенно важным является вопрос парагенезиса воды и нефти. По многим признакам некоторые авторы склонны считать нефтяные воды сингенетичными с нефтью. Однако имеются не лишние обоснования мнения, говорящие против этого.

Высокое содержание иода и брома в нефтяных водах, а также их соотношение, как это видно из литературных и из полученных нами данных,² заставляет признать правильность мнения об органическом источнике обогащения этими элементами. В самом деле, согласно нашим данным в нефтяных водах, связанных с рассматриваемыми здесь нефтями, содержание иода и брома (в 1 л.) находится в пределах $2,8 \cdot 10^{-2}$ (J) и $1,0 \cdot 10^{-1}$ (Br), а отношение $\frac{Br}{J} \sim 3,5$. Эти цифры говорят за то, что захороненная вместе с нефтеобразующим материалом вода, типа морской; в процессе совместного длительного и сложного превращения обогащалась иодом и бромом (главным образом иодом).

Согласно данным А. П. Виноградова, морские илы за счет отмирания морских организмов концентрируют иод (а также и бром) в десятки тысяч раз больше по сравнению с содержанием его в морской воде.

В процессе нефтеобразования иод, содержащийся в исходном живом веществе, частично остается в связанном виде как в промежуточных продук-

¹ В том числе даже образование путем полимеризации метана.

² В. Хух и Я. Гварокемия галогенов в подземных водах: Тр. совещания гидрохимиков (Новочеркасск), 1948 г.

нами содержание этих элементов находится в согласии с представлениями наиболее принятыми в настоящее время. Так, будем ли считать в качестве нефтеобразующего исходного материала морских животных: рыбы, моллюски и сапронель (по гипотезе Энглера-Гейффа) или же планктон, диатомовые, частично растительный детрит наземного происхождения (по гипотезе Добрянского), в обоих случаях концентрирование вода вполне допустимо. Данные А. П. Виноградова о концентрировании вода названными выше организмами хорошо известны. К этим обширным и убедительным данным мы хотели бы добавить результаты наших исследований по содержанию галогенов в диатомите (с Кисатибского м-ния), составляющие в ‰-ах $J-4,17 \cdot 10^{-4}$, $Br-6,34 \cdot 10^{-4}$, $Cl-3,3 \cdot 10^{-2}$.

Ни одна из существующих гипотез о превращении нефти¹ не может исключить возможность дальнейшего связывания вода продуктами преобразования исходного материала на сложном пути его превращения.

При рассмотрении геохимической стороны вопроса галогенов вообще и, в частности, вода, нельзя не учесть роли сопутствующих с нефтью вод. О происхождении этих последних и особенно о их взаимосвязи с нефтью нет единого мнения. В частности, для рассматриваемого нами вопроса существенно важным является вопрос парагенезиса вода и нефти. По многим признакам некоторые авторы склонны считать нефтяные воды сингенетичными с нефтью. Однако имеются не лишние обоснования мнения, говорящие против этого.

Высокое содержание вода и брома в нефтяных водах, а также их соотношение, как это видно из литературных и из полученных нами данных,² заставляют признать правильность мнения об органическом источнике обогащения этими элементами. В самом деле, согласно нашим данным в нефтяных водах, связанных с рассматриваемыми здесь нефтями, содержание вода и брома (в 1 л.) находится в пределах $2,8 \cdot 10^{-2}$ (J) и $1,0 \cdot 10^{-1}$ (Br), а отношение $\frac{Br}{J} \sim 3,5$. Эти цифры говорят за то, что захороненная вместе с нефтеобразующим материалом вода, типа морской, в процессе совместного длительного и сложного превращения обогащалась водой и бромом (главным образом иодом).

Согласно данным А. П. Виноградова, морские рыбы за счет отмирания морских организмов концентрируют иод (а также и бром) в десятки тысяч раз больше по сравнению с содержанием его в морской воде.

В процессе нефтеобразования иод, содержащийся в исходном живом веществе, частично остается в связанном виде как в промежуточных продук-

¹ В том числе даже образование путем полимеризации метана.

² В. Хухия. Гидрохимия галогенов в подземных водах: Тр. совещания гидрохимиков (Новочеркасск), 1948 г.



тах превращения, так и в конечных. Химические свойства иода и его связь с органическим веществом создают благоприятные условия для выделения иода в состав образующихся продуктов органических веществ. Иод в большей степени, чем бром, способен фиксироваться при сложных превращениях органического вещества. Вероятно, главным образом, этим и можно объяснить полученные нами данные, в которых содержание иода превосходит содержание брома.

Следует здесь же отметить, что приведенные рассуждения нельзя распространять на все нефти. Известно,¹ что некоторые нефти (напр. Сахалина) не содержат иода. Если это действительно так, и это не вызвано методической ошибкой, то остается предположить, что здесь мы имеем дело с нефтеобразующим веществом с низким содержанием иода, что могло произойти в условиях иной обстановки ее образования (напр., пресноводного осадконакопления). Характерно, что воды, связанные с такой нефтью, также отличаются низким содержанием иода и иным соотношением $\frac{Br}{I}$. Все же нам кажется, что единичные приведенные выше случаи, указывающие на отсутствие иода, требуют проверки с применением более надежного метода определения.

Разнообразие типов нефти, нередко значительно отличающихся между собой физическими свойствами и химическим составом, обусловленным главным образом различными условиями происхождения и превращения, несомненно, должно было сказаться и на содержании галоидов в них. Однако, трудно предположить существование резкого колебания в содержании галоидов; в преобладающем большинстве случаев однотипные нефти в связи с геологической формацией и возрастом вмещающих пород, должны характеризоваться близким содержанием галоидов (в первую очередь иода).

Можно ли допустить привнос иода в нефть из уже сформировавшейся нефтяной воды при условии, что эта последняя образовалась не совместно с нефтью? На этот вопрос мы должны ответить отрицательно. Как отмечалось выше, концентрирование иода (и брома) в нефтяных водах является результатом привноса их из органических веществ, вероятно послуживших одновременно нефтеобразующим материалом.

Что касается роли вмещающей породы, как источника галоидов нефти, то этот фактор также не может считаться сколько-нибудь убедительным. Полученный нами фактический материал по содержанию галоидов во вмещающих породах различных стратиграфических горизонтов по месторождению Норно, а также результаты опытов по выщелачиванию этих

¹ С. Н. Максимова, Труды Института горючих ископаемых, серия генезиса, т. I, в. I.

пород¹ не дают основания считать их источником привнеса галоидов. Поумо всего баланс пода при допущении такого процесса не влжется с штабом явления.

За последние годы советскими учеными проведена значительная работа по изучению элементарного состава золь нефтей; накопленный в этом направлении материал позволил авторам сделать весьма ценные выводы, касающиеся геохимии нефти.

По данным А. П. Виноградова,² содержание вададия в золь нефтей и асфальтовых минералов СССР достигаот внушительной величины (до 50%, на золь) и имеет органогенный характер.

К хорошо изученным некоторым элементам нефтяной золь относится также ивгаль.

Особенно следует отметить обстоятельную работу С. Катченкова,³ касающуюся происхождения зольных элементов нефти. На основании многочисленных определений зольных элементов в нефтях различного района Советского Союза этот автор отмечает,⁴ что «распределение элементов может быть объяснено только на основе биогенной гипотезы о прохождении нефти и золь».

С. Катченков отвергает мнение некоторых авторов, в том числе главным образом Энглера, о привнесо зольных элементов в нефть в результате взаимодействия нефти с породами.

Л. А. Гульева установила зависимость между зольными элементами нефти от геологического возраста их залегания. По составу микроэлементов нефти и битумин СССР подразделяет на две группы: 1) в золь преобладают Si и Y, Ni и Cu или отсутствуют или содержатся в ничтожных количествах (третичные—Баку, Грозный); 2) с преобладанием Y, Ni, Cu (палеозойские—Урало-Повольжье).

К сожалению, в отношении галоидов мы не располагаем таким обширным фактическим материалом, чтобы, базвирывая на них, можно было делать геохимические обобщения, как это сделано в отношении некоторых зольных элементов нефти. Между тем мы считаем убедительным, что такие данные по галоидам могли бы служить весьма ценным дополнительным материалом при решении вопросов, касающихся происхождения и превращения нефти. Вопросу залегания и исследования нефтей различных геологических возрастов на содержание в них галоидов с увязкой с геохимической обстановкой среды должна быть посвящена специальная работа. Правда, подобная работа и ее масштаб потребуют больших усилий, терпеливой, тонкой и трудоемкой работы коллектива, в первую очередь химиков-аналитиков, но затраченный на это труд будет всецело компенсирован полученными результатами. Предстоящую в этом направлении большую работу, нам кажется, может в какой-то степени облегчить проведен-

¹ Доложено на заседании ученого совета Института нефти АН СССР, 1951 г.

² Труды биогеохим. лаб. АН СССР, 5, 19, 1959.

³ А. Виноградов, Химия живого вещества, 1952 г.

⁴ ДАН, XXVI, № 4, 563, 1951; ДАН, 62, № 3, 1946.



ნაია ნამი და ივლინა ზღა მეთოდუკა რაბოტა მო ოპრედელენიუ გალიდოვ ნეფტი.

იხოდა ნა მოსთავიენი ნამი ზადაქი და ცელეუსთრემლენი, მო ვიშოქენი ნასთაიქი რაბოტა მუ ნე მოღი ბოლეს შიროკო ზავიქიტი ეთი ვიშოქომ—ეო ოთვლელკო ბუ ნას ოთ პრიმოი ზადაქი. ესეი მუ ზავიქიტი იხედოვანიქი გალიდოვ ნეფტიქი და ოგრაიქიქიტი პრივედენიქი ნასთაიქი რაბოტე დანიქი, თო ეო ლიქი მოსთელკო, მოსკოლკო სოქი პუქიქი ივლინე გიდროქიმიქი გალიდოვ ნეფთიქი ვოქი და ვნეშაოქიქი იქ მორო დია ვიქსენი იქ ვიქსოქიქი სე ნეფტიქო.

ნიქიქო ნე პრეტენდუა ნა რაზრეშენიე ზატრონუთო ვიშოქომ, ნამ კაქეტე, ჭო პრევედენიქი ნამი რაბოტა ვ ეთო ნაიქრავლენი ვ კაქოი-თო სტეპენი მოპოქიქიტი ივლიქიქი ვ ეთო ობლასტი პრეობ.

ნა ოსოვანიქი პრევედენიქი რაბოტე მოქო სდელოქიტი ობიექტი ვივოდი:

1. ოთქიქიქი ვ პრიქსენი ნაიბოლეს პრიგოქიქიტი მეთოდი ოპრედელენი გალიდოვ ნეფტი.

2. მოღუქიტი დანიქი მო სოქრავიქიქი იოდა (ა თაქიქი ბრომა და ქლორა) ვ პორიქიქი ნეფტი.

3. ვიქსენი ნეკოტორე სოქოქრავენიქი მო გეოქიმიქი ეთიქი ელემენტოვ ნეფტი.

თბილქსქი გოსუდარქსენიქი უნივერსიტეტი
იქსენი შტალინი

კაფედრა ანალიქიქიქი ქიმიქი

(მოსუქიქიტი ვ რედაქციუ 12. V. 1954)

3. ხუნი

ნავთობეი ქალოიდებიქი შემსველოქიქი და მათი გენსაზღვრიქი მათოქიქიქი შესახებ

რ ე ბ ი უ მ ე

ნავთობეი ქალოიდებიქი ქეშმარტიქი შემსველოქიქი დადგენა ფრიად მნიშ-
ვნელოვანიქი მთელი რიგი გეოქიმიქიქი ხასიათიქი საკითხებიქი გასარქვევად,
რომლებიქიქი დაქავშირებულეიქი ნავთობიქი წარმოებასთან, გარდაქმნასთან, ნავ-
თობიქი და მასთან დაქავშირებულეი წყლის ურთიერქოქიქი შემსველასთან
და სხვ.

ამასთანავე, ეს საკითხი სრულეიად არასაკმარისად არიქი გაშუქებულეი.
არსებულეი ლიტერატურულეი მასალა ნავთობეი ქალოიდებიქი შემსველობაზე
შეტად ლარიბიქი და, ამავე დროს, ნაკლებად სანდო, გამოყენებულეი განსაზღ-
ვრიქი მეთოდიქიქი არასრულყოფიქი გამო. ქალოიდებიქი ნავთობეიქი განსაზღვრიქი



მოელი სიძნელე გამოწვეულია არა მარტო (და არა იმდენად) თვით განსაზღვრის მეოროდით, არამედ განსაზღვრისათვის გამოყენებული ნავთობის უნაქის მომზადების ხერხით და მასთან ყოველთვის დაკავშირებული წყალხსნადი ნარილების სრული მოცილებით.

ნაშრომში დაწვრილებით აღწერილია ნავთობში ჰალოიდების განსაზღვრის ჩვენ მიერ სახეშეტვლილი მეთოდიკა როგორც წყალხსნადი მარილების მოსაცილებლად, ისე წონაკის საანალიზოდ მომზადებისა და თვით განსაზღვრის ჩატარებისა. წყალხსნადი მარილების მოცილება წარმოებდა მათი წყლით არაერთგზისი გამოტანით ან აცეტონ-წყალნარევით (მომიე ნავთობის შემთხვევაში), კონტროლირება სრულ გამოტანაზე წარმოებდა წყალხსნარში იოდისა და ბრომის განსაზღვრით. ნავთობის დაწვა ხდებოდა ქრონიანი ფოლადის ზომბაში მეტალურ კალიუმთან. წყლიან გამონატუტში ვატარებდით ნახშირორთავანგს, ვაორთქლებდით, მზრალ ნაშის ფრთხილად ვახურებდით და ეთანოლით გამოტანის შემდეგ იოდისა და ბრომის განსაზღვრას ვაწარმოებდით მიკროოდომეტრულად ისე, როგორც ეს ჩვენს წინა შრომებშია აღწერილი.

ჩატარებულ იქნა უმთავრესად იოდის, ხოლო ზოგ ნიმუშებში აგრეთვე ბრომისა და ქლორის რაოდენობითი განსაზღვრა (სხვა და სხვა ქაბურღილების) ნორიოს ნავთობში.

მიღებული შედეგები შემდეგ სურათს იძლევა. იოდის შემცველობა ნავთობში (100 გრ-ზე) $3,74 \cdot 10^{-3}$ — $6,84 \cdot 10^{-4}$ -ის ფარგლებშია. ნორიოს ნავთობში კი — $3,48 \cdot 10^{-4}$. ბრომისა — $1,1 \cdot 10^{-3}$ — $1,74 \cdot 10^{-4}$, ხოლო ქლორის შემცველობა — $8,0 \cdot 10^{-3}$ — $1,8 \cdot 10^{-2}$ -ის ფარგლებშია.

მიღებული შედეგებიდან ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იოდის შემცველობა სხვა და სხვა საბადოსა და ქაბურღილის ნავთობში ერთი და იმავე რიგის სიდიდისაა— 10^{-4} %^ს. ამასთანავე მსუბუქსა და მძიმე ნავთობს შორის იოდის შემცველობაში თვალსაჩინო განსხვავება არ შეიმჩნევა; თუმცა ერთი და იმავე საბადოს ნავთობში (სუფსა) ერთგვარ განსხვავებას აქვს ადგილი.

ბრომის შემცველობა, მიღებული შედარებით მცირერიცხოვანი ცდების მიხედვით, ყველა შემთხვევაში ნაკლებია იოდისაზე. ქლორისა კი შედარებით მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება.

$\frac{Br}{J}$ შეფარდების დაბალი სიდიდე, მნიშვნელოვნად განსხვავებული ნავთობთან დაკავშირებული წყლის $\frac{Br}{J}$ შეფარდების სიდიდისაგან, მიუთითებს იოდის მეტ როლზე საწყის ნავთობწარმოებში მასალაში და გარდაქმნის პროცესში მისი მეტად დაკავშირების უნარზე. საგულისხმოა, რომ ასეთი დაბალი შეფარდება $\frac{Br}{J}$ გამორიცხავს მათი ნინერალური წარმოშობას, რაც კიდევ ადასტურებს განსაზღვრული ჰალოგენების ორგანოგენულ ბუნებას.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იოდის განაწილება ნავთობის ჯგუფურ ფრაქციებში. არის თუ არა იგი ერთნაირად დაკავშირებული მსუბუქ და მძიმე ფრაქციებთან, თუ მთლიანად დაკავშირებულია ნავთობის ფისოვან



ნავთიერებასთან. ამ მინარეთულებით ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების შედეგები, ამგვარი ცდების ჩატარებისას განსაკუთრებული ტექნიკური სიძნელის გამო, განხილული უნდა იქნას როგორც საორიენტაციო, და მასთან, როგორც გარკვეული წარმოდგენის მომცემი. ნავთობში იოდის შემცველობისას 374γ 100 გრ ზე ჩატარებული ცდების მიხედვით იოდის ბალანსი 349γ შეადგენდა. 300° მდე სხვა და სხვა ფრაქციებში გადასული იოდის ჯამური შემცველობამ 53% მოგვცა, დანარჩენი 47% მოდის ნარჩენთან შეკავშირებულ იოდზე. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილი იოდორგანული ნაერთისა დესტილაციის პირობებში უთუოდ თერმულ დაშლას განიცდის, რის გამოც ზემოთ ფრაქციაში და განსაკუთრებით დესტილაციის შემდეგ მიღებულ ნარჩენში ცდით მიღებული იოდის შემცველობა შემცირებული უნდა იყოს, ამ პირობებშიც კი მთელი იოდის თითქმის ნახევარი ნარჩენთან არის შეკავშირებული, თუ მოხერხდა ცდების ისეთ პირობებში ჩატარება, რომ გამორიცხულ იქნას გამოხდისას იოდორგანული ნაერთების თერმული დაშლა, იოდის შემცველობა მძიმე კომპონენტებში, ექვი არ არის, ნეტი უნდა იყოს.

პრ. ჯანაშიანი

საქართველოში ამიერკავკასიის ჯიქის (*Pardus pardus tullianus* Valenc) გავრცელების საქითვისათვის

საქართველოს ფარგლებში ამიერკავკასიის ჯიქის (*Pardus pardus tullianus* Valenc) გავრცელების არეალი ჯერ კიდევ არაა საკმარისად გამოკვლეული და დადგენილი.

ცნობილი გეოგრაფი ვახუშტი [8] საქართველოში ბრავლად მოსახლე ცხოველებს შორის ჯიქსაც აღნიშნავს, თუმცა იგი არ ასახელებს ამ მტაცებლის გავრცელების ადგილებს.

კავკასიის ფაუნის ცნობილი მკვლევარი ნ. დინიკი [1] ამიერკავკასიის ჯიქის გავრცელების ადგილებად საქართველოს ფარგლებში აღნიშნავს მღ. ტებერდის, მცირე ლაბისა და ყუბანის ზემოთებს, იალბუჯის კალთებს. შემდეგ იგი წერს, რომ ამიერკავკასიის ჯიქი მოიპოვება „ბზიფის ხეობაში, რიონისა და მტკვრის შორის არსებულ მთებზე და შავი ზღვის სანაპიროების მახლობლად (პონტის მთები). უფრო ხშირად გვხვდება ალაზნის ხეობასა და მის მეზობელ ადგილებში, მაგალითად, ლაგოდეხის მახლობლად“ [1]. შემდეგ იგივე ავტორი აღნიშნავს ამ მტაცებლის არსებობას „ბორჯომის სანადირო პარკში“ [1] (თანამედროვე სახელმწიფო ნაკრძალის ფარგლებში).

გამოჩენილი რუსი მკვლევარი და ზოოლოგი კ. სატუნინი [6], რომელიც დიდი ხნის განმავლობაში კავკასიის მუზეუმში მუშაობდა, ამიერკავკასიის ჯიქის გავრცელების შესახებ მეტს არაფერს იძლევა და მხოლოდ ადასტურებს დინიკის ნათქვამს.

აღნიშნულ მონაცემებს ადასტურებს აგრეთვე ცნობილი საბჭოთა მკვლევარი ს. ოგნევი, რომელიც, თავის მხრივ, წერს, რომ „დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში ჯიქი აღნიშნულია ქუთაისის რაიონისათვის“ [4], რაც არაა მართებული. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ „ქუთაისის რაიონი“ არ შეიძლება მიკუთვნებულ იქნას სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიისათვის. მეორეც, ჩვენი აზრით, დასახელებულ მკვლევარს „ქუთაისის რაიონი“ გაიგვიებული აქვს ძველი ავტორების „ქუთაისის გუბერნიისთან“, ახლანდელ რაიონსა და ძველ გუბერნიას შორის კი დიდი განსხვავებაა. საერთოდ კი ქუთაისის რაიონში (თანამედროვე ადმინისტრაციული დანაყოფის ფარგლებში) ამ მტაცებელს წარსულში არ უცხოვრია, წინააღმდეგ შემთხვე-



ვაში ცნობები ექნებოდათ კავკასიის ვაუნის ისეთი მკვლევრებს, ვინც იყვნენ კ. სატუნინი, გ. რადე და სხვები.

წარსულში ტყეების გაჩეხვამა და მტაცებლურმა ნადირობამ გამოიწვია ამიერკავკასიის ჯიქის მოსპობა ქლუხორის რაიონში [2], სადაც ეს ცხოველი, ნ. დინიკის [1] ცნობით, საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა.

ე. მარკოვის [3] დასტურით, ამიერკავკასიის ჯიქი საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა ლაგოდნის სახელმწიფო ნაკრძალის ფარგლებში, რაც ამჟამად არ შეიძლება ითქვას, რადგან აქ მისი რაოდენობა მეტად შემცირებულია და ყველგან გვხვდება გამონაკლისის სახით.

ი. ჩხიკვიშვილი [7] ირწმუნება, რომ ამიერკავკასიის ჯიქი უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვება აფხაზეთის უღრან ტყეებში.

თუ რამდენად იშვიათად გვხვდება ამიერკავკასიის ჯიქი საქართველოს ფარგლებში, შეიძლება მივიღოთ წარმოდგენა ჩვენი რესპუბლიკის ფაუნის რიგ მკვლევართა ცნობებიდან.

დასავლეთ საქართველოში ამიერკავკასიის ჯიქის არსებობის შესახებ გ. რადე წერს, რომ „ქვემო სამეგრელოში და აგრეთვე აფხაზეთის სანაპირო ზოლში ჯიქის გამოჩენის შემთხვევები მეტად იშვიათია, თუმცა ადგილობრივ, მაგალითად, ჯვარის მცხოვრებლები იცნობენ მას, როგორც მაღალ მთებზე მცხოვრებ ცხოველს, 1861 წელს ერთი ჯიქი მოკლული იყო მდ. ბზიფზე“ [5].

ი. ჩხიკვიშვილისათვის „ცნობილია, რომ 1898 წელს ჯიქი მოკლული იყო კოდორის ხეობაში“ [7].

ამ უკანასკნელი შემთხვევის შემდეგ, 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, საქართველოს ფარგლებში ამიერკავკასიის ჯიქის გავრცელების შესახებ არავითარი ცნობა არ იყო.

1950 წლის შემოდგომის დანღვეს (28 ნოემბერს) ამიერკავკასიის ჯიქის საკმაოდ დიდი ზომის ერთი ეგზემპლარი (♂)¹ მოპოვებულ იქნა სოფ. განთიადთან (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი), სადაც ამ ცხოველის წარსულში არსებობის შესახებ მითითება არ არსებობს [10].

ამიერკავკასიის მეორე დიდი ეგზემპლარი (♂)², რომლის სხეულის სიგრძითა სიგრძე აღწევს 228 სმ-მდე (აქედან კუდზე მოდის 88 სმ)³, მოპოვებულ იქნა 1954 წლის 24 თებერვალს ზედაზნის ტყეში, თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით 15 კმ-ის დაშორებით.

აღნიშნულ ადგილას, ისევე როგორც სოფ. განთიადთან, ამიერკავკასიის ჯიქის მოპოვება უაღრესად იშვიათსა და წმინტბრუნის მოვლენას წარმოადგენს. მართალია, დიდი რუსი პოეტი მ. ი. ლერმონტოვი თავის პოემაში — „მწირონი“ ავგიწერს პოემის მთავარი გმირის ხელჩართულ ზრძოლას ჯიქთან

¹ ამ ეგზემპლარის ფიტული ინახება სტალინის პედაგოგიური ინსტიტუტის ზოოლოგიურ მუზეუმში.

² მისი ტყავი და ჩონჩხი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში.

³ აღნიშნული ცნობების მიწოდებისათვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტექსი-ფერმიტს გ. გოვილაშვილს მადლობას მოვასუენებ.



სწორედ ზედაზნის ტყის ფარგლებში, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პოეტური მოქმედების შედეგი. არც ლერმონტოვამდე და არც შემდგომი დროის ზოლოტეზა და მოგზაურებს არა აქვთ. მითითებული დასახელებულ ადგილას ჯიქის არსებობის შესახებ. ამ ადგილიდან ჯიქის გავრცელების ყველაზე მახლობელ უბანს წარმოადგენს ლაგოდეხის რაიონის უღრანი ტყეები, ხოლო ყველაზე დაშორებულს — აფხაზეთის უღრანი ტყეები, სადაც ეს ცხოველი გვხვდება მეტად უმნიშვნელო რაოდენობით [7, 9].

ზემოთქნულის საფუძველზე შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი დასკვნა.

1. საქართველოს ფარგლებში ამიერკავკასიის ჯიქის გავრცელების არეალი უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში მეტად შემცირებულია.
2. ამჟამად ამიერკავკასიის ჯიქი მოიპოვება მეტად უმნიშვნელო რაოდენობით აფხაზეთისა და ლაგოდეხის რაიონის უღრან ტყეებში.
3. ბორჯომის ხეობაში, გურია-აჭარის ქედზე, რიონისა და მტკვრის შორის არსებულ ქედებზე, როგორც ჩანს, ჯიქი მოსპობილია საბოლოოდ.
4. ზედაზნის ტყეში ამიერკავკასიის ჯიქის მოპოვება შემთხვევით და გამონაკლის მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული.

ლიტერატურა

1. Н. Я. Динник, Звери Кавказа, т. I, П. Тифлис, 1914.
2. В. Князев, Тебурдинский государственный заповедник, Тбилиси, 1946.
3. Е. Л. Марков, Охотничье-промысловые животные Лагодехского заповедника, Тбилиси, 1938.
4. С. И. Огнев, Звери СССР и прилегающих стран, Москва-Ленинград, 1935.
5. Г. Радде, Museum caucasicum, Tiflis, 1899.
6. К. А. Сатунин, Млекопитающие Кавказского края, т. I, Тифлис, 1915.
7. И. Д. Чхиквишвили, К фауне млекопитающих и птиц Абхазии, Материалы к фауне Абхазии, Тбилиси, 1939.
8. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი, 1941.
9. არჩ. ჯანაშვილი, მსაღებო მტაცებლების [Fissipedia] საქართველოში გავრცელების შესწავლისათვის: თბილისის ზოპარკის შრომები, ტ. II, 1948.
10. არჩ. ჯანაშვილი, საქართველოს ძუძუმწოვრების სარკვევი, თბილისი, 1953.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გერბელთანა ზოოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. IV. 15)

А. Г. Джанашвили

К вопросу о распространении закавказского барса
(*Pardus pardus tullianus* Valenc.) в Грузии

Резюме

За последние 100 лет ареал распространения закавказского барса сильно сократился и более чем 50 лет не был зарегистрирован ни один случай его нахождения в пределах Грузии.

Один экземпляр закавказского барса был добыт осенью 1950 года около с. Гантиади (Юго-Осетинская АО Груз. ССР), чучело которого хранится в зоологическом музее Сталинского педагогического института.

Второй крупный экземпляр закавказского барса, длина которого достигала 223 см (из коих на хвост приходится 88 см) был добыт в Зедазенском лесу, расположенном в 15 километрах северо-западнее Тбилиси. Шкура и скелет этого зверя хранится в музее Грузии (Тбилиси).

Нахождение закавказского барса в указанных местах Груз. ССР исключительно случайное явление и надо отнести к забегам зверя из основного места его распространения — Главного Кавказского хребта, где он, по еще не вполне проверенным сведениям, водится в лесах Абхазской АССР и Лагодехского района.

დ. კახუნიძე

სამგორის წყალსაგებავის ფუნის შესწავლისათვის

შესავალი

სამგორის სარწყავი არხის მშენებლობის დაწყებამდე ჩვენ მიერ შესწავლილი იყო ავლაბრის მლაშე ტბის ფაუნა და მისი სასიცოცხლო პირობები [15]. სარწყავი სისტემის მშენებლობის დაწყების შემდეგ ჩვენს წინაშე დაისვა სამგორის მშენებლობის ტერიტორიაზე არსებული წყალსატევების ჰიდრობიოლოგიური გამოკვლევის ამოცანა.

უკანასკნელი 2 — 3 წლის განმავლობაში ჩვენი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით წარმოებდა ილღუნიაის [5], კუჯიისა [18] და მუხროვანის [8] წყალსატევების ჰიდრობიოლოგიური გამოკვლევა. მუშაობა მიმდინარეობდა მდინარე ივრის ბენთოსური ფაუნისა და მთავარი არხის სათავესთან შექმნილი წყალსაცავის პლანქტონური ორგანიზმების გამოსაკვლევადაც. ამავე დროს დაიწყო „თბილისის ზღვის“ პელაგური ბიოცენოზის ფორმირების შესწავლა. უკანასკნელად, ერთი წლის მანძილზე, ვმუშაობდით ზემო სამგორის ტერიტორიაზე არსებული დროებითი წყალსატევების ფაუნის შესწავლისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამგორის წყალსატევებზე ყველა აქამდე ჩატარებული და მომავალში განზრახული გამოკვლევა უაღრესად სერიოზული მნიშვნელობის საქმეა.

სამგორის, მანამდე სრულიად შეუსწავლელი, წყალსატევების ჰიდრობიოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლევის მნიშვნელობა ცხადი ხდება, როდესაც ვითვალისწინებთ იმ ცვლილებებს, რომლებიც სარწყავი სისტემის მშენებლობის დანთავრებასთან და არხის გაყვანასთან არის დაკავშირებული.

რაც მთავარია, შესრულებული და ჯერ კიდევ შესასრულებელი შრომების გაუთვალისწინებლად თითქმის სრულიად შეუძლებელია სწორი დასკვნები იქნას გამოტანილი „თბილისის ზღვის“ ბიოცენოზის ფორმირების გზების დასადგენად. წინასწარი მონაცემები ცხადად ამტკიცებს, რომ „თბილისის ზღვის“ პელაგიალში ჯერჯერობით ის ფორმები ქარბობს, რომლებიც ზემო სამგორის დროებითი ან მუდმივ-მომლამო წყალსატევებისათვის ჩვეულებრივი არიან.

აღნიშნულის გარდა, სამგორის ველის დროებითი წყალსატევების ფაუნის შესწავლა მნიშვნელოვანია იმ მარცვაკ, რომ იგი ნთელ რიგ შემთხვევაში სრულიად ახალ მასალას გვაძლევს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ზემო სამგორის ფარგლებში არსებული დროებითი წყალსატევებიდან ჩვენ მიერ მარ-



ტო ფილოზოფებიდან ნახულია რამდენიმე მეტად პოპულარული სწავლები, რომელიც აქამდე საქართველო-სათვის ცნობილი არ ყოფილა. ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ საქართველოს პიდროფათუნის შესწავლის საქმეში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ აქამდე ჩატარებული გამოკვლევები შემოთხვევითი და ებოზოდური ხასიათისაა და მეტწილად წარმოადგენენ ცალკეული მკვლევარების ერთჯერადსა ან იშვიათ ექსკურსიებზე დაფუძნებული მონაცემების განხილვას.

სამგორის ღრუბრითი წყალსატევების თავისებურებანი

ღრუბრითი წყალსატევები, რომელთა გამოკვლევას ჩვენ ვაწარმოებდით, ძირითადად სამი ტიპისაა ზემო სამგორის ტერიტორიაზე:

1. მცირე ზომის გამდინარე წყალსატევები (ღვლები), რომლებიც, შედარებით, წყალუბვობით ხასიათდებიან გაზაფხულის პერიოდში თოვლის დნობისა და ხშირი წვიმების შედეგად; ზაფხულობით ძლიერ კლებულობს წყალი კალაპოტში ან ეს წყალსატევები საბოლოოდ შრებიან დიდი სიცხეების დადგომისას. შენადგომის წვიმების დროს ისინი ისევ იწყებენ დროდადრო განახლებას. აღნიშნული ტიპის წყალსატევების კალაპოტის დაქანება სხვადასხვა ხასიათისაა; ზოგან იგი მოვაკებულია, ხოლო ზოგ ადგილს დაქანება შესაძინევად ღიდა. იქ სადაც ჩვეულებრივ წყალი შეგუბებულია, ამგვარ ადგილებში იგი ხშირად ღიდა ხნის განმავლობაში შეინარჩუნება იმ პერიოდშიც კი, როდესაც წყლის ნაკადი კალაპოტის დაქანებულ ადგილებში ამოშრობის გამო წყდება. ასეთი მცირე ზომის წყალსატევების ტემპერატურა საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს. ადრე გაზაფხულზე წყლის ტემპერატურა საშუალოდ 12°C -მდე აღდგენს, ხოლო ზაფხულში $+30, +35^{\circ}\text{C}$ -მდეც კი აღწევს. ტემპერატურული რეჟიმის ასეთი თავისებურება გამოწვეულია წყალსატევების მცირე წყლიანობით.

წყლის მარილიანობა $0,5 - 5\%$ აღწევს. გაზაფხულის პერიოდში იგი თითქმის მტკნარია, ხოლო ზაფხულობით კალაპოტში შექმნილი მცირე გუბების წყლის მარილიანობა შესაძინევად იზრდება. ამიტომაც, რომ წყლის გემო არასისიანონონა, მისი დაღვევისას ოდნავი სიმლაშე უუტყველად იგრძნობა. წყალს ადამიანისათვის გამოუსადეგარს ხდის აგრეთვე საქონელი, რომელიც ზაფხულობით მასში ჩადის და ატუტყვიანებს. წყალი გამოსადეგია მხოლოდ საქონლის სასნელად.

ასეთი წყალსატევები გვხვდება ლოქინის ხევთან, მუბროვანთან, «თბილისის ზღვასთან», საცხენისთან და სხვა მრავალ ადგილას. საცხენისთან არსებული მცირე ზომის გამდინარე წყალსატევი იმით განირჩევა, რომ იგი ძირითადად მიწისქვეშა წყლებით იკვებება.

მცირე ზომის გამდინარე წყალსატევების სასიცოცხლო პირობებს ეგუებთან მთელი რიგი სახეობები. მათში გვხვდებიან თერმოფილური და პალეოფილური სახეობები განსაკუთრებით ზაფხულობით.

2. ღრუბრითი დამდგარი წყალსატევები (გუბები). მათი წარმოშობა, ჩვეულებრივ, მცირე ზომის ტაფობებში ბუნებრივად ან ხელოვ-



ნორდ შექმნილი ნალექების წყლის დაგროვებით არის გაპირობებული. ამიტომ მათ, რომ გუბეები ჟმთაკრესად ხშირი ნალექების პერიოდში — გაზაფხულზე — შენოდგომასე — გვხვდება, ხოლო იშვიათად — ზაფხულში. ასეთი ტიპის წყალსატევების ფართობი უმეტეს შემთხვევაში უმნიშვნელოა; ასევე უმნიშვნელოა სიღრმეც.

წყლის ტემპერატურული რეჟიმი გუბეების მცირეწყლიანობით არის გაპირობებული. ამ ხსრივ ასინი შემოთ აღწერილ წყალსატევებს ემაჯავსებიან დაკვირვების მთელი პერიოდის მანძილზე გუბეების წყლის ტემპერატურა $+10^{\circ}$ -ან $+35^{\circ}$ C-მდე შეკეობს. შესამჩნევია წყლის ტემპერატურის დიდ ცვალებადობა დღეღამის განმავლობაში, რაც წყალსატევას სიმცირით არის გამოწვეული. ჩვენს მიერ შეჩვენულია, რომ გაზაფხულზე გუბეების წყლის დღეღამური ტემპერატურა $8 - 10^{\circ}$ C ფარგლებშიც კი იცვლება.

გუბეების წყლის მარილიანობა შემოთ აღწერილ განდინარე წყალსატევებისაგან განსხვავებით შესამჩნევად დიდია. იგი $10 - 30^{\circ}$ oe-დე ნერყეობს, თუმცა ზოგჯერ და ზოგ ადგილას წყლის მარილიანობა უფრო ნაკლებია. გუბეების წყლის მარილიანობის ასეთი რეჟიმი განპირობებულია ზენებრივს ან ხელოვნურ ტაფობებში ატმოსფერული ნალექების მიერ ნიადაგში არსებული გლაუბერის ნარილების ჩარეცხვითა და დაგროვებით.

ზენო სამგორის ფარგლებში დროებითი დამდგარი წყალსატევები მრავალ ადგილას გვხვდება. განსაკუთრებით მრავლად გვხვდებოდნენ ასეთი წყალსატევები ყოფილი ნლაშე ტბების (კუეისა და ილუნიანის) სანაპირო ზოლსა და მახლობელ ადგილებში, რომელთა უმეტესობა ამჟამად „თბილისის ზღვით“ არის დაფარული.

დროებითი დამდგარი წყალსატევები წარმოადგენს გარენოს, რომლებიც მთელი რიგი ორგანიზმების სასიცოცხლო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. სამგორის ველის ფარგლებში ზოგი მათგანი სპეციფიკური ფორმებითა დასაბლბული.

3. მუხროვანის ხელოვნურ დროებითი მლაშე წყალსაცავი. ორი მდომივი წყალსატევის გარდა მუხროვანში არის ხელოვნური აუზი, რომელიც ფაქტურად დროებით წყალსაცავს წარმოადგენს. ეს წყალსაცავი, ჩვეულებრივ, გაზაფხულსა და ზაფხულსა დასაწყისში არსებობს, მაგრამ ივლისიდან ოქტომბრამდე უმეტეს შემთხვევაში ამომშრალია. ნოემბრიდან წვიმების დაწყების შემდეგ მასში წყალი ისევ გროვდება. მუხროვანის დროებითი წყალსაცავის ფართობი დიდი არაა.

წყალსაცავის წყლის ტემპერატურა დაკვირვების პერიოდში (III — VI) $+16^{\circ}$ C-დან $+25^{\circ}$ C იცვლებოდა. შედარებით დიდ ფარგლებში ნერყეობს წყლის მარილთა კონცენტრაცია ($40 - 102^{\circ}/\text{oo}$), რაც იმით არის გამოწვეული, რომ აქ აუზის ფსკერზე დაარჩენილია გლაუბერის მარილთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. როგორც ჩანს, ძველად გლაუბერის მარილის კერძო მწარმოებლები ამ აუზში აგროვებდნენ მუხროვანის ტბიდან მოპოვებულ მარილებს.

ამ წყალსაცავში წლის გარკვეულ სეზონში განვითარების საშუალება ეძლევა მთელ რიგ ჰალოფილურ ორგანიზმებს.



მასალა ლა მუშაობის მეთოდში

ზემო სამგორის დროებითი წყალსატევებიდან მასალის შეგროვება მოეხდებოდა სხვადასხვა დროს (1946, 1947, 1950 წწ.). უკანასკნელად იგი წესებულ იქნა 1952 წლის პერიოდში. უმთავრესად ჩვენს ყურადღებას გამახვილებული იყო პლანქტონური ორგანიზმებზე, რომლებსაც წყალსატევების არსებობის პერიოდში პლანქტონის ბაღით ვიპყრდით, მაგრამ ამოშრობის შემთხვევებში, როდესაც ცხოველების შეგროვების საშუალება არ იყო, ვიღებდით გრუნტს ფსკერის სხვადასხვა ადგილიდან და მოგვექონდა იგი ლაბორატორიაში აკვარიუმების დასაყენებლად. საკმაოდ მოკლე ხნის განმავლობაში აკვარიუმებში ვითარდებოდნენ დროებითი წყალსატევებისათვის დამახასიათებელი ფორმები. ცხოველები ვითარდებოდნენ მათ მიერ დატოვებული კვერცხებისაგან ან გამოდიოდნენ ცისტების მდგომარეობიდან ხელსაყრელი პირობების დადგომასას. ამ გზით, ხელოვნურად, სხვებთან ერთად განვავითარებდით იმ ფორმებსაც, რომლებიც რაიმე ზიზვის გამო პლანქტონის ბადეს არ მოჰყვებოდნენ. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ფორმებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ბადის თვლებში ძვრებიან თვითნაირი მიკროსკოპულაობის გამო. აღნიშნულს გარდა, ასეთ შემთხვევაში ჩვენ საშუალება გვექონდა დაკვირვება ჩაკვეთარებინა ზოგი სახეობის ემბრიონალურისა და პოსტემბრიონალური განვითარების ხანგრძლივობაზე, მარილთა კონცენტრაციისა და სინათლისადმი დამოკიდებულებაზე და სხვ.

წყალსატევიდან მასალის აღებისას ბუნებრივ პირობებში იზონებოდა წყლის ტემპერატურა. ამავე დროს ვიღებდით წყალს და მოგვექონდა იგი ლაბორატორიაში მარილთა კონცენტრაციის განსაზღვრის მიზნით. მარილთა კონცენტრაციის გამოკვლევა გარკვეული მოცულობის წყლის ციციხლზე დაშრობითა და დარჩენილი მშრალი მასის ანალიზურ სასწორზე აწონვით წარმოებდა.

პლანქტონის სისტემატიკური გამოკვლევა წარმოებდა სპეციალური სარკვევების გამოყენებით მიკროსკოპისა და ბინკულარის ქვეშ.

ტოტალური ან სხეულის ცალკეული ნაწილების საყურადღებო პრეპარატების დაწმადება, სისტემატიკური თვალსაზრისით, წარმოებდა გლიცერინ-ჟელატინში, რომელშიც გარკვეული რაოდენობით ფორმალინის ხსნარი იყო შერეული.

პლანქტონური ორგანიზმების სინჯები კი ჩვეულებრივ 4% ფორმალინის ხსნარში ინახებოდა.

მიღებული შედეგები

ზემო სამგორის დროებითი წყალსატევების ორგანიზმთა შემადგენლობა და ცალკეული მათგანის ეკოლოგიურ-სისტემატიკური დახასიათება

ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს მოპოვებული პლანქტონური ორგანიზმების სისტემატიკური დამუშავების შედეგად გამოირკვა, რომ ზემო სამგორის დროებითს წყალსატევებში სეზონის ამა თუ იმ პერიოდსა და განსხვავებულ სასიცოცხლო პირობებში გვხვდება 30 სახეობა.



- ესენია: 1. *Asteromonas gracilis* Art.
 2. *Dunaliella salina* Teod.
 3. *Volvox globator* Ehrb.
 4. *Actinophrys sol* Ehrb.
 5. *Frontonia leucas* Ehrb.
 6. *Fabrea salina* Henn.
 7. *Kahlia costata* Kahl.
 8. *Vorticella nebulifera* Müll.
 9. *Dorylaimus* sp.
 10. *Brachionus plicatilis* Müll.
 11. *Keratella quadrata* Müll.
 12. *Monostyla lamellata* Daday.
 13. *Cephalodella catellina* (Müll)
 14. *Pedalia oxyure* Sernov.
 15. *Artemia salina* (L)
 16. *Branchinella spinosa* (M. Edwards)
 17. *Streptocephalus torvicornis* (Waga).
 18. *Apus cancriformis* Schöff.
 19. *Lynceus brachyurus*. Müll.
 20. *Daphnia magna* Straus.
 21. *Daphnia pulex* Geer.
 22. *Moina microphtalma* Sars.
 23. *Cypris pubera*. Müll.
 24. *Eucypris inflata* Sars.
 25. *Cyprinotus salinus* Brady.
 26. *Heterocypris incongruens* (Ramdhor)
 27. *Cypridopsis aculeata* (Costa).
 28. *Diaptomus salinus* Daday.
 29. *Acanthocyclops bicuspidatus* (Claus)
 30. *Cletocamptus retrogrossus* (Schneil)

ეს სახეობები ერთიანდებთან 4 ტაქსონში (Chlorophyta, Protozoa, Vermes, Arthropoda), 6 კლასში (Volvocinea, Sarcodina, Infusoria, Nematoda, Rotatoria, Crustacea), 11 რიგში (Volvocales, Heliozoa, Holotricha, Spirotricha, Peritricha, Enoplata, Monogononta, Phyllopoda, Cladocera, Ostracoda, Copepoda), 22 ოჯახში (Polyblepharidaceae, Volvocaceae, Aphrothoracidae, Frontonidae, Stentoridae, Oxytrichidae, Vorticellidae, Dorylaimidae, Brachionidae, Natomotidae, Testudenellidae, Branchinectidae, Thaumacephalidae, Streptocephalidae, Apodidae, Lynceidae, Daphnidae, Cypridae, Cypridopsidae, Cyclopidae, Cletoidae) და 29 გვარში (*Asteromonas*, *Dunaliella*, *Volvox*, *Actinophrys*, *Frontonia*, *Fabrea*, *Kahlia*, *Vorticella*, *Dorylaimus*, *Brachionus*, *Keratella*, *Monostyla*, *Cephalodella*, *Pedalia*, *Artemia*, *Branchinella*, *Streptocephalus*, *Apus*, *Lynceus*, *Daphnia*, *Moina*, *Eucypris*, *Cypris*, *Cypridopsis*, *Cyprinotus*, *Heterocypris*, *Diaptomus*, *Acanthocyclops*, *Cletocamptus*).



1. *Asteromonas gracilis* Art.

ეს ერთუჯრედიანი შოლტოსანი არსება ზემო სამგორის წყალსატევების გამოკვლევამდე საქართველოსათვის ცნობილი არ იყო. სანაგეროდ იგი აღნიშნულია საბჭოთა კავშირის მთელი რიგი კონტინენტური მარილიანი წყალსატევებისათვის.

საქართველოში იგი ნახულია ავღანბრის [15], ილღუნისის [5], კუკისა [18] და მუხროვანის [8] ტბებში.

ზემო სამგორის დროებითს წყალსატევებს შორის იგი ჩვენ მიერ საკმაოდ დიდი რაოდენობით ნახული იყო მხოლოდ იენისში, მუხროვანის დროებითს წყალსატევში, სადაც წყლის ტემპერატურა 26°C, ხოლო მარილიანობა 108‰ შეადგენდა.

2. *Dunaliella salina* Teod.

როგორც *Ast. gracilis*-ი, ისე ეს სახეობაც ფართოდ არის გავრცელებული საბჭოთა კავშირის კონტინენტურ მარილიან წყალსატევებში. ორივე ეს სახეობა ევრიბალინური ფორმებია. როგორც გამოკვლევები მიუთითებდნენ [10, 11, 13], *Dunaliella*-ს ცხოველმყოფელობასთან არის დაკავშირებული კონტინენტური მარილიანი წყალსატევების წითელი შეფერადება. *Dunaliella salina* საქართველოში ცნობილია ზემო სამგორის მლაშე წყალსატევებიდან. აღნიშნულია იგი ავღანბრის [15], ილღუნისის [5], კუკისა [18] და მუხროვანის [8] ტბებში.

გარდა ამისა, 1950 წლის 11 ივნისს ჩვენ მიერ საკმაოდ დიდი რაოდენობით ნახულია იგი მუხროვანის დროებითს წყალსატევში, წყლის 26°C და 108‰ პირობებში.

3. *Volvox globator* Ehrh.

ვოლვოქსის გვირგვინი *V. globator*-ი საერთოდ ფრიად დამახასიათებელია მტკნარი წყლის პლანქტონისათვის. ეს სახეობა ჩვენ მიერ ნახულია ზემო სამგორის დროებით წყალსატევებში გაზაფხულისა და ზაფხულის ზოგიერთ თვეში. ასე, მაგალითად, მაისში დიდი რაოდენობით იყო ნახული მლაშე ტბების მახლობელს ნეირე ზომის წყალსატევებში, ხოლო იენისში მდინარე ივრის დამდგარ ფშანებში, სოფ. სართიკალის მიდამოებიდან.

აღსანიშნავია, რომ „თბილისის ზღვის“ 1953 წლის აგვისტოსა და სექტემბრის პლანქტონის შემადგენლობაში ნახულია *V. globator*-ი.

უნდა ვთქვათ, რომ „თბილისის ზღვაში“ იგი განვითარდა ზემო სამგორის მიდამოების დროებითი წყალსატევებიდან.

4. *Actinophrys sol* Ehrh.

Actinophrys sol-ი სარკოდინების კლასის ერთ ერთი, კარგად ცნობილი წარმომადგენელია. იგი ზემო სამგორის დროებითს წყალსატევებში ჩვენ მიერ უშუალოდ არ ყოფილა შეგნეული, მაგრამ განვითარდა აკვარიუმში, რომელიც დაყენებული იყო „თბილისის ზღვას“ მიდამოებში არსებული ანომშრალი

გუბებიდან 1950 წელს მოტანილ გრუნტზე. ჩვენი დაკვირვებით, *Actinocyclus*-ი წარმოადგენს ოლიგოსპარობულ პლანქტონურ ფორმას. იგი ასეთ პირობებში, აკვარიუმში, საკმაოდ ხშირად გვხვდება და თავს კარგად გრძობს. ამ ცხოველის გავრცელების შესახებ საქართველოს წყლებში არაერთი ცნობები არ მოიპოვება ჩვენ ხელთ არსებულ ლიტერატურაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემო სამგორის ოლიგო ან მეზოსპარობული წყალსატევებისათვის იგი ერთ-ერთი ჩვეულებრივი წარმომადგენელია.

5. *Frontonia leucas* Ehrb.

ეს ინფუზორია ეკუთვნის თანაბარწამწამიანების (*Holotricha*) რიგს. იგი, როგორც ზემოთ აღნიშნული სახეობა, აკვარიუმში განვითარდა, მაგრამ არა მასობრივად.

გავესკვია [6] ზოგადად მიუთითებს, რომ ეს სახეობა მასობრივად ვითარდება ზამთრის პერიოდში ტბებისა და მდინარეების ლიტორალურ ზონაში, ხოლო ტბორებში — ფსკერზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემო სამგორის დროებითი დამდგარი წყალსატევებისათვის იგი უნდა წარმოადგენდეს დამახასიათებელ ფორმას. რომელიც კარგად ვეუება ოლიგო ან მეზოსპარობულ პირობებს. აკვარიუმში მას ვნახულობთ ფსკერზე, სადაც საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო ორგანიზმი დეტრიტი.

საქართველოს წყლებში მისი გავრცელების შესახებ ლიტერატურული ცნობები არ მოიპოვება.

აღსანიშნავია, რომ ეს ინფუზორია მოძრაობს საკმაოდ სწრაფად, მოძრაობისას იგი მთელი სხეულით ტრიალებს მარჯვნიდან მარცხნივ. ამავე დროს იგი საკმაოდ იცვლის სხეულის ფორმას ვიწრო ადგილებში გასასვლელად.

6. *Fabrea salina* Henn.

Fabrea salina, როგორც გავესკვია [6] აღნიშნავს, *Stentoridae* ბის ოჯახიდან *Fabrea*-ს გვარის ერთადერთი წარმომადგენელია, რომელიც მარილიან წყალსატევებში მოსახლეობს, იგი შესაძინევი რაოდენობით განვითარდა აკვარიუმში, რომელიც დაყენებული იყო ნუზროვანის ამომშრალი აუზიდან მოტანილ გრუნტზე. როგორც ჩანს, იგი ევრიპალინურ ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ძლიერ გამტკნარებულ პირობებს მაინც ვერ იტანს. ყოველ შემთხვევაში იგი სხვა ადგილიდან მოტანილსა და მასზე დაყენებულ აკვარიუმში არასდროს არ შეგვინიშნავს.

F. salina საქართველოს წყლებიდან აღნიშნულია მხოლოდ კუკის ტბისათვის [18]. ამ წყალსატევეში იგი კარგად იტანდა წყლის ტემპერატურისა და მარილთა კონცენტრაციის ცვლილებებს (10 — 29°C და 48,1 — 89‰).

საქართველოს წყლებისათვის *F. salina*-ს გავრცელების შესახებ ამ ცნობების გარდა არ მოიპოვება.

7. *Kahlia costata* Kahl.

K. costata შედის სპირალური წამწამიანების (*Spirotricha*) რიგში. გაეცსკიასი [6] მიხედვით იგი დამახასიათებელია მცირე ზომის წყალსატევებისათვის, სადაც გახრწნილ ფოთლებს შორის ცხოვრობს.

ზემო სამგორის მცირე ზომის გუბეების გრუნტზე დაყენებულ აკვარიუმში *K. costata* ყოველთვის მასობრივად ვითარდებოდა. იგი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყრიდა თავს ორგანულ დეტრიტში, რომელიც, ჩვეულებრივ, მდიდრად იყო წარმოდგენილი აკვარიუმის ფსკერზე. როგორც ჩანს, ეს ინფუზორია ნისთვის საუკეთესო საარსებო პირობებს (საყვებს — ბაქტერიებიდან და სხვა) ნახულობს ასეთ ადგილებში, სადაც ამავე დროს კარგად ეგუება გლახების მარილთა სუსტკონცენტრაციას.

საქართველოს წყალსატევებისათვის *K. costata* გერჯერობით ცნობილი არ არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემო სამგორის დროებითი დამდგარი წყალსატევების ოლიგო-და მეზოსაპრობული პირობებისათვის *K. costata* ჩვეულებრივ ფორმას წარმოადგენს.

8. *Vorticella nebulifera* Müll.

Vorticella-ს გვარიდან ეს სახეობა, როგორც ჩანს, მტკნარი წყალსატევებისათვის ჩვეულებრივია. იგი თავისუფლად მცხოვრები ფორმაა, რომელიც განსაკუთრებულ ფეხზე ზის. შეკუმშვისას ეს ფეხი სპირალურად ეხვევა.

V. nebulifera შესამჩნევი რაოდენობით ვითარდებოდა ლამორატორიაში — ზემო სამგორის ნეკრე ზომის გუბეების გრუნტზე დაყენებულ აკვარიუმში. აქ იგი ხშირად ენაგრება მცირე ნაწილაკებს დეტრიტისას, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, თავისუფლად მოძრაობისას მიათრევს კიდეც. ეს ინფუზორია, როგორც ჩანს, იკვებება ბაქტერიებით, რომლებიც მასობრივად წარმოდგენილი აკვარიუმის ფსკერზე არსებულ დეტრიტში.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, კერძოდ საქართველოს რომელიმე წყალსატევებისათვის, *V. nebulifera* მითითებული არ არის.

ზემო სამგორის დროებითი დამდგარი წყალსატევების მეზოსაპრობული პირობებისათვის *V. nebulifera* უძველი წარმომადგენელი უნდა იყოს.

9. *Dorylaimus* sp.

მტკნარი წყლის თავისუფლად მცხოვრები ნემატოდებიდან *Dorylaimus*-ის გვარი კირიანოვას [19] მონაცემების მიხედვით სახეობებით ყველაზე მდიდარია (200 სახეობა); მასთან, საბჭოთა კავშირში 40-ზე მეტი სახეობა აღმოჩენილი. ამავე ავტორის მიხედვით *Dorylaimus*-ის გვარის წარმომადგენლები ყველაზე მეტად მტკნარ წყლებსა და ნიადაგში გვხვდება, მაგრამ ზოგი მათგანი ცხოვრობს მომლაშო წყლებსა და ზღვევში.

ეს წარმომადგენელი, რომელიც ჩვენ ნიერ სამგორის დროებითს წყალსატევებში მრავალჯერ იყო ნახული, სახეობამდე არ არის გამოკვლეული, მაგრამ უფველია, რომ იგი მომლაშო წყლების დამახასიათებელ ფორმას უნდა წარმოადგენდეს.

მას ენახულობდით 10 — 18‰ კონცენტრაციის პირობებში, წყალსატევის ტემპერატურის ფსკერიდან აღებულ ლანში. უმთავრესად იგი გვხვდებოდა „თბილისის ზღვის“ მახლობელ გუბებში, საცხენისის დროებით დამდგარ წყალსატევებში და სხვ.

10. *Brachionus plicatilis* Müll.

Brachionus plicatilis-ი ტიპობრივი ჰალოზინტია, რომელიც მარილთა საკმაოდ მაღალ კონცენტრაციის პირობებთან არის შეგუებული. იგი ფართოდ არის ცნობილი სსრ კავშირის მარილიანი წყალსატევებისათვის, ასე, მაგ., დაგოევას [7] მიერ იგი აღნიშნულია სევასტოპოლის მახლობლად მრგვალი ყურის მარილიან ტბაში; ერმაკოვის [11] მიერ ელტონისა და ბასკუნჯაის ტბებში და ა. შ.

საქართველოს ფარგლებში იგი ნახულია ნხოლოდ ავღაბრის [15], ილდუნიათის [5], კუჯისა [18] და მუხროვანის [8] ტბებში. აღნიშნულ ტბებში იგი კარგად იტანდა ტემპერატურისა (10 — 25°C) და მარილთა კონცენტრაციის (40 — 90‰) მერყეობას.

ლიტერატურული ცნობების მიხედვით [20] ეს ციბრუტა ქია 40 თვის მანძილზე იმყოფებოდა გამომშრალ მდგომარეობაში.

ჩვენ მიერ იგი ნახულია დიდი რაოდენობით მუხროვანის დროებით მარილიან წყალსატევაში, ხოლო შესამჩნევი რაოდენობით — „თბილისის ზღვის“ მახლობელ დროებითს გუბებში 12 — 20‰ პირობებში.

11. *Keratella quadrata* (An aculeata Ehrh.)

ბენინგისა და მედვედევის [2] მონაცემების მიხედვით *K. quadrata* ფართოდ გავრცელებული სახეობაა, რომელიც გვხვდება არა მარტო მტკნარსა, არამედ მომლამო წყალსატევებში, როგორც, მაგალითად, ბასკუნჯაის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

საქართველოსათვის კუდელინას [14] მიერ *K. quadrata* აღნიშნული არის პალისტომისა და რიცას ტბებისათვის. ჩვენ მიერ [17] *K. quadrata* აღნიშნულია ჯაპანის სათევზმეურნეო წყალსატევებსა და ბაზალეთის ტბაში.

ზემო სამგორის ტერიტორიის ფარგლებში ამ ცხოველს ენახულობდით დამდგარ გუბებში, სიდაც წყლის მარილთა კონცენტრაცია 0,3‰ — 14 — 18‰-მდე იცვლებოდა. ამგვარად, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ *K. quadrata* მტკნარი წყლების გარდა ეტანება მომლამო წყალსატევებსაც. კუდელინას [14] მიხედვით პალისტომის ტბაში, რომლისათვისაც აღნიშნულია არა ტიპობრივი ფორმა, არამედ სახესხვაობა *tropica*, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ჩვეულებრივ სახეობას, რომელიც იტანს 11,6‰-მდე მარილიანობას.

12. *Monostylla lamellata* Daday

Monostylla lamellata-ს საქართველოს წყლებში გავრცელების შესახებ ლიტერატურული ცნობები არ მოიპოვება, თუ ნუხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ სტუდენტ ე. დედნანიძის მიერ ახლახან გამოკვლეულ მუხროვანის № 2 წყალსატევაში იგი გავრცელებულია.



ეს ციბრუტა ვია ჩვენ გვხვდებოდა ზემო სანგორის დამდგარ დუქნოვსკი წყალსატევებში, სადაც მარილთა კონცენტრაცია, ზოგ შენთხვევებში 1.09/100-მდე მარბობდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი კარგად იტანს მომლამო წყალსატევების პირობებს და ასეთი პირობები მის სასიცოცხლო მოთხოვნილებას უნდა შეადგენდეს.

13. *Cephalodella catallina* (Müll) volvocicola Zam.

ისევე როგორც ზემო-აღნიშნული სახეობა, *Ceph catallina*-ს გავრცელების შესახებ საქართველოს წყალსატევებში ცნობები არ არის. იგი ჩვენ მიერ საქმარო რაოდენობით ნახულია გრუნტზე დაყენებულ აკვარიუმში, რომელიც სანგორის ამომშრალი გუბეებიდან იყო მოტანილი.

14. *Pedalia oxyure* Sernov

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ეს ზემოთ იყო თქმული, საკონტროლოდ ჩვენ მიერ მასალა აღებული იყო მდინარეების სულორის, კვინისწყლისა და კორისწყლის შესართავთან, რიონის მიდამოებში.

საყურადღებოა, რომ რიონში მოპოვებულ თევზებს შორის ჩვენ ვხვდებით იმავე ფორმებს (გარდა კალმახისა და კავკასიის მდინარის ღორჯოსი), რომლებიც სულორში, კორისწყალსა და კვინისწყალში არიან გავრცელებული, მაგრამ რიონსა და განსაკუთრებით კი ზემოაღნიშნულ მდინარეთა შესართავებთან შედარებით დიდი რაოდენობით მოიპოვება ხრამული და ტაფელა (ეს უკანასკნელი უფრო მეტად გვხვდება მდინარეთა მიერ შექმნილ ტბორებში). რიონში გავრცელებულ თევზებს შორის ჩვენ არ შეგვხვედრია აგრეთვე, როგორც აღვნიშნეთ, კავკასიის მდინარის ღორჯო, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფორმა, როგორც ეს ლიტერატურაშია [2] აღნიშნული, მდ. რიონშიც მოიპოვება.

ბარაჩს [2] მოჰყავს აგრეთვე კესლერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტაფელა მდ. რიონში არ მოიპოვება, მაგრამ საკონტროლოდ აღებულ მასალაში, განსაკუთრებით ზემოაღნიშნულ მდინარეთა შესართავების მიდამოებ-



ში, ჩვენ მიერ ტაფელა დიდ რაოდენობითაა მოპოვებული. რიონში ტაფელაშვილი გავრცელების შესახებ მიუთითებს ბარაჩიც [2].

ჩვენ მიერ ნაწილობრივ შესწავლილი იყო თევზების კვების საკითხი, რაც მოცემულია ტექსტში ცალკეული სახეობების დახასიათებისას.

ჩვენ შევისწავლეთ აგრეთვე ზოგიერთი სახეობის კვების ინტენსიობა ინდექსების გამოთვლის საფუძველზე და გამოვიანგარიშეთ ნაკვებობის კოეფიციენტი, რაც დაჯამებულია № 1 ცხრილში.

| | კალმახი | ქაშაპი | ტობი | ხრამული | მარ- დულა | კობრი | წვერა | | | |
|----------------------|---------|--------|-------|---------|--------------|-------|-------|------|-------|-------|
| სიგრძე ანტი-ით | 9-12 | 12-14 | 14-16 | 10-13 | 9-12 | 12-16 | 6-10 | 9-15 | 10-14 | 15-18 |
| საშუალო ინდექსი | 48 | 32 | 34 | 34 | 37 | 38 | 34 | 40 | 23 | 18 |
| საშუალო ნაკვებობა | 150 | 145 | 146 | 139 | 145 | 145 | 130 | 155 | 149 | 138 |

ცხრილიდან ჩანს, რომ კვების ინტენსიობის ყველაზე მეტ მაჩვენებელს იძლევა კალმახი, შემდეგ კობრი და ხრამული. ნაკვებობის კოეფიციენტი კი მეტია კობრში და შემდეგ კალმახში. მაგრამ, ვინაიდან კვების ინტენსიობა განსხვავებულია წლის სხვადასხვა დროს, ამიტომ ჩვენი ცხრილი ამ მხრივ ვერ მოგვცემს სრულ სურათს და ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალები მხოლოდ ზაფხულისა და შემოდგომის თვეების მიმართ იქნება მისაღები.

დასკვნები

ვაჯამებთ რა პირად გამოკვლევითა შედეგებსა და ლიტერატურულ მონაცემებს, მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

1. საკვლევი უბნის ფარგლების მდინარეებში გავრცელებულია თევზების 12 სახეობა, რომლებიც ერთიანდება 12 გვარსა და 5 ოჯახში. ეს სახეობებია: მდინარის კალმახი—*Samto fario L.*, ქაშაპი—*Leuciscus cephalus orientalis Nordm.*, კოლხეთის ტობი—*Chondrostoma colchicum Kessl.*, კოლხეთის ხრამული—*Varicorhinus sieboldi Steid.*, კოლხეთის ციმორი—*Gobio gobio lepidolaemus natio caucasicus Kessl.*, კოლხეთის წვერა—*Barbus tauricus escherichi Steid.*, მარდულა—*Alburnoides bipunktatus faciatatus Nordm.*, ტაფელა—*Bodeus cericeus Pall.*, კობრი—*Cyprinus carpiol.*, გველანა—*Cobitis taenia L.*, ლოჭო—*Silurus glanis L.*, და კავკასიის მდინარის ღორჯო—*Gobius cephalargus constructor Nordm.*

2. ზემოჩამოთვლილი ფორმებიდან მდ. სულორში არ გვხვდება ციმორი, ტაფელა, კობრი და გველანა; კვინისწყალში—კალმახი, ციმორი, გველანა; ხოლო კორისწყალში—კალმახი.

3. კვების ინტენსიობის ყველაზე მეტ მაჩვენებლებს იძლევა კალმბები შემდეგ მოსდევს კობრი და ხრამული.

4. ნაკვებობის კოეფიციენტი ყველაზე მეტი აქვთ კობრსა და კალმბს.

ლიტერატურა

1. მ. ბურჯანაძე — საქართველოს მტკვარი წყლების თევზთა სარკვევი, თბილისი, 1940.
2. Г. П. Барач, Фауна Грузии, т. I. Рыбы пресных вод, Тбилиси, 1941.
3. Л. С. Берг, Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран, ч II, 1939.
4. А. Э. Брем, Жизнь животных, т III, Москва, 1932.
5. П. Никольский, Частная ихтиология, Москва, 1950.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნერბემლიანთა ზოოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V. 25)

В. Г. Ткешелашвили

К изучению ихтиофауны притоков Риони

Резюме

Автор на основании личных исследований в притоках Риони, в пределах Ванского района, а именно в реках Сулори, Квинисцкали и Корисцкали установил распространение 12 видов рыб, относящихся к 12 родам и пяти семействам.

В пределах Ванского района водятся следующие виды рыб:

1. Речная форель — *Salmo fario* L.
2. Голавль — *Leuciscus cephalus orientalis*, Nordm.
3. Колхидский подует — *Chondrostoma colchicum*, Kessl.
4. Колхидская храмуля — *Varicorhinus sieboldi*, Steind.
5. Западно-Кавказский пескарь — *Cobio gobio lepidolaemus natio caucasicus*, Kessl.
6. Колхидский усач — *Barbus tauricus escherichi*, Steind.
7. Южная быстрянка — *Alburnoides bipunctatus faciatus*, Nordm.
8. Амурский горчак — *Rodeus sericeus*, Pall.
9. Сазан — *Cyprinus carpio*, L.
10. Щиповка — *Cobitis taenia*, L.
11. Сом — *Silurus glanis*, L.
12. Кавказский речной бячок — *Gobius cephalarges constructor*, Nordm.



Из перечисленных рыб в р. Сулори не встречаются: западно-кавказский пескарь, амурский горчак, сазан, шиповка. В Квиницкали не водятся речная форель, западно-кавказский пескарь и шиповка, и в Корисцали — речная форель.

В отношении питательности питания большие показатели имеет форель, потом следует сазан и храмуля. Коэффициент упитанности больше всех имеет сазан и форель.

ი. ახალია

დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა შთამომავლობაზე პკრუშუმის ჭიანჭი (*Bombyx mori* L.)

შესავალი

შთამომავლობაზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენის საკითხი მტკიცე კავშირში იმყოფება მიჩურინული ბიოლოგიის ისეთ ცენტრალურ პრობლემასთან, როგორცაა ცოცხალი ორგანიზმის განვითარებაში სიცოცხლის პირობების გადამწყვეტი მნიშვნელობის პრობლემა. ამ საკითხის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა დიდია.

შთამომავლობაზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენის შესწავლის მიზნით მრავალი საინტერესო გამოკვლევა შესრულებული ცხოველურსა და მცენარეულ ობიექტებზე.

ჯერ კიდევ მაგნუსის (Magnus, 1907) მიერ კურდღლებზე, ხოლო ჰეტრის (Guthrie, 1908) მიერ ქათმებზე ნაჩვენები იქნა დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა შთამომავლობის ნიშანთვისებებზე. მაგრამ მაგნუსისა და ჰეტრის ეს მონაცემები ფორმალური გენეტიკის წარმომადგენლებმა—კესლიმ და ფილპსმა (Castle a. Philipps, 1911) და დვენპორტმა (Davenport, 1911) უმართებულად მეოოდური შეცდომის ნაყოფად გამოაცხადეს.

შთამომავლობის რაოდენობრივი ნიშნის (სხეულის ზომა) ჩამოყალიბებაზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა ნაჩვენები იქნა უოლტონისა და ჰემონდის (Walton a. Hammond, 1938) მიერ ცხენებზე.

აკად. მ. თ. ივანოვი (1939) დაადგინა დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა შთამომავლობის სხეულის ზომაზე ცხვარში. ანალოგიური შედეგები მიღებულ იქნა სას.სამ. ცხოველთა სხვადასხვა ფორმებზე შეკინის (1946), კიატკინის (1946), პაკის (1946), როსტოვეცვის (1949), კუშნერის (1950) და სხვათა მიერ.

აღნიშნული ფაქტები შეეხება დედა ორგანიზმის სხეულის სიდიდის უპირატეს გავლენას შთამომავლობის ცოცხალ წონაზე. უკანასკნელ დროს მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემები კი ნათლად მეტყველებენ დედა ორგანიზმის უპირატეს როლზე შთამომავლობის თვისებრივი ხასიათის ნიშნების ჩამოყალიბებაშიც.

ამ მიმართულებით საინტერესო გამოკვლევა იქნა შესრულებული ბარინიკოვის, ზაკისა და პავლოვის (1950) მიერ. მათ გვიჩვენებს დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა ისეთ კონსერვატიულ ნიშანზე, როგორცაა ბეწვის შეფე-



რილობა კურდღლის ერთი ჯიშის დედა ორგანიზმიდან მეორე ჯიშის დედა ორგანიზმში საკვერცხეების გადანერგვის გზით. ანალოგიური ფაქტი აღწერილი იქნა კვანძიკისა და მარტინენკოს (1951) მიერ. მხოლოდ დასახელებული ავტორები ახდენდნენ კვერცხუჯრედების გადანერგვას კურდღლის ერთი ჯიშის დედა ორგანიზმიდან მეორე ჯიშის დედა ორგანიზმში.

დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა შთამომავლობის ექსტერიორულ ნიშნებზე, სიცოცხლისუნარიანობისა და მეშვეიდრულობის შეცვლაზე ნაჩვენები იქნა კურბატოვის (1951) მიერ კურდღლებზე, ლობიონის, ლოგინოვასა და კარპოვის (1950) მიერ — ცხვარზე და ლებედევის (1949) მიერ — ქათმებზე.

შთამომავლობის ნიშანთვისებებზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენის შესახებ მცირე მონაცემები მოგვეპოვება მწერებზე. შთამომავლობაზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენის ფაქტი დადგინდა იქნა შნიდერის (Schneider, 1940) მიერ ტრიბოლიუმში, მაგრამ ავტორს არ მოუცია ამ ფაქტის ახსნა. ხესინმა (1947) დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა (დედის ეფექტი ავტორის მიხედვით) შთამომავლობაზე დაადგინა დროზოფილაში, მაგრამ ეს ფაქტი მორგანისტული ცრუ შეხედულებებით ახსნა.

მოტანილი ფაქტობრივი მონაცემები ნათელყოფენ, რომ დედა ორგანიზმში ჩანასახისთვის ფუტლარი, პასიური გარემო კი არ არის, არამედ წარმართავს ჩანასახის განვითარებას. ემბრიონულ განვითარებაში გამოწვეული ცვლილებები, თავის მხრივ, ღრმა გავლენას ახდენს პოსტემბრიონული განვითარების მსვლელობაზე და ამით განაპირობებს მთელი რიგი ნიშანთვისებების ჩამოყალიბება-ფორმირებას ინდივიდში.

ამრიგად, შთამომავლობის ნიშანთვისებებზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენის შესწავლის მიზნით მრავალი საინტერესო გამოკვლევაა ჩატარებული უმეტესად ხერხემლიან ცხოველებზე. მაგრამ ეს საკითხი ღრმა შესწავლას მოითხოვს მწერების მიმართ, სახელდობრ კი ისეთი სასარგებლო მწერის მიმართ, როგორცაა აბრეშუმის ქია.

ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დედა ორგანიზმის შედარებით უპირატესი გავლენის შესწავლა შთამომავლობის ნიშანთვისებებზე აბრეშუმის ქიაში.

კვლევის მეთოდიკა

აბრეშუმის ქიის მსხვილ-და წვრილპარკიანი ჯიშების პირდაპირი და შებრუნებული შეჯვარებისას აღნიშნული იყო დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა შთამომავლობის რაოდენობრივ ნიშნებზე (ნედლი პარკისა და გარსის წონა). მენდელისტ-მორგანისტებმა აღნიშნული მოვლენა მიაწერეს აბრეშუმის ქიის კვერცხის საკვები ნივთიერების პასიურ გავლენას ჩანასახზე და უარყვეს დედა ორგანიზმის უპირატესი როლი შთამომავლობის ისეთ თვისებრივი ხასიათის ნიშნის ჩამოყალიბებაში, როგორცაა ქიების ცხოველმყოფელობა. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ მიზნად დავისახეთ გამოვევრკვიო, ახდენს თუ არა დედა ორგანიზმი უპირატეს გავლენას შთამომავლობის ცხოველმყოფე-



ლობაზე აბრეშუმის ქიაში, ამ საკითხის შესწავლის მიზნით ცდები ჩავატარეთ აბრეშუმის ქიის ისეთ ჯიშებზე, რომლებიც ზაფხულის პირობებში გამოკვეთასს მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ქიების ცხოველმყოფელობით, მაგრამ გაზაფხულზე გამოკვეთის დროს დაახლოებით თანაბარი სიდიდის პარკს იძლევიან. ასეთი ჯიშებია: ბივოლტინური 110 და თეთრპარკიანი № 4.

დავამზადეთ ჰიბრიდული თესლი აღნიშნული ჯიშების პირდაპირი და შებრუნებული შეჯვარების შედეგად. ერთდროულად დავამზადეთ აგრეთვე ხალასჯიშიანი თესლიც—საკონტროლოდ.

ჰიბრიდული და ხალასჯიშიანი თესლის ინკუბაცია ჩატარდა ერთდროულად და შედარებით ერთნაირ პირობებში 1950 წლის ზაფხულში.

საცდელი და საკონტროლო ვარიანტების ქიებისათვის დაცული იყო გამოკვეთის შედარებით ერთნაირი პირობები. ყოველ ვარიანტზე აღებული იყო სამ-სამი გამეორება 250 ქიის რაოდენობით თითოეულში.

ქიების ცხოველმყოფელობა განვსაზღვრეთ ცოცხალი პარკის რაოდენობის გამოსაკვებად აღებული ქიების რაოდენობასთან შეფარდებით.

ცდის მეორე სერიაში დედა ორგანიზმის უპირატესი როლი შთამომავლობის ნიშანთვისების ჩამოყალიბებაში შევისწავლეთ აბრეშუმის ქიის ბივოლტინურ 110 ჯიშზე.

პაპალაშვილის (1952, 1953) გამოკვლევებიდან ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ აბრეშუმის ქიის მშობლიური თაობის ინკუბაცია განსხვავებული ტემპერატურის პირობებში გავლენას ახდენს ნედლი პარკისა და გარსის წონაზე, ამასთან ზრდაში გამოწვეული ცვლილებები გადაეცემა მემკვიდრეობით.

მეორე მხრივ, ქიების კვება განსხვავებული კვებითი ღირებულების თუთის ფოთლით ღრმა გავლენას ახდენს ნედლი პარკისა და გარსის წონაზე (დემინოვსკი, პროკოფიევა და ფილიპოვა, 1933; პაპალაშვილი, 1952 და სხვ.). ამიტომ შთამომავლობის ნედლი პარკისა და გარსის წონაზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენის შესწავლის მიზნით მოვახდინეთ აბრეშუმის ქიის ბივოლტინური 110 ჯიშის აღნიშნულ განსხვავებულ პირობებში აღზრდილი ინდივიდების პირდაპირი და შებრუნებული შეჯვარება.

ცდის მეორე სერიაშიც საცდელი და საკონტროლო ვარიანტების ქიების ინკუბაცია და გამოკვება ჩატარდა შედარებით ერთნაირ პირობებში. გამოკვება ჩატარებულ იქნა ნადებებად (1951 წლის ზაფხული, 1951 წლის შემოდგომა) და გამეორებებად (1951 წლის შემოდგომა) 250 ქიის რაოდენობით თითოეულ ნადებსა და გამეორებაში.

ცდის მეორე სერია იმსახურებს განსაკუთრებულ ინტერესს იმ მხრივ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა გამოვევრკვია დედა ორგანიზმის უპირატესი როლი აბრეშუმის ქიის ორგანიზმში აღზრდის პირობებით გამოწვეული ცვლილებების მემკვიდრეობით გადაცემის საქმეში.

ცდები ჩატარებულ იქნა თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ბაზაზე 1950—51 წლებში.



ქართული
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აკადემია

მიღებული შედეგები

1950 წლის ზაფხულში ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვების შედეგები წარმოდგენილია № 1 ცხრილში.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ პირდაპირი (ბივოლტინური 110 X თეთრპარკიანი № 4) და შებრუნებული (თეთრ-

ცხრილი № 1

დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა შთამომავლობის ცხოველყოფილობა და ნაყოფიერებაზე აბრეშუმის ჭიაში

| გამოკვების ვარიანტები | გამოკვების №№ | ჭიების ცხოველყოფილების % | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარსის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ჭიების ნაყოფიერება (გვერდების საშუალო რაოდენობა ერთ მუცდონზე) M±m |
|------------------------------------|---------------|--------------------------|---|-------------------------------------|--|
| ბივოლტინური 110 (კონტროლი) | 1 | 60,6 | 1219,4±19,1 | 159,2±2,3 | 515±7 |
| | 2 | 64,0 | 1229,3±18,5 | 164,7±2,0 | 516±16 |
| | 3 | 67,2 | 1127,9±15,2 | 149,9±1,7 | 518±13 |
| | საშ. | 63,9 | 1192,2±17,6 | 157,9±2,0 | 516±12 |
| ბივოლტინური 110 X თეთრპარკიანი № 4 | 1 | 92,0 | 1267,0±18,8 | 205,5±2,4 | 577±11 |
| | 2 | 96,0 | 1314,9±17,4 | 208,1±2,3 | 587±4 |
| | 3 | 97,6 | 1244,5±18,4 | 206,3±2,9 | 595±7 |
| | საშ. | 95,2 | 1275,5±18,2 | 206,6±2,5 | 586±7 |
| თეთრპარკიანი № 4 X ბივოლტინური 110 | 1 | 80,4 | 1232,4±19,5 | 203,5±2,8 | 511±17 |
| | 2 | 70,4 | 1257,4±19,8 | 204,3±2,5 | 523±9 |
| | 3 | 70,8 | 1328,7±19,6 | 221,0±2,9 | 542±8 |
| | საშ. | 73,9 | 1272,8±19,6 | 209,6±2,7 | 525±11 |
| თეთრპარკიანი № 4 (კონტროლი) | 1 | 7,8 | 885,0±30,4 | 157,0±4,6 | 432±13 |
| | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | საშ. | 7,8 | 885,0±30,4 | 157,0±4,6 | 432±13 |



პარკიანი № 4 X ბიოლტინური 110) შეჯვარების ვარიანტებში ქიების ცხოველყოფილობა და პეპლების ნაყოფიერება საგრძნობლადაა გაზრდილი (95,2%, 586±7 პირდაპირი შეჯვარებისას; 73,9%, 525±11 შებრუნებული შეჯვარებისას საშუალოდ) და აღემატება არა მარტო ზაფხულის არახელსაყრელი პირობებისადმი ძლიერ ნაკლებად გამძლე გამოსავალი ფორმის (თეთრპარკიანი № 4) ქიების ცხოველყოფილობას (7,8%) და პეპლების ნაყოფიერებას (432±13), არამედ ბიოლტინური 110 ჯიშის ქიების ცხოველყოფილობას (63,9%) და პეპლების ნაყოფიერებასაც (516±12).

პირდაპირი და შებრუნებული შეჯვარების ვარიანტებში საგრძნობლად გაზრდილია ქიის ზრდის მაჩვენებლებიც (ნედლი პარკისა და გარსის წონა) საკონტროლო ვარიანტებთან (ბიოლტინური 110, თეთრპარკიანი № 4) შედარებით.

ჰიბრიდულ ვარიანტებში აბრეშუმის ქიის ბიოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლების ეს საგრძნობი მომატება საკონტროლო ვარიანტების შესაბამ მაჩვენებლებთან შედარებით აიხსნება ნაჯვარი ფორმების ჰიბრიდული სიმძლავრით (ჰეტეროზისი).

№ 1 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ყველაზე უფრო საგულსხმია ის, რომ ქიების ცხოველყოფილობა და პეპლების ნაყოფიერება გაცილებით უფრო მაღალია (95,2%, 586±7) გამოკვების ვარიანტში, სადაც დედა ორგანიზმად აღებულია ბიოლტინური 110 ჯიშის ინდივიდები, ხოლო შებრუნებული კომბინაციის ვარიანტში კი ქიების ცხოველყოფილობა (73,9%) და პეპლების ნაყოფიერება (525±11) შესამჩნევად უფრო დაბალია. ეს მონაცემები, ჯერ ერთი, აშტკიცებს ტ. დ. ლისენკოს (1949) აზრს იმის შესახებ, რომ ცოცხალი ორგანიზმის ნაყოფიერების დანე შეესაბამება ცხოველყოფილობის დონეს; რაც უფრო მაღალია ცხოველყოფილობა, მით უფრო მეტია ნაყოფიერება, და პირიქით. მეორე, ამ მონაცემის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ის ნათლად გვიჩვენებს დედა ორგანიზმის უბირატეს გავლენას შთამომავლობის ცხოველყოფილობასა და პეპლების ნაყოფიერებაზე აბრეშუმის ქიაში.

დედა ორგანიზმის უბირატესი გავლენა შთამომავლობის აღნიშნულ ნიშანთვისებებზე აბრეშუმის ქიაში, ჩვენი აზრით, უნდა ხორციელდებოდეს კვერცხუჯრედის იმ საკვები და საშენი მასალის მეშვეობით, რომლითაც დედა ორგანიზმი ამარაგებს ჩანასახს მამა ორგანიზმისაგან განსხვავებით. აბრეშუმის ქიის კვერცხუჯრედის საკვები და საშენი მასალა ჩანასახის მენტორს უნდა წარმოადგენდეს.

აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებს მიჭურინულ ბიოლოგიაში დაგროვილი ვრცელი ფაქტობრივი მონაცემები.

სახელდობრ, მკენარეულ ობიექტებზე შესრულებული გამოკვლევების (პრეზენტი, 1948; გოლოვცოვი, 1948; კალინინი, 1948; ნიკიტენკო, 1949; გლუშენკო და პიჩიკანი, 1950) შედეგებიდან ნათელი ხდება ენდოსპერმის აქტიური როლი ჯიშობრივი თვისებების ჩამოყალიბება-ფორმირების პროცესში. ექსპერიმენტული გამოკვლევები (ბოგოლიუბსკი, 1949, 1950; მაშტალერი,



1950 და სხვ.), რაც მდგომარეობს ქათმის ერთი ჯიშის კვერცხის ცილის მსაფრთხილი ჯიშის ან სხვა სახეობის ფრინველის კვერცხის ცილით შეცვლაში, გვიჩვენებს, რომ კვერცხის ცილა აქტიურ ზეგავლენას ახდენს ჩანასახზე და განსაზღვრავს შთამომავლობის ნათელი რიგი თვისებების განვითარებას.

ო. ბ. ლუპეშინსკაიის (1950) შრომებით ნათელი ხდება, რომ კვერცხუჯრედის პროტოპლაზმატური ნივთიერება ხმარდება ჩანასახს არა მარტო როგორც საკვები, არამედ როგორც ჩანასახის სხეულის საშენი მასალაც.

ყოველივე აღნიშნულიდან ნათელია, თუ რატომ უნდა მიგვეღო ქიების ცხოველყოფილობა და პეპლების ნაყოფიერება უფრო დაბალი იმ შემთხვევაში, როდესაც დედა ორგანიზმად აღებული არის აბრეშუმის ქიის თეთრპარკიანი № 4 ჯიშის ინდივიდები. თეთრპარკიანი № 4 მონოგოლტინური ჯიშია. მისი მემკვიდრეობა ისეთია, რომ ვერ უძლებს ზაფხულის არახელსაყრელ პირობებს და განსაკუთრებით გარემოს მაღალ ტემპერატურას. ასეთი მემკვიდრეობით აღჭურვილია კვერცხუჯრედის პროტოპლაზმატური ნივთიერებაც, რადგან ამ ნივთიერების უპირველეს დანიშნულებას წარმოადგენს აიგოს ჩანასახის სხეული და უზრუნველყოს ის ინდივიდური განვითარების ამ ადრეულ საფეხურზე ჯიშის მემკვიდრეობის შესაბამის პირობებით, რომ ჩანასახი ნაკლებად იყოს დამოკიდებული ცვალებად გარემო პირობებზე. კვერცხუჯრედის პროტოპლაზმატური ნივთიერების ასეთი დანიშნულება ჩამოყალიბებული უნდა იყოს ცოცხალი ორგანიზმების ისტორიული განვითარების პროცესში ბუნებრივი გადარჩევის მოქმედებით.

ჩვენს ექსპერიმენტში ჰაბრიდული ჩანასახი, როდესაც იკვება და მისი სხეული აიგო თეთრპარკიანი № 4 ჯიშის მემკვიდრეობის პროტოპლაზმატური ნივთიერებით, ზაფხულის არახელსაყრელი პირობებისადმი ქიების ამტანობა-გამძლეობა გაცილებით უფრო დაბალი აღმოჩნდა იმ ქიების ამტანობა-გამძლეობასთან შედარებით, რომლებისთვისაც საკვებსა და სხეულის საშენ მასალას წარმოადგენდა (ემბრიონული განვითარების პერიოდში) ბიოლტინური 110 ჯიშის მემკვიდრეობით აღჭურვილი პროტოპლაზმატური ნივთიერება.

ზაფხულის არახელსაყრელი პირობებისადმი ამტანობა-გამძლეობის განსხვავებულმა დონემ განსაზღვრა ბიოლტინური 110 და თეთრპარკიანი № 4 ჯიშების პირდაპირი და შებრუნებული შეჯვარების ვარიანტებში ქიების განსხვავებული ცხოველყოფილობა და პეპლების ნაყოფიერება.

1951 წლის ზაფხულში ჩატარებული გამოკვების (ცდის მეორე სერია) შედეგები წარმოდგენილია № 2 ცხრილში.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ნათლად გვიჩვენებს გამოკვების ვარიანტებს შორის მკვეთრ სხვაობას ნედლი პარკისა და გარსის წონის მიხედვით. სახელდობრ, პირდაპირი შეჯვარების ვარიანტში (27°-ის პირობებში ინკუბირებული X 15°-ის პირობებში ინკუბირებულთან) ნედლი პარკის საშუალო წონა 182 მ. გრ ით აღემატება შებრუნებული შეჯვარების (15° ის პირობებში ინკუბირებული X 27°-ის პირობებში ინკუბირებულთან) შესაბამის მაჩვენებელს. ამ სხვაობას, პროცენტულად თუ გამოვსახავთ, მაშინ პირდაპირი შეჯვარების ვარიანტში ნედლი პარკის საშუალო წონა 16,8%-ით მეტია შებ-



რუნებულ შეჯვარების შესაბამ მაჩვენებელზე. ანალოგიურ სურათს აქვს ნედლი გილი გარსის წონის საშუალო მაჩვენებლების მიხედვითაც.

ასევე საკონტროლო და ნაჯვარი ვარიანტების ურთიერთი შედარება ნედლი პარკისა და გარსის წონის მიხედვით ნათლად გვიჩვენებს, რომ დედა ორგანიზმი უპირატეს გავლენას ახდენს შთამომავლობის აღნიშნულ სას.-სამ. ნიშნებზე აბრეშუმის ქიაში.

1953 წლის შემოდგომის გამოკვების შედეგები წარმოდგენილია № 3 ცხრილში.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ნათლად გვიჩვენებს დედა ორგანიზმის უპირატეს გავლენას შთამომავლობის ნედლი პარკისა და გარსის წონაზე. სახელდობრ, პირდაპირი შეჯვარების ვარიანტში (ნორჩი ფოთლით გამოწვევა X შემკნარი ფოთლით გამოწვევებთან) ნედლი პარკის წონის საშუალო მაჩვენებლები 42,9%-ით მეტია შებრუნებული შეჯვარების (შემკნარი ფოთლით გამოწვევა X ნორჩი ფოთლით გამოწვევებთან) დროს მიღებული ნედლი პარკის წონაზე.

ანალოგიურ სურათს აქვს ადგილი ნორჩი ფოთლით გამოწვევა ინდივიდების ჩვეულებრივი ფოთლით გამოწვევა ინდივიდებთან პირდაპირი და შებრუნებული შეჯვარების ვარიანტებშიც. სახელდობრ, გამოკვების იმ ვარიანტში, სადაც დედა ორგანიზმად ნორჩი ფოთლით გამოწვევა ინდივიდებია აღებული, სოლო მამა ორგანიზმებად ჩვეულებრივი ფოთლით გამოწვევა, ნედლი პარკის წონის საშუალო მაჩვენებელი 10,8%-ით აღემატება შებრუნებული კომბინაციის ნედლი პარკის წონის საშუალო მაჩვენებელს.

საცდელი და საკონტროლო ვარიანტების ურთიერთი შედარება ნედლი პარკისა და გარსის წონის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით ნათლად გვიჩვენებს დედა ორგანიზმის უპირატეს გავლენას შთამომავლობის ამ ნიშანთვისებებზე აბრეშუმის ქიაში.

შთამომავლობის ნედლი პარკისა და გარსის წონაზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენის ეფექტის მემკვიდრეობით გადაცემის გარკვევის ნიშნით ჩატარებულ იქნა სპეციალური გამოკვება ბიოლტინური 110 ჯიშის განსხვავებულ ტემპერატურულ პირობებში ინკუბირებული ინდივიდების პირდაპირი და შებრუნებული შეჯვარების მეორე თაობისა. ეს გამოკვება ჩატარდა 1951 წლის შემოდგომაზე.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია № 4 ცხრილში.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ შთამომავლობის ნედლი პარკისა და გარსის წონაზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენის ეფექტი გადაეცემა მემკვიდრეობით მომდევნო თაობას. სახელდობრ, პირდაპირი შეჯვარების ვარიანტში (27°-ის პირობებში ინკუბირებული X 15°-ის პირობებში ინკუბირებულთან, II თაობა) ნედლი პარკის წონის საშუალო მაჩვენებელი 12,9%-ით აღემატება შებრუნებული კომბინაციის შესაბამ მაჩვენებელს.

ანალოგიურ განსხვავებას აქვს ადგილი გამოკვების ვარიანტებს შორის გარსის წონის საშუალო მაჩვენებლების მიხედვითაც. კერძოდ, პირდაპირი

დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა შთაბრძენებლის ნედლი პარკისა და გარის წინაზე აბრეშუმის კიანს ბიფლიტორი 110 ჯიშის განსვავებულ 38მბს პირიებში აღზრდილი ინდივიდების ურთიერთ შედგარებას

| | | გ ა მ თ კ კ მ ბ ი ს ვ ა რ ი ა ნ ე ტ ბ ე ბ ი | | | |
|------|--|--|--|---|--|
| | | ნორჩი ფოთლით გამოწვევები X შემკვარი ფოთლით გამოწვევები | შემკვარი ფოთლით გამოწვევები X ნორჩი ფოთლით გამოწვევები | ჩვეულებრივი ფოთლით გამოწვევები X ნორჩი ფოთლით გამოწვევები | სტრუქტურა |
| საფ. | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m |
| 1 | 1647,9±16,9 | 211,5±1,7 | 1144,6±12,9 | 156,3±1,9 | 1302,2±17,7 |
| 2 | 1655,0±19,2 | 215,6±2,1 | 1150,3±15,2 | 149,8±1,9 | 1338,5±17,3 |
| 3 | 1627,5±18,8 | 199,7±2,2 | 1155,8±16,6 | 151,0±2,4 | 1373,2±17,0 |
| საშ. | 1643,5±18,3 | 208,9±2,0 | 1150,2±14,9 | 152,4±2,1 | 1338,0±17,3 |

| | | ნორჩი ფოთლით გამოწვევები X ჩვეულებრივი ფოთლით გამოწვევები | | | | ჩვეულებრივი ფოთლით გამოწვევები X ნორჩი ფოთლით გამოწვევები | | | | |
|------|--|---|--|---------------------------------|--|---|---|--|---------------------------------|---|
| | | ნორჩი ფოთლით გამოწვევები (II თაობა, კონტროლი) | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნორჩი ფოთლით გამოწვევები (II თაობა, კონტროლი) | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნორჩი ფოთლით გამოწვევები (II თაობა, კონტროლი) |
| საფ. | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნორჩი ფოთლით გამოწვევები (II თაობა, კონტროლი) | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნორჩი ფოთლით გამოწვევები (II თაობა, კონტროლი) | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნორჩი ფოთლით გამოწვევები (II თაობა, კონტროლი) |
| 1 | 1528,5±19,4 | 206,6±2,1 | 1601,5±18,4 | 207,1±2,3 | 1393,4±19,0 | 194,6±2,2 | 1177,0±16,3 | 154,0±1,8 | 149,3±2,1 | 159,3±2,4 |
| 2 | 1428,8±16,1 | 181,5±2,2 | 1536,3±16,6 | 193,8±2,3 | 1410,8±15,4 | 197,2±2,2 | 1149,1±15,5 | 149,3±2,1 | 1213,0±17,5 | 154,2±2,1 |
| 3 | 1490,5±20,5 | 187,8±2,4 | 1473,0±20,1 | 187,7±2,2 | 1412,3±21,0 | 182,3±2,7 | 1213,0±17,5 | 159,3±2,4 | 154,2±2,1 | 154,2±2,1 |
| საშ. | 1482,6±18,7 | 192,0±2,2 | 1536,9±18,4 | 196,2±2,3 | 1405,5±18,5 | 191,4±2,4 | 1179,7±16,4 | 154,2±2,1 | 154,2±2,1 | 154,2±2,1 |

შთამომავლობის ნედლი პარკისა და გარსის წონაზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენის ეფექტის შემკვიდრებობით გადაცემა აბრეშუმის ქიაში

გამოკვების ვარიანტები

| ნადების №№ | 27 ⁰ -ის პირობებში ინკუბირებული X 15 ⁰ -ის პირობებში ანკუბირებულთან (II თაობა) | | 15 ⁰ -ის პირობებში ინკუბირებული X 27 ⁰ -ის პირობებში ინკუბირებულთან (II თაობა) | |
|---------------|---|--|---|--|
| | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარსის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | ნედლი პარკის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m | გარსის საშუალო წონა მ. გრ-ით M±m |
| 1 | 1410,5±20,8 | 171,0±2,6 | 1254,3±20,8 | 157,0±1,9 |
| 2 | 1454,9±23,6 | 198,4±2,2 | 1284,7±19,5 | 149,8±2,1 |
| 3 | 1465,1±21,1 | 180,3±2,2 | 1277,9±23,1 | 161,8±2,6 |
| 4 | 1488,0±20,6 | 188,7±2,3 | 1335,4±22,4 | 170,0±2,8 |
| საშ. | 1454,6±21,5 | 184,6±2,3 | 1288,1±21,5 | 159,7±2,4 |

შეჯვარების ვარიანტში გარსის წონა საშუალოდ 184,6 ნგს უდრის და საგრძნობლად აღემატება შებრუნებული შეჯვარების შესაბამ მაჩვენებელს (159,7 მგ).

ცდის მეორე სერიაში ჩატარებული გამოკვებების მონაცემებით (ცხრილები № 2, № 3 და № 4) დადგენილია აბრეშუმის ქიის ორგანიზმში მშობლიური თაობის აღზრდის პირობებით გამოწვეული ცვლილებების მემკვიდრეობით გადაცემა ნომდევნო თაობებზე და დედა ორგანიზმის უპირატესი როლი ამ საქმეში. ეს კი მიგვიბრუნებს იმაზე, რომ აღზრდის პირობებით გამოწვეული ცვლილებები აბრეშუმის ქიაში ფიქსირდება უპირატესად გვერცხუჯარედსა და ჩანასახის იმ საკვებსა და საშენ მასალაში, რომლითაც დედა ორგანიზმში ამარაგებს შვილეთუ ჩანასახს მამა ორგანიზმისაგან განსხვავებით.

დასკვნები

1. აბრეშუმის ქიაში დედა ორგანიზმში შედარებით უპირატესი გავლენის ახდენს შთამომავლობის ისეთ ნიშანთვისებებზე, როგორცაა ქიების ცხოველმყოფელობა და პეპლების ნაყოფიერება, ნედლი პარკისა და გარსის წონა.

2. ნაშრომში გამოთქმულია აზრი, რომ შთამომავლობის ნიშანთვისებებზე დედა ორგანიზმის უპირატესი გავლენა აბრეშუმის ქიაში უნდა ხორციელდებოდეს იმ საკვები და საშენი მასალის მეშვეობით, რომლითაც დედა ორგანიზმი ამარაგებს ჩანასახს მამა ორგანიზმისაგან განსხვავებით. აბრეშუმის ქიის

კვერცხუჯრედის პროტოპლასმიტური ნივთიერება ჩანასახის გენტორის წარმოადგენს.

3. აბრეშუმის ჭიანჭის ორგანიზმში აღზრდის პირობებით გამოწვეული ცვლილებები ფიქსირდება უპირატესად კვერცხუჯრედსა და ჩანასახის იმ საკვებსა და საშენ მასალაში, რომლითაც დედა ორგანიზმი ამარაგებს შეიღებულ ჩანასახს.

ლიტერატურა

1. И. А. Барышников, М. Г. Закс и Е. Ф. Павлов (1950). Влияние материнского организма на окраску покровов потомства кроликов в условиях трансплантации яичников; Изв. АН СССР, серия биологическая, 6.
2. С. И. Боголюбский (1948). Развитие цыплят, выведенных из яиц с замененным белком; Труды Пушкинской научно-исследовательской лаборатории разведения сельскохозяйственных животных, 3.
3. С. И. Боголюбский (1950). Изменение телосложения молодняка кур под влиянием измененного эмбрионального питания; Труды той же лаборатории, 4.
4. И. Е. Глущенко и А. В. Пычкин (1950). Получение вегетативных гибридов у злаков путем пересадки зародышей; Труды Института генетики АН СССР, 18.
5. Л. А. Головцов (1948). Вегетативная гибридизация злаков; "Агробиология", 1.
6. С. Демьяновский, Е. Прокофьева и Л. Филипова (1933). Влияние степени зрелости листьев на жизнеспособность червей; Зоологический журнал, т. 12, 3.
7. М. Ф. Иванов (1939). Сочинения, т. I, Сельхозгиз, Москва.
8. Ф. Л. Калинин (1948). Развитие зародыша овсяной ржи на эндосперме яровой пшеницы; ДАН СССР, т. 55, 5.
9. А. В. Квасницкий, Н. А. Мартиненко (1951). Влияние материнского организма на приплод; "Советская зоотехника", 7.
10. П. Ф. Князкин (1946). Наследование величин при метизации коз; "Вестник животноводства", 1.
11. А. Д. Курбатов (1951). Изменение наследственности и повышение жизнеспособности потомства путем межпородной пересадки оплодотворенных яйцеклеток у крольчих; Успехи современной биологии, т. 31, 2.
12. X. Ф. Кушнер (1950). Несовершенство морганистской "теории" селекции сельскохозяйственных животных; Сб. "Против реакционного менделизма-морганизма", изд. АН СССР, М.—Л.
13. М. М. Лебедев (1949). Влияние условий развития на результат родственного спаривания на эффективность промышленного скрещивания; Труды Пушкинской лаборатории разведения сельскохозяйственных животных, 3.
14. О. Б. Лелешинская (1950). Происхождение клеток из живого вещества и роль живого вещества в организме. Изд. АМН СССР, Москва.
15. А. И. Лопырин, Н. В. Логинова и П. Л. Карпов (1950). Изменение экстерера у ягнят при межпородных пересадках зародышей; ДАН СССР, т. 74, 5.
16. Т. Д. Лысенко (1949). Трехлетний план развития животноводства и задачи сельскохозяйственной науки, "Агробиология", 3.
17. Г. А. Машталер (1950). Влияние чужеродного белка на развитие птицы; ДАН СССР, т. 71, 8.

18. Г. Н. Никитенко (1949). Новое в методике вегетативной гибридизации коз, „Сельский и семеноводство“, 11
19. Д. Н. Пак (1946). Метисы-швицы Казахстана: „Вестник животноводства“, 2.
20. Г. М. Паладашвили (1952). О передаче природы биольгинной породы тутового шелкопряда воспитанием: Труды ТГУ им. Сталина, т. 41.
21. Г. М. Паладашвили (1953). Некоторые закономерности наследования и его изменения в тутовом шелкопряде: Труды ТГУ им. Сталина, т. 48.
22. И. И. Презент (1948). Биологическое значение двойного оплодотворения, „Агробиология“, 5.
23. Н. Ф. Ростовцев (1949). Влияние внешних факторов и материнской среды на живой вес приплода, „Советская зоотехника“, 1.
24. Р. В. Хесин (1947). Материнский эффект у *Drosophila melanogaster*. Распространенность материнского эффекта: ДАН СССР, т. 58,4.
25. В. А. Щекан (1946). Влияние матери на величину ее приплода, „Вестник животноводства“, 6.
26. W. E. Castle & Philipps (1911). On germinal transplantation in vertebrates: Carnegie Institute Washington Publicat, 144.
27. C. B. Davenport (1911). The transplantation of ovaries in chickens, *J. Morphology*, 22, 111.
28. C. C. Guthrie (1908). Further results of transplantation of ovaries in chickens. *J. Exp. Zool.*, 5.
29. V. Magnus (1907). Transplantation of the ovaries, with special reference to the results, *Norsk Magazin Laegevidenskab*, Christiania, 5.
30. B. A. Schneider (1940). *Journal of exp. Zool.* V. 84. 1, 2. Цит. по В. В. Алапатову, „Успехи современной биологии“, т. 30, 2(5), 1950.
31. A. Walton and J. Hammond (1938). The maternal effects on growth and conformation in Shire horse Shetland pony crosses. *Proc. of the Roy. Soc. (B)* V. 125.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 დარვინიზმისა და გენეტიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. VI. 15)

Я. Ахалая

Влияние материнского организма на потомство у тутового шелкопряда (*Bombyx mori* L.)

Резюме

Мичуринская биология признает и многочисленными фактами подтверждает преобладающее влияние материнского организма на формирование признаков потомства.

Преобладающая роль материнского организма в формировании признаков потомства недостаточно изучена на насекомых вообще и тутового шелкопряда, в частности.

Задачей настоящей работы является изучение вопроса о преобладающем влиянии материнского организма на формирование признаков и свойств потомства у тутового шелкопряда.

Результаты опытов, проведенных с целью изучения указанного вопроса, доказывают преобладающее влияние материнского организма на признаки (жизнеспособность гусениц, плодовитость бабочек, вес сырого кокона и вес оболочки) потомства у тутового шелкопряда.

Преобладающее влияние материнского организма на жизнеспособность гусениц и плодовитость бабочек было установлено путем прямого и обратного скрещивания бивольтинной породы 110 и белококковой № 4.

В тех случаях, когда в качестве матери брались особи из бивольтинной породы 110, жизнеспособность гибридных гусениц оказывалась на 21,3% выше, а плодовитость бабочек на 11,6% больше по сравнению с гибридными формами обратного скрещивания.

В результате прямого и обратного скрещивания особей бивольтинной породы 110, воспитанных в разных условиях, было установлено преобладающее влияние материнского организма на вес сырого кокона и вес оболочки кокона потомства.

Например, там, где в качестве матери были использованы особи из высокотемпературной (27°C) инкубации, а отцов — из низкой (15°C), у потомков вес сырого кокона оказался на 182 мг, т. е. на 16,8% больше, чем при обратном скрещивании.

Аналогичные результаты были получены при скрещивании особей бивольтинной породы 110, воспитанных в разных кормовых условиях. А именно, в варианте выкормки, где в качестве матери брались бабочки, полученные из гусениц, выкормленных молодым листом шелковицы, а отцы были получены из гусениц, выкормленных подвяленным листом, — у потомков вес сырого кокона оказался на 42,9% больше, чем у потомков обратного скрещивания.

В работе приводятся также экспериментальные данные, показывающие, что эффект преобладающего влияния материнского организма на вес сырого кокона и вес оболочки кокона потомства передается по наследству следующему поколению.

На основе полученных экспериментальных данных в работе высказываются следующие предположения: 1) что преобладающее влияние материнского организма на признаки потомства у тутового шелкопряда

ა. გოგავა

პაუზის ლოქოქინის (*Helix atrolabida*, *H. taurica*, *H. buchi*) სენეგალური ქოროდინასიის ბუნების შესახებ

(მოხსენება I)

სენეგალის დასიანებისა და ალჟირული ბალიანების შედარება

შესავალი

უხერხემლო ცხოველთა რეფლექსური მოქმედების კოორდინაციის საკითხის შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს შედარებით-ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. შედარებით-ფიზიოლოგიური მონაცემები საშუალებას იძლევა გარკვეულ იქნეს ცენტრალური კოორდინაციის ფილოგენეზური განვითარების საფეხურები და მისი გართულების წარმოშობის პირობები.

უხერხემლო ცხოველთა რეფლექსური მოქმედების კოორდინაციის საკითხი მრავალი მეცნიერის (Павлов, 1940; Бериташвили (Беритов) 1945—1950; Беритов и Гогава, 1945, 1949, 1950ა 1950б; Коштыянд, 1933, 1936; Жуков, 1936; Зубков, 1934; Зубков и Бекбулатов 1938; გოგავა, 1947ა, 1947ბ, 1948ა, 1948ბ; Carlson, 1909; van tiel, 1940; Biedermann, 1905; Әдриая, 1935; Иордан, 1934, 1935; Vulpian, 1882; Steiner, 1898; Segaar, 1929; Ung, 1882; Bethe, 1897; Baglioni, 1913; Bonnet 1938; Buddenbrock, 1924 და სხვ.) კვლევის საგანს შეადგენდა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი მკვლევართა მიერ არასწორი მეთოდოლოგიური მიდგომით შესწავლის გამო დღემდე გაურკვეველი დარჩა.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოლანდიელი ნეცნიერის იორდანის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ უხერხემლოში ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედება იდეალისტურად არის წარმოდგენილი.

იორდანს (19-4, 1935) უხერხემლოთა ნერვული კვანძები მოქმედება შემდგენიარად ესმის. მისი აზრით, კვანძები მოქმედებენ რეფლექსურ რეაქციებზე ან ტონუსზე არა ცალკეული იმპულსების მეშვეობით, არამედ განუწყვეტილ—ერთობლივ ყველა აქტიურულ მოვლენებზე მუდმივი ზემოქმედებით, შემაჯავებელი მოქმედებით. შეკავება წმინდა რაოდენობრივია. იგი არ სპობს ამა თუ იმ რეაქციას, არამედ აქვეითებს მას. ნერვული ცენტრები არ განსაზღვრავენ რეფლექსებს, რომლებსაც ჩვენ ვსწავლობთ, არამედ სცილიან მხოლოდ ბაზას, რომლის საფუძველზედაც ისინი მიმდინარეობენ. იორდანის აზრით, კვანძებში კონცენტრირებულია საკუთარი ნერვული (მათი წარმოებული ენერგეტიკული პოტენციალის წყალობით), რომლის სიძლიერე და რიტმი დიდ გავლენას ახდენს პერიფერიულ რეაქციებზე.

კვანძების მოქმედების გამოსარკვევად ამ ავტორის მიხედვით საჭიროა მათი აქტივობის შეცვლა მათზე სხვადასხვა ნივთიერებათა ზემოქმედებით. იგი ამბობს: კვანძების სუსტი

კოკინიზაციის საშუალებით შეგვიძლია დავწიოთ მათი აქტიური მდგომარეობა, სურფის მაკონის მოქმედებით კი—პირაქით, ავწიოთ იგი. დასაწყისში ეს ნათესაობებიანი ორივე კვანძი ირწუნე ამგზნებელ მოქმედებას, რაც გამოიხატება კუნთოვან შეკუმშვაში. ამის შემდეგ შეპარდება განსაზღვრული მდგომარეობა, რომლის გამორკვევა შესაძლებელია პერიფერიული გაღიზიანების ან კუნთის პასიური გაწევის საშუალებით.

იორდანის მიხედვით, როგორც ცერებრალური, ისე პედალური კვანძის აქტივობის დაქვეითება (კოკინით) შეკავების გაძლიერებას იწვევს. ცალკე ცერებრალური კვანძის აქტივობის გაძლიერების შემთხვევაში (სუფრის მარალით) აგზნებადობა მატულობს, მაშინ როცა ცალკე პედალური კვანძის აქტივობის გაძლიერების შემთხვევაში ტონური წინააღმდეგობა მატულობს. როგორც ერთი, ისე მეორე კვანძის ინდუქციური გაღიზიანება მხოლოდ შეკუმშვას იწვევს. ცერებრალური კვანძის დაზიანება ეფექტორის (ფეხის კუნთის) აგზნებადობის მნიშვნელოვანად იძლევა. პედალური კვანძის დაზიანება კი ტონუსის გაძლიერებას. კვანძთა აქტიური მდგომარეობა მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ სპეციფიკურად ტონუსზე (ფეხის კვანძი) ან აგზნებადობაზე (ცერებრალური კვანძი). კვანძის მცირე აქტივობას მუდამ შეეფერება სათანადო მცირე აქტივობა პერიფერიაზე (Шордан, 1934, 1935).

ასეთისა და სხვა მრავალი ფაქტების საფუძველზე იორდანმა (1934, 1938) შექმნა ნერვის გათანაბრების ანუ იზოსტაზის ჰიპოთეზი. იზოსტაზია მისი აზრით, არის სქემა, რომელიც შესაძლებლობას გაძლევს წარმოვიდგინოთ დამოკიდებულება კვანძებსა და პერიფერიას შორის. ამ ჰიპოთეზის თანახმად თითოეული კვანძი მონაწილეობას იღებს რეაქციის საერთო ეფექტში. ეს მონაწილეობა კვანძებსა და პერიფერიას შორის აქტივობის ხარისხის გათანაბრებაში გამოიხატება. ზემოდგომი ცენტრი, ამბობს იორდანი (1928), იმპერად მოქმედებს დაქვემდებარებულ სისტემაზე, რომ, ჩვეულებრივ, აქტივობას მის აქტივობაზე იმის შესავსად; როგორც დაუმზებელი გამტარის შეერთება დამზუტულთან აქტივობის ამ უნაწილელის ძაბვას. ამის გამო, რაც უფრო მცირეა ეს აქტიური მდგომარეობა ცენტრებში, მით უფრო მეტად არის შეკავებული ორგანიზმის პერიფერიული ნაწილის ყველა ფუნქცია. პირაქით, რაც უფრო მეტია მათი აქტიური მდგომარეობა, მით უფრო სუსტად არის გამოხატული შეკავება, მით უფრო ძლიერია ფუნქცია.

იორდანს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ნერვულ კვანძებს ამგზნებელ მოქმედებასთან ერთად შემაკავებელი მოქმედების უნარიც გააჩნია. მაგრამ, რადგან მის მიერ კვანძების გაღიზიანების საშუალებით შეკავების მოვლენები ნაშუი არ იყო, იგი ასკვნის: გაღიზიანების საშუალებით ნერვული ცენტრების ნორმალური მოქმედების გამოიყვანება შეუძლებელია, რომ ყოველგვარი გაღიზიანება მხოლოდ შეკუმშვას, ე. ი. არასპეციფიკურ რეაქციას იძლევა (1935). იორდანის მონაცემების მიხედვით დაბალი საფეხების ცხოველებზე ცენტრალური შეკავების ბუნების ასნა არ შეიძლება ვედენსკის მოძღვრების (შეკავების) საშუალებით.

იორდანის სწავლება ნერვული ცენტრების მოქმედების შესახებ შორდება მატერიალისტურ ნიადაგს. თავის მცდარ შეხედულებას იგი უპირისპირებს საბჭოთა ფიზიოლოგიის მიღწევებს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებაში გარემოს განმსაზღვრელი როლის შესახებ.

იორდანის შეხედულებიდან უხერხემლოთა (რბილტვანიალების, ეკალკანიანებისა და ღრუნაწლავიანების) ნერვული კვანძების მოქმედების შესახებ ორი ძირითადი მომენტი იწვევს ჩვენში განსაკუთრებულ ინტერესს.

1. შესაძლებელია თუ არა უხერხემლოთა ნერვულ კვანძებზე უშუალო ზემოქმედების საშუალებით ნორმალური ფუნქციის გამოიმტკიცება და

2. როგორია ნერვული კვანძების რეფლექსთა მარეგულირებელი მოქმედების პრინციპი, რა გზით წარმოებს იგი,—ორგანოთა შორის „ენერჯის გათანაბრების“ საშუალებით, როგორც ამას იორდანი ფიქრობს, თუ კვანძთა მაკოორდინირებელ მოქმედებას მათგან გაგზავნილი იმპულსები უძეის საფუძველად.



რადგან იორდანის ზემოთ აღწერილი მტკიცებანი ნერვული კვანძების ეფექტორზე მოქმედების შესახებ ღრუ ორგანოების მსგავს ცხოველებს (რბილტვიანებს, ეკალკანიაანებსა და ღრუნაწლავიანებს) ეხება, ამიტომ ჩვენც ცდები რბილტვიანთა წარმომადგენელზე, ვაზის ლოკოკინაზე ჩავატარეთ.

ზოგიერთი ცნობა ლოკოკინას ნერვული სისტემის ანატომიიდან


ლოკოკინას ცენტრალური ნერვული სისტემა ქამრისებრ სახეს ატარებს, რომელიც გარს ერტყმის საყლაპავი მილის წინა ნაწილს. ზემო ნაწილში მოთავსებულია წყვილი ცერებრალური კვანძი (ტვინი) საერთო შემაერთებელ ქსოვილი შეხვეული, ქვემო ნაწილში კი მდებარეობს ხახისქვეშა კვანძოვანი მასა, რომელიც ხუთი კვანძის შენაერთს წარმოადგენს (წყვილი პედალური, წყვილი პლევრალური, მარცხენა პალიალური 1, მარჯვენა პარიეტალური 1. და აბდომინალური 1). ხახისქვეშა კვანძს ხშირად პედალურ კვანძსაც უწოდებენ (იხ. სურ. 1).

ცერებრალური კვანძიდან გამოდის შვიდ-რვა წყვილამდე ნერვი, პედალური კვანძიდან—ცხრა წყვილი და დანარჩენი შვიდნეულობის კვანძიდან—ექვსი წყვილი. ეს ნერვები სხვადასხვა ორგანოებისაკენ მიემართებიან. თითოეულ კვანძს აქვს ინერვაციის საკუთარი ფარგალი.

გარდა ამისა, ფეხის მუსკულატურას აქვს თავისი საკუთარი ნერვული ბადე, რომლის საშუალებითაც იგი დაკავშირებულია ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან (Hans-tröm, 1928; Веклемишев, 1944).


ვაზის ლოკოკინის ტვინის (ცერებრალური კვანძის) ორივე ნახევარი დაკავშირებულია ერთმანეთთან კომისურული ბოქკოებით, რომლებიც განვლიურ უჯრედებს არ შეიცავენ. თითოეული ნახევარი შედგება სამი ნაწილისაგან: ე. წ. პოსტცერებრუმისა, მეზოცერებრუმისა და პროცერებრუმისაგან. პროცერებრუმი შედარებით ახალი წარმოშობისაა და, როგორც ფიქრობენ, ის მხოლოდ პულმონატებს უნდა გააჩნდეს (Dorely, 1940; Hanström, 1928).

ჰანსტრომის აზრით, პულმონატების ტვინი პროცერებრუმის არსებობის გამო განვითარების საკმარისად მაღალ საფეხურზე დგას. ტვინის თითოეული ნაწილი ხასიათდება თავისებური ნერვულ-უჯრედოვანი აღნაგობით, რაც მათ თავისებურ ფუნქციას პირობადებს.



სურ. 1.

ვაზის ლოკოკინის ცენტრალური ნერვული სისტემა C—ცერებრალური კვანძი, Pl—პლევრალური კვანძი, Par—პარიეტალური კვანძი, P—პედალური კვანძი, V—ვისცერალური კვანძი, Con ვისცერალური და პედალური კონექტივი სტატიკურ ნერვთან ერთად (Jordan-ის მიხედვით)



კვანძებში ნეირონთა შორის კავშირი არ უნდა იყოს, არც სინაპსური და არც სინციტიალური. ნეირიტული წინაზარდები კვანძის შიგნით სუფლად უნდა ბოლოვდებოდეს. ნამდვილი სინაპსური კავშირები უხერხემლოთა შორის ჯერ დამტკიცებული არ არის, როგორც ამას ზავარზინის მონაცემებიდან ვხედავთ (1941).

ორიოდე სიტყვა ფეხის კუნთის აგებულების შესახებ.

ვაზის ლოკოკინას ფეხის მუსკულატურა გლუვ-კუნთოვან სისტემას წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა სიგრძის (ხშირად 3—5 შტოდ ვანტოტილი) კუნთოვანი ბოჭკოები თხელ "შემაერთებელ ქსოვილშია შეხვეული და კონების სახით განწყობილია ფეხის ყველა მიმართულებით. უჯრედთა აღნაგობა ერთნაირია, მათი სიგრძე 1127 მიკრონამდე აღწევს და სისხო 5 მიკრონს არ აღემატება. კიბოპლასმა, რომელშიც ვახვეულია სხვადასხვა ზომის მიოფიბრილები, უჯრედის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. უჯრედთა შორის ხიდაკები ნახული არ არის (Бабурина, 1939).

მეთოდია

ცდის ობიექტად ვაზის ლოკოკინა (*Helix taurica*, *H. atrolabiata*, *H. Buchii*) იყო გამოყენებული, რომელიც საკმარისად გავრცელებულია თბილისის მიდამოებში. მუშაობა წარმოებდა წლის ყველა დროის განმავლობაში. ცდისთვის ვიყენებდით ლოკოკინის ფეხს, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა როგორც ცერებრალური კვანძი (ტვინი), ისე ხანისქვეშა (პნდალური) კვანძი თავისი გამტარა ნერვული ჯგუფით. ეს ჯგუფი ორივე კვანძს აკავშირებს ერთმანეთთან და ფეხს კუნთთან.

რეფლექსური მოქმედების მთავარადიურ რეგისტრაციას შემდგენიარად ვაწარმოებდით: პრეპარატის თავის ნაწილს ვამაგრებდით უძრავად, ხოლო ბოლო ნაწილს მოკაუჭებულ კინძას თავს ვუყრადით და მისი საშუალებით ვფერავდით მთავრად. პრეპარატი ვაწყობილი იყო ჰორიზონტულად, ზურგიით ხემით. ასეთი მდგომარეობა როგორც კვანძებზე, ისე მათგან გამოსულ ნერვებზე ყოველგვარი მანიპულაციის წარმოების საშუალებას იძლეოდა. ამგვარად, განწყობილ პრეპარატს 7—8 გრამით ვცერითავდით და 20—30°-ს ვასვენებდით. ამ დროის განმავლობაში ოპერაციის გამდიზიანებელი გველნით გამოწვეული ცვლილებები (შეუშვება და ავტომატური მოქმედება) ვაივლიდა და ფეხის კუნთი მიიღებდა აღნიშნული ტვირთის ქვეშ გამასხდრეულ ტონუსს, რის შემდეგ ვაწყებდით ცდას.

პირველ რიგში გამოკვლეული იყო კვანძების ამოცლისა და შემდეგ კი მათი (კვანძების) ინდუქციური დენით ვაღიზიანებითი ვაღენა კუნთის ტონუსზე, ავზნებადობის ხარისხსა და რეფლექსურ მოქმედებაზე. ტონუსის, ავზნებადობის ხარისხისა თუ რეფლექსური მოქმედების ცვალებადობას შევისწავლიდით ფეხის კანის ლოკალური ან პერიფერიული ნერვების ინდუქციური ვაღიზიანებით. ზოგჯერ კანის შექანიკური ვაღიზიანებისათვის გამოვიყენებთ ავრეთვე სველი ფენჯი, ტონური წინააღმდეგობის ცვლილების გამოსარკვევად კი 5—10-გრამიანი ტვირთი.


სურათებზე ინდუქციური დენის გამდიზიანებელი ძალა გამოატულია სანტიმეტრებში (დ. ბ. რ. ინდუქტორიუმის კოჭთა შუა მანძილი. სასივნალო ხაზებზე ვაღიზიანების სიხშირე უდრის 36—40-ს სეკუნდში. ქვემოთ აღნიშნულია დრო მინუტობით, ზოგ შემთხვევაში კი 3 სეკუნდობით.

მიღებული შედეგები

1. ლოკოცინის რეფლექსური მოქმედების დახასიათება

ცხოველის თავისუფალი მოძრაობის პირობებში ჩატარებული ცდებით დატრწმუნდით, რომ, თუ ლოკოცინას ცერებრალურ კვანძს ფრთხილად მოვაშორებთ, იგი რამდენიმე ათეულ მიწუტს და ხშირად მეტ ხანსაც რჩება შეკუმშული და ნიჟარაში შენალული; ასეთი ცხოველი ცოცვის ნამდვილ ბუნებრივ სურათს ვერ იძლევა. თუ მას ხახისქვედა კვანძოვან მასასაც მოვაშორებთ, ცხოველი საბოლოოდ დაკარგავს მოძრაობის უნარს; იგი იკუმშება, პატარავდება, ნაოქდება და, ჩვეულებრივ, ამ მდგომარეობაში რჩება.

ლოკოცინის ფეხის პრეპარატის (რომელსაც შენარჩუნებული აქვს ცერებრალური და პედალური კვანძი) რეფლექსური მოქმედების მიოგრაფიული შესწავლა შემდეგ სურათს გვაძლევს: ოპერაციის გავლენით ფეხის კუნთი 8—12 მიწუტისა, და ხშირად მეტი დროის განმავლობაში რჩება შეკუმშულ მდგომარეობაში. შეკუმშვის გავლის შემდეგ მყარდება ერთგვარი ტონუსი, რომლის ინტენსიობაც დამოკიდებულია ოთახის ტემპერატურასა და დატვირთვის სიდიდეზე. ზოგჯერ პრეპარატი ყოველგვარი გარეგანი ვალიზაციების გარეშე იძლევა რეფლექსურ მოქმედებას, რაც გამოიხატება კუნთის შეკუმშვა-მოდუნებაში. შეკუმშვა-მოდუნება უმეტესად არსებული ტონუსის ფონზე მიმდინარეობს. მოდუნების თვითიული ფაზა ზოგჯერ ხანმოკლე (1—2 მიწუტი) და სუსტია, ზოგჯერ ხანგრძლივი (5—6 მიწუტი) და ძლიერი (სურ. 2). რამდენად უფრო მაღალია ტემპერატურა, იმდენად უფრო ხშირია ფაზათა მორიგეობა და ხანმოკლეა თითოეული ფაზა. შეკუმშვა-მოდუნება იშვიათად ატარებს რიტმულ ხასიათს: მისი ერთი ფაზა მეორესა ცვლის, მაგრამ თითოეული როგორც ამპლიტუდით, ისე ხანგრძლივობით მუდამ განსხვავდება მეორისაგან.



სურ. 2.

ლოკოცინის ავტონომიური მოქმედების ორი ტიპი: A—პრეპარატი, რომელსაც ცერებრალურა კვანძი მოშორებული აქვს. B—პრეპარატი, რომელსაც ცერებრალური კვანძი მოშორებული არა აქვს, დრო მიწუტებით.

2. ცერებრალური და პედალური კვანძის ამოცლის შედეგი

პრეპარატის ტონუსის დადგენისა და ზღურბლის განსაზღვრის შემდეგ სწრაფად გადავკრიდით ცერებრალური კვანძიდან გამოსული ორივე მხარის კონექტივებს, რომელნიც პედალური კვანძისაკენ მიემართებთან. გადაჭრიდან 5—6-ის შემდეგ ხელახლა ვარკვევდით როგორც აგზნებადობის ხარისხს (კანის ტეტანური და მექანიკური გაღიზიანება), ისე შეკუმშვის ხასიათს.

კონექტივების გადაჭრის (ე. ი. ცერებრალური კვანძის მოშორების) საპასუხოდ ფეხის კუნთი იძლევა სწრაფსა და ზომიერ შეკუმშვას, რომელიც ძალიან თანდათანობით საწყის დონემდე ეცემა. ზოგჯერ ამ მოღუნების ფონზე მცირე დამატებითი შეკუმშვები აღმოცენდება. დასახელებული კვანძის მოშორების შედეგად აგზნებადობა მატულობს და ტონუსი გაძლიერებას განიცდის. ზღურბლოვანი შეკუმშვის განოსაწვევად 2—3 სმ-ით (ე. შ. მ.) უფრო სუსტი ძალაა საჭირო, ვიდრე კვანძის ამოკვეთამდე. ისეთი სუსტი მექანიკური გაღიზიანება, რომელიც კვანძის მოშორებამდე ზომიერი სიმძლის შეკუმშვას იძლეოდა, მისი მოშორების შემდეგ უფრო ძლიერ რეაქციას გვაძლევს. ამასთან ერთად შეკუმშვის შემდეგ ტონური მოქმედებაც უფრო ძლიერი და ხანგრძლივია, ვიდრე კვანძის ამოკვეთამდე (სურ. 3).


სულ სხვაგვარ სურათს გვაძლევს პედალური კვანძის მოშორება. პედალური კვანძის სწრაფი ამოკვეთის ან მისგან გამოსული ნერვებზე ძაფის შემოჭურის საპასუხოდ ფეხის კუნთი იძლევა ზომიერსა და სწრაფად მიმდინარე შეკუმშვას. შეკუმშვის შენდეგ კუნთი სწრაფად იწყებს მოღუნებას და მრუდის დაცემა მეტად მკვეთრ ხასიათს იღებს. ამასთან ერთად დაცემის მრუდზე არაკვითარი დამატებითი შეკუმშვები არ აღინიშნება, როგორც ეს ცერებრალური კვანძის ამოკვეთის შემდეგ შეიძლება ვხახოთ. მრუდი ეცემა არა საწყის დონემდე, არამედ გაცილებით უფრო მეტად (სურ. 3-L და 8-C). დაცემული ტონუსი დიდხანს, და შეიძლება საბოლოოდ, დარჩეს ამ მდგომარეობაში.

პედალური კვანძის ამოკვეთის შემდეგ პრეპარატს აგზნებადობის ხარისხი კანის ტეტანური თუ მექანიკური გაღიზიანების საპასუხოდ მკვეთრად ეცემა. ტეტანური გაღიზიანებით შეკუმშვის განოსაწვევად გაცილებით უფრო ძლიერი ძალის ხმარებაა საჭირო, ვიდრე პედალური კვანძის მოშორებამდე. კანის არათუ სუსტი, არამედ ძლიერი მექანიკური გაღიზიანებაც გაცილებით უფრო სუსტ შეკუმშვას იძლევა, ვიდრე პედალური კვანძის ამოკვეთამდე. შეკუმშვის შემდეგ ტონური შემდეგმოქმედების ხანგრძლივობა ძალიან შემცირებულია და მთელი შეკუმშვა მარტივ ხასიათს ატარებს. საბოლოოდ ისპობა ყოველგვარი ავტომატური შეკუმშვები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ერთისა ან ორივე კვანძის არსებობის დროს (სურ. 3). თუ გასაღიზიანებლად არა კანს, არამედ პედალური კვანძიდან გამოსულ პერიფერიულ ნერვებს გამოვიყენებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ არც გაღიზიანების ზღურბლი და არც შეკუმშვის ინტენსიობა ცვლილებას არ განიცდის (სურ. 8).

ამაირად, ცერებრალური კვანძის მოშორება იწვევს როგორც აგზნებადობის ხარისხის მომატებას, ისე ტონუსის გაძლიერებას. პედალური კვანძის



მოზორება კი იძლევა ტონუსის დაცემას და აგზნებადობისა და შეკუმშვის ხარისხის დაქვეითებას.



სურ. 3.

კვანძების მოზორების გავლენა ტონუსზე, აგზნებადობის ხარისხსა და შეკუმშვის ინტენსიობაზე. A—კანის სუსტი მექანიკური გაღიზიანება სველი ფუნჯის ერთხელ წასმით X; B, C, D, და E სხვადასხვა ინტენსიობის პერიფერიული ტეტანური გაღიზიანების ეფექტი; F, G, H, J და K—იგივე გაღიზიანებანი ცერებრალური კვანძის ამოჭრის შემდეგ; L, M, N, და O გაღიზიანებანი პედალური კვანძის ამოჭრის შემდეგ; L—პედალური კვანძის მოზორების მომენტი (ციფრები სიგნალის ხაზზე უბეწებენ გაღიზიანების ძალას სანტიმეტრებში); ინდექს-ტორიუმის კოჭთა შუა მანძილი; ქვემოთ—დრო მიწუტობით. ცდათა შორის დრო 2 მიწუტა.

რაც შეეხება იორდანის მიერ აღწერილ საწინააღმდეგო ხასიათის ფაქტებს (პედალური კვანძის მოზორების შემდეგ, ტონუსის გაკლიერებას) ფიქრობთ, ოპერაციის გამაღიზიანებელი მოქმედებითაა გამოწვეული. ასეთ შედეგებს ჩვენ მაშინ ვღებულობდით, თუ კვანძის მოზორების გავლენა სრულიად დაუტკვირთავს ან ახლად ოპერირებულ პრეპარატზე შეისწავლებოდა.



2. ცერებრალურსა და პედალურ კვანძზე ინდუქციური დენის

მოქმედების შედეგი


ინდუქციური (ფარადიული) დენით გალიზიანებისათვის ელექტროდებს ვათავსებდით კვანძზე ზემოთ ან თვით კვანძს მოვსვენებით პოლუსებს შორის. გალიზიანების სისწორე არ აღემატებოდა 35—40 კვეთებას სეკუნდში. გალიზიანების შედეგი შესწავლებოდა ტონუსისა და პერიფერიული (კანის) ტეტანური გალიზიანებით გამოწვეული რეფლექსური მოქმედების მიხედვით.

ცერებრალური კვანძის ისეთი სუსტი ტეტანური გალიზიანება, რომელიც შეკუმშვას არ იწვევს ან ნიოგრაფის წვერის ოდნავ ზევით აწევას იძლევა, არსებულ ტონუსს თვალსაჩინოდ აკაეებს (ტონუსს სცემს). ტონუსის შეკავება მრუდის ქვევით დაცემაში გამოიხატება და იგი 3—4'-ს გრძელდება. გალიზიანების შეწყვეტის შემდეგ მრუდი 2—3'-ში სავსებით უბრუნდება ნორმას. გალიზიანების გაძლიერების შემთხვევაში შეკუმშვაც ძლიერდება, მაგრამ მას ჩქარა შეკავება მოსდევს. შეკავება გალიზიანების მომენტშივე იწყება და იგი იმდენად ძლიერი და ხანგრძლივი, რამდენადაც ძლიერია გალიზიანება. ძლიერი გალიზიანებით გამოწვეული შეკავება შეიძლება 7—10'-მდე გრძელდებოდეს. გალიზიანების შეწყვეტა არ სპობს შეკავებას, პირიქით, აღრმავებს მას.


ცერებრალური კვანძის ხანმოკლე ტეტანური გალიზიანების დროს მხოლოდ შეკუმშვა ჩანს, რადგან შეკავება განვითარებას ვერ ასწრებს, მაგრამ გალიზიანების შეწყვეტისთანავე ძლიერი შეკავება — ტონუსის დაცემა — იწყება (სურ. 4). დაცემული ტონუსი ხშირად ავტომატურად აღმოცენებული შეკუმშვებით იწყებს აღდგენას (სურ. 4).

ცერებრალური კვანძის ტეტანური გალიზიანება არა მარტო ტონუსს, არამედ პერიფერიული გალიზიანებით გამოწვეულ რეფლექსურ რეაქციებსაც აკაეებს. კვანძის ხანგრძლივი ტეტანური გალიზიანების დროს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, შეკავება თანდათან ღრმავდება და ძლიერდება. ამიტომ, თუ ჩვენ პერიფერიული გალიზიანების საპასუხოდ რეფლექსურ მოქმედებას ხანგამოშვებით გამოვიწვევთ, ვნახავთ, რომ ისეთი ინტენსიობის გალიზიანება, რომელიც ცალკე საკმარისად ძლიერ რეაქციას იძლეოდა, ცერებრალური კვანძის გალიზიანების გამო თანდათან კნინდება და ბოლოს სრულიად ისპობა. შემაკავებელი გალიზიანების შეწყვეტის შემდეგ ის ასევე თანდათანობით იწყებს აღდგენას და 3—5'-ში საწყის მდგომარეობას უბრუნდება. როგორი სიძლიერისაც არ უნდა იყოს პერიფერიული გალიზიანებით გამოწვეული რეაქცია, ის მაქსიმალურად შეიძლება შეკავდეს ცერებრალური კვანძის ზომიერი ტეტანური გალიზიანების შედეგად (სურ. 5).

აღნიშნული ცდები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ცერებრალური კვანძის მიერ განვითარებული შემაკავებელი გავლენა მინუტობით გრძელდება და ამიტომ პერიფერიული გალიზიანება, რომელიც ჩვეულებრივ ძლიერსა და ხანგრძლივ შეკუმშვას იძლევა, ცერებრალური კვანძის გალიზიანების შემ-




დღე ან სრულიად უმოკმელოა, ანდა კიდევ სუსტსა და ხანმოკლე შეკუმშვას იწვევს.



სურ. 4.

ცერებრალური კვანძის ტეტანური გაღიზიანებით გამოწვეული ტონუსის შეკავება. კვანძი აღიზიანდება სხვადასხვა ინტენსიობის ტეტანური გაღიზიანებით. ტონუსის დატემა გაღიზიანების მომენტშივე იწყება, სახდურბლზე გაღიზიანების შემთხვევაში მკირზე შეკუმშვისთანავე, უფრო ძლიერი გაღიზიანების დროს კი — ძლიერი შეკუმშვის შემდეგ. რამდენად ძლიერია ტეტანური გაღიზიანება, იმდენად ძლიერია შეკუმშვა და მომდევნო შეკავება. ცდათა შორის დრო 3 მიწუტია.

დანარჩენი აღნიშვნები იგივეა, რაც წინა სურათზე.




სურ. 5.

ცერებრალური კვანძის გაღიზიანებით გამოწვეული რეფლექსური მოკმედების შეკავება. A — პერიფერიული (კანის) გაღიზიანების ეფექტი (ზემო სასიგნალო ხაზი); ცერებრალური კვანძის ხანგრძლივი ტეტანური გაღიზიანება (ქვედა სასიგნალო ხაზი); გაღიზიანების სხვადასხვა მომენტში და მისი შეწყვეტის შემდეგ წარმოებს პერიფერიული გაღიზიანება; რეფლექსური მოკმედება შეკავებულია. C — ცერებრალური კვანძის იმავე ინტენსიობის გაღიზიანებასა და უფრო ძლიერი პერიფერიული გაღიზიანების კომბინაცია (როგორც ჩანს, ძლიერი პერიფერიული გაღიზიანებას ეფექტიც შეკავებულია). D და E — (საკონტროლო), ძლიერი პერიფერიული გაღიზიანება — 3-5-ის შემდეგ. ქვემოთ დრო 3"-ით; ცდათა შორის ინტერვალი 2 მიწუტია.

ტონუსისა და რეფლექსური მოქმედების შეკავება შეიძლება გამოვიყენოთ კონექტივის პირდაპირი გალიზიანებითაც, კონექტივის სუსტად ტეტანიური გალიზიანება, როცა ცერებრალური კვანძი მოშორებულია, გვადლევს ტონუსის დაცემასა და რეფლექსური მოქმედების შეკავებას, თუმცა შეკავება ამ შემთხვევაში უფრო სუსტადაა გამოხატული, ვიდრე ცერებრალური კვანძის გალიზიანების დროს.

სულ სხვა შედეგს ვღებულობთ პედალური კვანძის გალიზიანებისას. ამ კვანძის სუსტი თუ ძლიერი (მაქსიმალური) გალიზიანება მხოლოდ შეკუმშვას იწვევს და იგი იმდენად ძლიერი და ხანგრძლივია, რამდენადაც ძლიერია გალიზიანება (სურ. 6).




სურ. 6.

პედალური კვანძის სხვადასხვა ინტენსიობის გალიზიანების ეფექტი. A—სახლურბლედ და ზომიერი ტეტანური გალიზიანების ეფექტი. B—მაქსიმალური ტეტანური გალიზიანების ეფექტი. ზომიერი და ძლიერი გალიზიანებით გამოწვეული შეკუმშვას შემდეგ მოქმედების ფონზე აღინიშნება საონტანური მეკუმშვები. დანარჩენი აღნიშვნები იგივეა, რაც წინა სურათზე.

მაგრამ, თუ პედალური კვანძის გალიზიანება სუპერმაქსიმალურია, სურათი მკვეთრად იცვლება, მაშინ როდესაც საშუალო და მაქსიმალური გალიზიანება ძლიერსა და ხანგრძლივ შეკუმშვას იძლევა და შემდგომი მოქმედება გაძლიერებული და გართულებულია ცალკეული ავტონატიური შეკუმშვებით, სუპერმაქსიმალური გალიზიანება, პირიქით, ხანმოკლე შეკუმშვას იწვევს. გალიზიანების შეწყვეტის შემდეგ შეკუმშვა მკვეთრად ეცემა. მრული ეცემა არა საწყის დონემდე, არამედ გაცილებით ქვევით. ტონუსის დაცემა ძლიერი და ხანგრძლივია. ის შეიძლება რამდენიმე მინუტს (7—8' და მეტ ხანსაც) გრძელდებოდეს (სურ. 7).

სუპერმაქსიმალური გაღიზიანების მოქმედებაზე შეიძლება სხვადასხვა-
ნაირი მოსაზრება გამოითქვას. ისეთი გაღიზიანება (9 სმ. კ. შ. მ.) კვანძის
დამაზიანებლად მოქმედებს (რის გამოც კვანძის ფუნქციური მდგომარეობა
ქვეითდება და ტონუსი და შეკუმშვაამის გამო განიცდის დაცემას), ანდა ისეთი
შედგენი შეკავების პროცესის გამომხატველია, რომელსაც შეიძლება პედა-
ლური კვანძის ძლიერი გაღიზიანება იწვევდეს. უოველ შემთხვევაში ანის შემ-
დეგი კვლევა გადაწყვეტს.



სურ. 7.


პედალური კვანძის ზომიერი და სუპერმაქსიმალური გაღიზიანების ეფექტი. კვანძის
ზომიერი ტეტანური გაღიზიანება ხანგრძლივ შეკუმშვას იწვევს (ცდა A). ძლიერი
გაღიზიანების შემდეგ, პირიქით, შეკუმშვა მალე ისობა და არსებული ტონუსი
მაქსიმალურად ეცემა (ცდა B).
დანარჩენი აღნიშვნები იგივეა, რაც წინა სურათზე.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ლოკოკინის ცერებრალური
კვანძის როგორც სუსტი, ისე ძლიერი ტეტანური გაღიზიანება იწვევს ტო-
ნუსისა და რეფლექსური მოქმედების შეკავებას. სუსტი გაღიზიანების დროს
შეკავება მცირე შეკუმშვის შემდეგ ვითარდება; გაღიზიანების გაძლიერების
კი ძლიერდება როგორც შეკუმშვა, ისე მომდევნო შეკავება. შეკავება გაღიზი-
ანების მოპენტშივე იწყება, თანდათანობით ვითარდება, ღრმავდება და თან-
დათანობით გაივლის; ძლიერი გაღიზიანების დროს იგი შეიძლება 8—10 ს.
და მეტ ხანსაც გრძელდებოდეს.

პედალური კვანძის სუსტი, ზომიერი თუ მაქსიმალური ტეტანური გა-
ღიზიანება მუდამ აგზნებას იძლევა. გაღიზიანების გაძლიერებით კუნთის
შეკუმშვა ძლიერდება და ხანგრძლივდება, მაგრამ, თუ გაღიზიანება სუპერ-
მაქსიმალურია, შეკუმშვის შემდეგ კუნთი, პირიქით, სწრაფ მოდუნებას გა-
ნიცდის. ტონუსი ნორმაზე ქვეით ეცემა და პერიფერიული გაღიზიანების
ზღურბლი და შეკუმშვის ინტენსიობა მკვეთრად შემცირებულია. აღნიშნული
მდგომარეობა ხშირად მინუტობით გრძელდება და თანდათანობით გაი-
ვლის.

ამგვირად, როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, ცერებრალური კვანძი ეფექტორზე შემთავებელ მოქმედებას აწარმოებს, მაშინ როდესაც მუცლის კვანძის გავლენა მასზე ამგზნებელ მოქმედებაში გამოიხატება (თუ სუპერ-მაქსიმალური გალიზიანების გავლენას მხედველობაში არ მივიღებთ).

საჭიროა ახლა დავახასიათოთ პერიფერიული ნერვებისა და, ამასთან ერთად, კუნთის პირდაპირი გალიზიანების ზოგიერთი შედეგიც, რომელთა შესწავლა დიდ დახმარებას გაგვიწევს წამოჭრილ საკითხთა გამორკვევასა და ახსნაში.



სურ. 8.

ფუნის კანას და პერიფერიული ნერვების გალიზიანების ეფექტი პედალური კვანძის არსებობის დროს და მისი მოშორების შემდეგ. ზედა მრუდი კვანძის ამოჭრამდე: A—პერიფერიული ნერვების გალიზიანების ეფექტი (ქვედა სასიგნალო ხაზი); B—ფუნის კანის გალიზიანების ეფექტი (ზედა და სასიგნალო ხაზი) ქვედა მრუდი—კვანძის ამოჭრის შემდეგ. C—პედალური კვანძის მოშორების მოშენი. D—პერიფერიული ნერვებისა და E—ფუნის კანის ისეთივე ინტენსიობის გალიზიანება. F—ფუნის გალიზიანება კუნთში მთელ სიგრძეზე დენის გატარებით.

ქვემოთ—დრო 3"-ით.

პერიფერიული ნერვების ინტექციური დენით გალიზიანების ეფექტის დასაკვირვებლად მათ გალიზიანებით პედალური კვანძის ამოჭრისა ან მათზე



ძაუის მაგრად შემოჭერის შემდეგ. პედალური კვანძის მოშორებამდე პერიოდული ნერვების სუსტი და ზომიერი გაღიზიანება შედარებით ხანგრძლივად შეკუმშვას იძლევა. კვანძის ამოჭრის შემდეგ შეკუმშვათა ხანგრძლიობა შემცირებულია, ინტენსიობა კი მოპატებულია: კვანძის მოშორების შემდეგ ტონუსი ეცემა—კუნთი გრძელდება და ამიტომ ნერვების იმავე ინტენსიობით გაღიზიანების მიერ გამოწვეული შეკუმშვა უფრო მაღალი ხდება (სურ. 8, A და D).

პედალური კვანძის მოშორებამდე კანის სუსტი და ზომიერი ტეტანური გაღიზიანება ხანგრძლივ შეკუმშვას იძლევა. კვანძის მოშორების შემდეგ კი შეკუმშვათა ინტენსიობა მკვეთრად კლებულობს, აგზნებადობის ხარისხი ეცემა და ამასთან ერთად ყოველგვარი ავტომატური მოქმედება ისპობა (სურ. 8, B და E).

თუ ნაცვლად კანის ლოკალური გაღიზიანებისა, კვანძ-მოშორებულ პრეპარატს მთელ საგრძნევ ინდუქციური დენის გატარებით გავაღიზიანებთ, გამღიზიანებელი ელექტროდების თავსა და ბოლოში მოთავსებით, მაშინ ინტენსიურ შეკუმშვას მივიღებთ (სურ. 8 F).

შედეგთა განხილვა

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, ლოკოკინის ცერებრალური კვანძის გაღიზიანება იწვევს ტონუსისა და რეფლექსური მოქმედებას შეკავებას. ტონუსის დაცემა და რეფლექსური მოქმედების შეკავება ვითარდება მათი წინასწარი გაძლიერების შემდეგ.

პედალური კვანძის სუსტი და მაქსიმალური ინდუქციური გაღიზიანება მხოლოდ შეკუმშვას იძლევა, ხოლო, თუ გაღიზიანება სუპერმაქსიმალურია, გაღიზიანების შეწყვეტის შემდეგ ტონუსი ეცემა და ფეხის კანის გაღიზიანების საპასუხო რეაქციის გამოწვევა გაძნელებულია.

დამტკიცებული იყო აგრეთვე, რომ ცერებრალური კვანძის დაზიანება (ამოკვეთა) ტონუსის ზრდასა და რეფლექსური მოქმედების გაძლიერებას იწვევს, ხოლო პედალური კვანძის დაზიანება ტონუსის დაცემასა და რეფლექსური მოქმედების მოსპობას იძლევა. აგზნებადობის ხარისხი პირველ შემთხვევაში მომატებულია, მეორე შემთხვევაში კი თვალსაჩინოდაა შემცირებული.

ასეთი დასკვნების შემდეგ ბუნებრივად ისმის საკითხი, თუ სად უნდა წარმოებდეს შეკავების პროცესი, რომელიც ცერებრალური კვანძის გაღიზიანების შედეგად ვითარდება: პედალურ კვანძში, ეფექტორში, თუ გამტარ ნერვულ გზებში—საეციალურ „შემაკავებელ ბოჭკოებში“?

ანატომიური მონაცემების მიხედვით ვახის ლოკოკინაში ცერებრალური კვანძი ფეხის კუნთთან პედალური კვანძის საშუალებითაა დაკავშირებული. პირდაპირი ნერვული გზა ცერებრალურ კვანძსა და ეფექტორს შორის, რომელიც პედალურ კვანძში განუწყვეტლივ გაივლის, როგორც ჩანს, არ უნდა არსებობდეს. ასეთ კავშირს რომ ჰქონდეს ადგილი, მაშინ მამოძრავებელი ნერვების უშუალო გაღიზიანებაც უნდა იწვევდეს შეკავებას, თუკი ამას. პედა-

ლური კონქტივის გაღიზიანება იძლევა. ამით ირკვევა, ჯერ ერთი, ის, რომ პერიფერიული ნერვები სპეციალურ შემთავებულ ბოქკოებს არ უნდა შეეხებოდეს და, მეორეც ის, რომ შეკავების პროცესი არა ეფექტორში, არამედ პედალურ კვანძში უნდა წარმოებდეს. ამნიირად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცერებრალური კვანძის გაღიზიანების შედეგად პედალური კვანძი შეკავებას განიცდის და ტონუსისა და რეფლექსური მოქმედების დასუსტება პედალური კვანძის შეკავების შედეგია.

ასეთავე აზრისაა ბუდენბროკი (1924) და ზუბკოვი და ბეკულატოვი (1938) ლოკოკინებში რეფლექსური მოქმედების შეკავების საკითხზე. მათი აზრით, პერიფერიული რეაქციების დასუსტება პედალურ კვანძში განვითარებული შეკავების შედეგია.

ზემოაღწერილი მოსაზრების მტკიცების საფუძველზე აუცილებლად წამოიჭრება შემდეგი საკითხი: რატომ უნდა იწვევდეს პედალური კვანძის შეკავება ტონუსის დაცემასა და რეფლექსური მოქმედების დაკნინებას?

დასმული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გარკვეულ იქნეს ტონუსი და რეფლექსური მოქმედება, რომელთა ცვალებადობასაც ჩვენ ვსწავლობთ; პედალური კვანძის მოქმედებაზე დამოკიდებული, თუ მასში ერთგვარ როლს ეფექტორიც (ფეხის კუნთი) თამაშობს, რომელსაც საკუთარი ნერვული სისტემა გააჩნია.

ჩვენს ცდებში რეფლექსურ მოქმედებას უმეტესად ფეხის კანის ინტეციური ლოკალური გაღიზიანებით ვიწვევდით. ამიტომ, შეიძლება გვეფიქრო, რომ ამ დროს კანთან ერთად კუნთოვანი ელემენტებიც დაზიანდებოდა და საპასუხო რეაქცია ძირითადად კუნთის საკუთარი ნერვული სისტემის მოქმედების შედეგი იყო. მაგრამ ექსპერიმენტმა საწინააღმდეგო სურათი მოგვცა. აღნიშნული რეაქციები პერიფერიული წარმოშობისა რომ იყოს, მაშინ პედალური კვანძის ამოკვეთა ტონუსის დაცემასა და რეფლექსური მოქმედების მძლავრ დასუსტებას არ უნდა იწვევდეს.

თუ კანის გაღიზიანების შემთხვევაში (როცა პედალური კვანძი შენარჩუნებულია) აგზნებადობის ხარისხი მაღალია და საპასუხო რეფლექსური მოქმედება საკმარისად ძლიერი, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პედალური კვანძი აგზნების ცენტრალური გამაძლიერებლის როლს თამაშობს. ამასთან ერთად, რადკან აგზნება პერიფერიულ ნერვებში 50—55 სმ სისწრაფით ვრცელდება (გოგავა, 1951) და ფეხის საკუთარ ნერვულ ბადეში კი დიდი დეკრემენტიბ (Jorjau, 1934, 1938), ამიტომ აგზნება ფეხის კუნთის ყველა ფარგალს პედალური კვანძის საშუალებით უფრო ადრე და ადვილად აღწევს, ვიდრე საკუთარი ნერვული ბადით (რომელსაც ადგილი აქვს კვანძმშორებულ პრეპარატზე).

ფეხის ლოკოკინის ფეხის კუნთის განსაზღვრული ტონუსი და რეფლექსური მოქმედება რომ პედალური კვანძის ფუნქციას შეადგენს, ეს კარგად ჩანს იორდანის (1934, 1938) შრომებიდანაც.

ყველა ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: რადგან ტონუსი და რეფლექსური მოქმედება პედალურ კვანძზე დამოკიდებული,



აშკარაა, ამ კვანძის შეკავება გამოიწვევს როგორც ტონუსის დაცემას, ისე რეფლექსური მოქმედების გამოწვევის გაძნელებას.

დასკვნა

1. წინააღმდეგ იორდანის ნტიციებისა, ჩვენ დავადგინეთ, რომ ვაზის ლოკოკინის ნერვული ცენტრების გაღიზიანების საშუალებით შესაძლებელია მათი ნორმალური ფუნქციის გამომწვანება.
2. ლოკოკინის ცერებრალური კვანძის გაღიზიანება იწვევს ფეხის კუნთის ტონუსისა და რეფლექსური მოქმედების შეკავებას, პედალური კვანძის გაღიზიანება კი მათ გაძლიერებას.
3. ტონუსის დაცემა და რეფლექსური მოქმედების დასუსტება ცერებრალური კვანძის გაღიზიანების შენთხვევაში პედალური კვანძის შეკავების შედეგია.
4. ლოკოკინის ცერებრალურ კვანძის დაზიანება იწვევს ტონუსის ზრდასა და რეფლექსური მოქმედების გაძლიერებას. პედალური კვანძის დაზიანება კი ტონუსის დაცემასა და რეფლექსური მოქმედების მოსპობას.
5. ვაზის ლოკოკინის ფეხის კუნთის განსაზღვრულ ტონუსსა და რეფლექსური მოქმედების კოორდინაციას პედალური კვანძი აწარმოებს.

ლიტერატურა

მ. ბ. გოგავა (1947ა), მდინარის კიბოს ცერებრალური კვანძის რეფლექსთა შემავსებელი მოქმედების შესახებ.

მ. ბ. გოგავა (1947 ბ), ჭიაველას სენსორული რეფლექსის კოორდინაციის შესახებ.

მ. ბ. გოგავა (1948 ა), მდინარის კიბოს ცერებრალური კვანძის მოქმედების თანამართლებელი გამოკვლევა.

მ. ბ. გოგავა (1948 ბ), სამედიცინო წერტილსა და ჭიაველას ცერებრალური და ხაზის ქვედა კვანძის მოქმედების შესახებ.

მ. ბ. გოგავა (1951), უნერბნელო ცხოველთა ფეხისა და ხაზის ქვედა კვანძის როლი რეფლექსურ რეაქციებში. დისერტაცია.

Е. А. Бабурипа (1939), Мышечная клетка ноги *Helix pomatia*: Арх. анатом.-гистол. и эмбриол. 21, 76.

В. Н. Беклемишев (1944), Основы сравнительной анатомии беспозвоночных, Москва, Госиздат, „Советская наука“, стр. 341.

И. С. Вериташвили (Беритов) (1945), О возбуждении и торможении в рефлекторных реакциях нервно-мышечного препарата срединных сомитов пиявки: Тр. Тбил. гос. университета им. Сталина, т. XXVII, стр. 29.

И. С. Беритов (1950), О прохождении спонтанной активности и передаче возбуждения в нервных узлах брюшной мочочки пиявки: Журн. общей биол., т. XV, № 1, стр. 31.

И. Вериташвили (Беритов) и М. Гогова (1945), О координации сегментальных рефлекторных реакции у пиявки: Тр. Тбил. гос. ун-та им. Сталина, т. XXVII а, стр. 1.

И. Беритов и М. Гогова (1949), О спонтанной активности в первых узлах брюшной мочочки пиявки: Журн. общей биологии, т. X, № 6, стр. 421.



- И. С. Беритов и М. В. Гогава (1950 а), Об электрических потенциалах брюшной цепочки пиявки: Тр. Института Физиол. им. Бериташвили, 8, 1950, стр. 100-103.
- И. Беритов и М. Гогава (1950), О проведении возбуждения в нервных узлах брюшной цепочки пиявки: Журн. общей биол., т. XI, № 1, стр. 20.
- В. А. Догель (1940), Сравнительная анатомия беспозвоночных, часть II, Ленинград, Госучпедиздат, стр. 84.
- Е. К. Жуков (1936), Изменение вязко-эластических свойств запирательных мышц под воздействием нервной системы: Физиол. Журн. СССР, 20, 98.
- А. Заварзин (1911), Очерки по эволюционной гистологии нервной системы, М.-Л., Медгиз.
- А. А. Зубков (1934), Материалы к сравнительной физиологии сердца. Сообщ. II. Роль центральной нервной системы в сердечной деятельности виноградной улитки: Физиол. Журн. СССР, 17, 299.
- А. А. Зубков и Т. П. Бекбулатов (1935), О влиянии центральной нервной системы на вязкость ноги и на locomotion виноградной улитки: Физиол. журн. СССР, 25, 297.
- Г. Нордан (1934), Практикум сравнительной физиологии, М.-Л., Биомедгиз, стр. 160-225.
- Г. Нордан (1935), Сравнительная физиология мышц, нервов и центров. Принцип координации: Физиол. журн. СССР, 19, 141.
- Х. С. Коштоянц (1933), О роли полостных органов в актах двигательной сферы: Архив биол. наук, т. 40, вып. 2, стр. 33.
- Х. С. Коштоянц (1936), К эволюции форм координации движений животных (роль полостных органов при этом).
- И. П. Павлов (1940), Как беззубка раскрывает свои створки. Полное собр. трудов, т. I, М.-Л., АН СССР, 297.
- Э. Д. Эдриан (1935), Механизм нервной деятельности (электрофизиологическое изучение невроза). Пер. с англ. под ред. П. О. Макарова, М.-Л., Госиздат. биол. и мед. лит-ры, 78.
- S. Badioli (1913), Physiologie des nervensystems. Handb. d. vergl. Physiologie herausgeg. v. H. Wintersein. Bd. 4, s. 199.
- A. Bethe (1897), Vergleichende Untersuchungen über die Funktionen des Centralnervensystems der Arthropoden: Pfl. Arch. ges. Physiol. Bd. 68 449.
- Bieddermann (1905/6), Studien zur vergleichenden Physiologie der peristaltischen Bewegungen II und III Pfl. Arch. ges. Physiol. Bd 107 u. 111, цит. по Badioli.
- V. Bonnet (1938), Contribution a l'étude du système nerveux ganglionnaire des crustacés: Arch. internat. Physiol., Vol. XLVII, 397.
- V. Buddenbrock (1924), Grundriss der vergleichenden Physiologie. Teil. Sinnesorgane und Nervensystem, цит. по Hanström'y.
- A. J. Carlson (1909), Vergleichende Physiologie der Herznerven und der Herzgänglich bei den Wirbellosen: Ergebn. Physiol. 8, 371.
- B. Hanström (1928), Vergleichende Anatomie des Nervensystems der wirbellosen Tiere. unter Berücksichtigung seiner Funktion, Berlin, s. 181.
- H. Jordan (1923), Zur Theorie der Zentrenwirkung auf Grund der Leistungen der Zentren bei dem Gastropoden. Verhandl. d. Dtsh. zool. Gesellsch. e. v. anlässlich d. 32. Jahresversameln., s. 195-203.
- H. Jordan, C. Sluiter und N. Postma (1938), Die Regulierung des Muskeltonus durch die Ganglia pedalia bei Helix pomatia L. nach dem Schema der Koordination oder der Isostasie. Koninklijke Nederlandsche Akademie van Wetenschappen. Pr. vol XLI. 10.

- J. Segaar (1929), Über die Funktion der nervösen Zentren bei Krustazeen: Z. vergl. Physiol., Bd. 10, H. 1, 120.
- J. Steiner (1893), Die Funktionen des zentralnervensystems und ihre Phylogenese. III Abt. die Wirbellosen Braunschweig, 154. Zentralblatt für Physiologie 12. 768.
- N. Vantiel (1940), Die Regulierung der Herzstätigkeit bei Helix pomatia durch extracardiale Nerven und das zentralnervensystem; Proceedings. Vol XLII. No. 10. p. 1332.
- A. Vulpian (1892), Leçons sur la physiol. des substances toxiques et medicamenteuses parms; part. no Bonnet.
- E. Yung (1882), Recherches experimentales sur l'action des poisons chez les Cephalopodes: Mittel a. d. Zool. Station zu Neapel Bd. 3, p. 97, part. no Baglioni.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფიზიოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციასი 1954. V. 15)

М. Гогва

О природе центральной координации у виноградной улитки

1. Результаты повреждения и электрического раздражения центров

Резюме

Изучение деятельности центральной нервной системы беспозвоночных животных, дающее возможность разобраться в основных вопросах происхождения и развития сложных функций центральной нервной системы позвоночных животных, представляет известный интерес с точки зрения сравнительной физиологии.

Вопрос о координации рефлекторной деятельности беспозвоночных животных изучался многими авторами но, можно сказать, что он остается невыясненным, или же воззрение некоторых исследователей по данному вопросу является ошибочным. Мы имеем в виду учение голландского ученого Иордана, который дает идеалистическое толкование о деятельности центральной нервной системы некоторых беспозвоночных.

Иордан предлагает своеобразную гипотезу о деятельности нервных центров, гипотезу о „выравнивании энергии“.

По его мнению, ганглии активно включаются в действие не только под влиянием сил внешней среды, но также под воздействием скоп-



центрированной в них „собственной энергии“, размер и ритм оказывают большое влияние на периферические движения.

Согласно этой гипотезе, нервные узлы обладают способностью приходить в активное состояние, которое не выявляется в быстрых импульсах возбуждения. Активность одного центра влияет на деятельность других центров или периферических органов не посредством нервных импульсов, а посредством этой „энергии“; чем большей активностью обладают центры, тем сильнее их влияние на периферические органы, тем возбужднее и подвижнее животное. Наоборот, чем меньше активности в центрах, тем слабее их влияние на периферию и тем слабее деятельность периферического органа. Электрическое раздражение нервных центров, по мнению Иордана, не действует угнетающе на рефлекторные реакции и вообще при помощи раздражения узлов нельзя выявить их нормальные функции. Посредством раздражения центров, например, у улитки, нельзя вызвать торможение, хотя, по его же мнению, у центров есть способность к торможению.

Согласно данным Иордана, учение Введенского о торможении не способно объяснить природу центрального торможения у низших животных. По его мнению, „тормозящее действие церебрального ганглия (например, аплизии) на рефлекторные реакции—чисто количественное. Оно не исключает какие-нибудь реакции, но только снижает их“.

Учение Иордана о деятельности нервных центров отходит от материалистических позиций. Свои ошибочные взгляды Иордан противопоставляет достижениям советской физиологии об определяющей роли внешней среды в деятельности центральной нервной системы.

Мы задались целью изучить явления центрального возбуждения и торможения и их механизмы на представителях брюхоногих моллюсков, на виноградной улитке (*Helix taurica*, *H. atrolabiota*, *H. Buchi*).

Работа велась в течение круглого года. Для опытов использовались ноги улитки, у которой были сохранены как церебральный узел (мозг), так и подглоточный (педальный) узел.

При миографической регистрации рефлекторной деятельности мы прикалывали головную часть препарата булавкой к пробковой доске, а концевую часть соединяли ниткой с миографом. Препарат был расположен горизонтально, спиной вверх, что позволяло производить необходимые манипуляции как на узлах, так и на нервах. Расположенный таким образом препарат мы нагружали грузом в 7—8 грамм и давали отдых на 20—30 минут.

Влияние удаления узлов или же их раздражения изучалось по изменениям тонуса, степени возбудимости и рефлекторной деятельности ноги улитки. Степень возбудимости и изменчивость рефлекторной деятельности определяли посредством механического и электрического раздра-

жения кожных рецепторов и электрического раздражения чувствительных нервов. Раздражителями центров служил индукционный ток.

Препарат ноги виноградной улитки, у которого сохранены церебральный и педальный узлы, находящиеся под нагрузкой в 7—8 граммов, через 20—25 минут после операции принимает определенный тонус. Иногда и по истечении этого периода вне всякого внешнего раздражения проявляется автоматическая деятельность (сокращение и расслабление), интенсивность и продолжительность которой очень изменчивы. Удаление церебрального узла не влияет на автоматическую деятельность, а от удаления педального узла эта деятельность прекращается совершенно.

Удаление церебрального узла вызывает увеличение тонуса и степени рефлекторной возбудимости мышцы ноги улитки. Удаление педального узла вызывает понижение тонуса (как показывает падение кривой на миографической записи) и уменьшение степени возбудимости, определяемой, как мы уже сказали, посредством механического и электрического раздражения кожных рецепторов.

Фарадическое раздражение церебрального узла сопровождается торможением тонуса и рефлекторной деятельности. Торможение рефлекторной деятельности определялось уменьшением реакций, вызванных механическим или электрическим раздражением кожных рецепторов. В начале раздражения узла развивается сокращение, которое при дальнейшем раздражении исчезает и сменяется понижением тонуса и торможением рефлекторной деятельности. Торможение настолько же сильно и продолжительно, насколько сильно раздражение. Постепенно углубляясь, торможение достигает максимума и таким же образом после раздражения постепенно ослабевает и исчезает. Весь этот период длится 15—17 минут и больше.

Торможение тонуса и рефлекторной деятельности может быть вызвано также раздражением коннективов после удаления головного (церебрального) узла.

Противоположные результаты были получены при раздражении педального узла. Раздражение этого узла слабым или умеренным индукционным током вызывает только сокращение. Но при супермаксимальном раздражении узла вместо длительного тонического сокращения развивается кратковременная реакция: по окончании раздражения сокращение быстро исчезает, тонус максимально падает и рефлекторная деятельность затормаживается.

Понижение тонуса и торможение рефлекторной деятельности начинаются одновременно и развиваются параллельно. При восстановлении тонуса рефлекторная деятельность также возвращается к норме.



По анатомическим данным церебральный узел улитки связан с ногой мышцей посредством педального узла. Очевидно, между церебральным узлом и эффектором не должно существовать прямого нервного пути, который проходил бы непрерывно через педальный узел. Если такая связь имела бы место, тогда непосредственное раздражение двигательных нервов между педальным узлом мышцы ноги вызывало бы торможение, аналогичное тому, которое вызывается раздражением педального коннектива (нервный путь, связывающий церебральный узел с педальным).

Из этого можно заключить, что при раздражении церебрального узла торможение происходит не в эффекторе, а в педальном узле, т. е. церебральный узел осуществляет ослабление тонуса и рефлекторной деятельности посредством торможения (уменьшения активности) педального узла.

На основании полученных данных можно сделать следующие выводы:

1. В противоположность взглядам Иордана, биологическую роль церебрального и педального узлов виноградной улитки можно выявить с помощью их непосредственного раздражения.

2. Церебральный и педальный узлы оказывают агитантагонистическое влияние на тонус и рефлекторную деятельность; раздражение церебрального узла вызывает их торможение, а раздражение педального узла—усиление.

3. Падение тонуса и ослабление рефлекторной деятельности при раздражении церебрального узла является результатом торможения педального узла.

4. Повреждение церебрального узла улитки вызывает увеличение тонуса и усиление рефлекторной деятельности, а повреждение педального узла вызывает падение тонуса и исчезновение рефлекторной деятельности.

5. Координацию рефлекторной деятельности и изменение тонуса мышцы ноги улитки производит педальный узел.

მ. საბაშვილი და ი. კარათაშვილი

ქახეთის ნათელი ჭყეების ნიადაგები

აღმოსავლეთი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქისა და ელდარის ველებს შორის მდებარე ქედებსა და ხეობებში, მეტად თუ ნაკლებად, გავრცელებულია ნათელი ტყეები. კერძოდ, ეს ტყეები უფრო კომპაქტურად შემონახულია ოგლეს ქედის ორივე ფერდობზე, ლეკის წყალისა და პანტი-შარას ხეობებში, ბუღას მოედანსა და ვაშლოვანის დეპრესიაში.

ნ. კეცხოველის მიხედვით [5], ნათელი ტყეების გავრცელება ველებთანა დაკავშირებული და იშვიათად თუ სადმე მის ფარგლებს სცილდება. ტყეების ეს ტიპი გავრცელებულია ხირბატ ნიადაგებსა და კლდოვან მთა-გორაკებზე. ნათელი ტყე, ჩვეულებრივ, უაღრესად ქსეროფიტული ბუჩქნარებისა და ხეობისაგან შედგება, რომელთაც დიდი გვალვის ატანა შეუძლიათ. ხეები ურთიერთისაგან საკმაოდ დიდ მანძილზეა დაშორებული და ამიტომ მათ ვარჯს ტოტების განზე განვითარების საშუალება ეძლევა. საფარში, ჩვეულებრივად, მონაწილეობენ ქსეროფიტებისა და ველების დაჯგუფებანი; ამგვარად, იქნება ველისა და ტყის კომბინაცია. ნათელი ტყეები ყველაზე ტიპურად წარმოდგენილია შირაქის ველსა და ელდარის მთა-გორაკზე. ნ. კეცხოველი არჩევს ნათელი ტყეების რამდენიმე ვარიანტს: I. წიწვიანს-ფიჭვნარს, ღვიანს; II. ფოთლოვანს—სილსალაჯიანს, ნეკერჩხლიანს, აკაკის ტყესა და ნარევ ნათელ ტყეს.

ა. გროსპეიმი [3] არიდული ნათელი ტყის (преджонские) ქვეშ ისეთ ნათელ ტყეს გულისხმობს, რომელიც ქსეროფიტული შერქნიანი ჯიშებისაგან შედგება და არასოდეს არ ქმნის შეკრული ტყის საფარს და ვითარდება ქსეროფიტული ბალახეული საფარის ფონზე.

ვ. გულისაშვილი [4] თვლის, რომ წარსულში ნათელ ტყეებს გაცილებით უფრო დიდი არეალი ჰქონდა და გარეჯისა და შირაქის ველიც ამ ტყეებით იყო დაფარული. საერთოდ იგი გამოჰყოფს აღმოსავლეთ საქართველოში ზ/დ 300—500 მ სიმაღლეზე, ვიწრო ზოლის სახით, ნათელი ტყეების სარტყელს, რომელიც ზემოდან მუხნარი ტყის სარტყლით ისაზღვრება; ხოლო ქვემოდან ნახევარ უდაბნოს ზონითაა შემოფარგლული.

ჩვენ მიერ შესწავლილი ნათელი ტყეები ზ/დ 300—400 მ სიმაღლეზე არიან გავრცელებული.



ეს ტერიტორია აგებულია აგზაგილ-აფშერონის ასაკის ქვიშაქვიან კონგლომერატებისა და ფერადი თიხებისაგან. ასეთი რბილი ქანების ლევის გამო მათი თერბული გამოფიტვა ადვილად ხდება და ამიტომ კახეთის ამ ნაწილში დიდი გავრცელება აქვს ძლიერ გამოფიტულ წვეტიან კლდეებს. ეგრეთ წოდებულ „ბედლენებს“. ქანები ყველა კარბონატულია და, როგორც ჩანს, ვაგირდისაა და, უფრო ნაქლებად, ქლორისა და ნატრიუმის მარილებს შეიცავენ.

ბავა აქ კონტინენტურია, ცხელი და მშრალი. ნალექებს უნთავრესად თქეშის ხასიათი აქვს, რაც ხელს უწყობს ეროზიული მოვლენების ძლიერ განვითარებას და დიდ ფართობებზე პროლფეიურისა და დელფეიური ნაფენების გავრცელებას.

დასახელებულ ადგილებში ტყე შედგება სინათლის მოყვარული ჯიშებისაგან, რომლებიც შეკრულ კორომებს არ ქმნიან და მეჩხერად დგანან.

ყველაზე დიდი გავრცელება აქვს კევის ხეს (*Pistacea mutica*). იგი, ჩვეულებრივ, 5—10 მეტრის დაშორებით იზრდება ერთი მეორისაგან, ან ზოგჯერ რამდენიმე ხე ცალკე ჯგუფს ქმნის. ასეთი დგონის გამო კევის ხეს გუმბათისებრი ვარჯი აქვს და იგი საკმაოდ დაბლიდან არის დატოტვილი.

სხვა ჯიშებიდან აქ გვხვდება აკაკი (*Celtis caucasica*), რანდენიმი სახის ღვია (*Juniperus oxyceazus*, *J. foetidissima*, *J. isophyllus*), ძეძვი (*Paliurus spina Christi*), შუჯავა (*Rhamnus Pallasii*), კოწახური (*Berberis vulgaris*), ბროწეული (*Punica granatum*) და სხვ. დაჩრდილულსა და უფრო ტენიან ხეობებში ვხვდებით მუხას, ნეკერჩხალსა და ზოგჯერ სხვა ჯიშს.

ხეებს შორის ფართობი დაკავებულია ველის ტიპის ბალახეული მცენარეულობით. ანათგან ყველაზე დიდი გავრცელება უროსა (*Andropogon ischaemum*) და სხვადასხვა სახის აბზინდებს (*Artemisia*) აქვთ.

კევის ხისა და ღვიანების თანაპედროვე გავრცელების, მათ ფესვთა სისტემის განვითარებისა და ნიადაგური პირობების ნიხედვით შეიძლება დავისკვნათ, რომ სინშრალის უფრო ამტანია ღვია, რომელსაც უკავია ლეკის წყლისა და ვაშლოვანის ყველაზე უფრო ხრიოკი, ვადარეცხილი და ქვანის ადგილები. კევის ხე (სალსალაჯი) ასეთ ადგილებში იშვიათად გვხვდება და უფრო ნეტად და კარგად განვითარებულ მდგომარეობაში შედარებით დაჩრდილულ ჩრდილოეთის ფერდობებზე, ღარტაფებსა და მდინარისპირა ღრნა ნიადაგებზეა გავრცელებული. ეს იმაზე მიგვიბთავებს, რომ, თუმცა კევის ხე საკმაოდ გვალვის ამტანია, მაგრამ მის მიწაც ურჩევნია უფრო ტენიანი და გრილი ადგილები. ამას ადასტურებს მის ფესვთა სისტემის განვითარებაც. ამ ხეს აქვს ღრმად მიმივალი მთავარი ფესვი. გვერდითი ფესვები კი ზერეულდ არიან განწყობილი ნიადაგის ზედაპირის პარალელურად (10—12 სმ) და ამ სიღრმემდე აქაური არამიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებში (ძირითადად საშუალო თიხნარში) მცირე წვიმაც კი ადვილად აღწევს.

ნათელი ტყეების ფართობი გამოყენებულია ცხვრისათვის ზამთრის საძოვრად. ცხვარი სპობს ამონაყარს. როგორც ჩანს, ამასვე ახდენენ აქ დიდი რაოდენობით მყოფი კურდღლებიც; ხოლო ხეებიდან დაცვნილ თესლს ანად-

გურებენ მრავალრიცხოვანი თავგები. ნიადაგი საკმაოდ გაკორდებულია უძრავ ნაწილში და სხვა ბალახების მიერ, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის თესლის გაღვივებას. ამავე დროს ნათელი ტყეების მთავარი კომპონენტი—კვიის ხის—თესლი ძნელად ღვივდება. ამასვე უნდა დავმატოვოთ ის, რომ მწყესელები ზამთარში ჩეხავენ ხეებს. ყველა ნათქვამის შემდეგ გასაგებია, რატომ არის ეს ტყეები ასე თხელი. იმ ადგილებში, სადაც საქონელი არ ძოვს და მწყემსებიც არ ჭრიან ხეებს, ტყე უფრო სქელია, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ფერდობებზე, სადაც ნიადაგი უფრო ღრმაა და შედარებით უფრო ტენიანი.

ნათელი ტყეების ნიადაგური პირობები

მაშასადამე, ნათელი ტყეების მიერ აშუაშად დაკავებული ტერიტორია ტყე-სა და უღებნო-ველის მცენარეულობის ერთად გაფრცხვების არც წარმოადგენს. ჰავის, ქანებისა და მცენარეული საფარის სხვა ფასხვაობის შესაბამისად ნათელი ტყეების ნიადაგური საფარი საკმაოდ დიდი სხვადასხვაობით ხასიათდება და მას ძირითადად ტყის ტიპის ნიადაგიდან ველის ტიპის ნიადაგისაკენ გარდამავალი სახე აქვს, მაგრამ მიინც მშრალი ველის ნიადაგების ნიშნების სიქარბით. უდავოა, რომ არსებულ საფეხურზე, ამ ზონაში უღებნო-ველის მცენარეული ფორმაციის ფართოდ შემოჭრის გამო, უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ქსეროფიტობაციის პროცესი წარსულში, ალბათ, უფრო მეტად გაფრცხვებული ტყის ნიადაგებისა (უნდა ვიფიქროთ, ტყის ყავისფერი ნიადაგებისა).

საქიროა აღინიშნოს, რომ ეს ნიადაგები ნაკლებადაა შესწავლილი.

ვ. ვოლობუჟევი (2) ყარაბახის ველის (აზერბაიჯანის) არიდული ნათელი ტყის (სალსალაჯის ტყის) ნიადაგებს გამოჰყოფს რუხი ნიადაგების ზონაში. მისი დასკვნით, სალსალაჯის კრონის ქვეშ განვითარებული ნიადაგი თავისი ნიშნებით უახლოვდება ნახევრადუღებნოს რუხ ნიადაგს და ამავე დროს მისგან განსხვავდება. განმასხვავებელ ნიშნებს შორის იგი აღნიშნავს: ა) ზედაპირზე კარდი-საფარის ფენის არსებობას, ბ) ზედაპირულ ფენაში ჰუმუსის მკვეთრ გადიდებასა და მის მეტ შემცველობას ქვედა ფენებშიც და გ) შედარებით მეტ „გათიხიანებას“. ვოლობუჟევის მიხედვით არიდული ნათელი ტყის ნიადაგები ზოგიერთი ნიშნებით მოკავაზონებს უფრო ჰუმიდური პირობების ტყის ყავისფერ ნიადაგებს, მაგრამ რიგი ნიშნებით მათგან საკმაოდ განსხვავდება.

გ. დ. ახვლედიანი და გ. ტალახაძე [1] გამოჰყოფენ კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის დედა სალსალაჯიანი არიდული ტყის ნიადაგების ორ ქვეტიპს—ლიასა და მუქს; მათი დასკვნით, უფრო ფართო გაფრცხვება აქვს არიდული ტყის ღია ფერის ნიადაგებს, რომლებიც უმეტესად ეროზირებულ დამრეც ფერდობებს ახასიათებენ.

ნათელი ტყეების ნიადაგური პირობების საერთო შესწავლასთან ერთად ჩვენ გვიინტერესებდა უშუალოდ ნათელი ტყის ფორმაციების გავლენა ნიადაგის ქიმიურ შედგენილობაზე და, კერძოდ, მის ორგანულ ნაწილსა და ფიზიკურ ქიმიურ თვისებებზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ჩავატარეთ ნათელი



ტყის ნიადაგების გამოკვლევა ვაშლოვანსა და ლეკისწყლის ხეობაში ორი პროფილის მიხედვით. გამოკვლევამ დაგვიჩვენა, რომ შესწავლილ რიტორიის ფარგლებში ნიადაგური საფარი საკმაოდ მრავალფეროვანია ნიადაგის საერთო განვითარების, სისქის, ხირბატინაობის, ეროზირებისა და სხვა მხრივ, მაგრამ ნიადაგის ტიპი ურთიერთშორის დიდად არ განსხვავდება და ყველა ნიშანი ტყესა და ველს შორის გარდამავალი ნიადაგითაა წარმოდგენილი. ამ გარდამავალი ტიპის ნიადაგს ჩვენ ტყის რუხ-ყავისფერ ნიადაგებს ვუწოდებთ. მორფოლოგიური ნიშნებით ეს ნიადაგები, ერთი მხრით, მშრალი ველის წაბლა ნიადაგებს უახლოვდება, მეორე მხრით კი—ტყის ყავისფერ ნიადაგებს; ზოგი მათგანი უდაბნო ველის მურა ნიადაგებსაც უახლოვდება და ზოგჯერ ბიკობიანობის ნიშნებით ხასიათდება. გ. დ. ახვლედიანისა და გ. ტალახაძის მიხედვით [1] ღვია-საღსაღაჯიანი არიდული ტყის ნიადაგები შეიქმნა და მურა ნიადაგებს შორის არის მოქცეული.

აღნიშნული ტიპის ფარგლებში ნიადაგების სხვადასხვაობას განსაზღვრავს დედაქანის სახე, ზედაპირული გადარეცხვის ხარისხი და ზედა ფენაში ორგანული ნივთიერების დაგროვება. უმეტეს ნაწილში აღნიშნული ნიადაგები ქვიშაქვების ან კონგლომერატების გამოფიტვის პროდუქტებზე, ან ლორღიან-ლიოსისებრ ნაფენებზე არიან განვითარებული. ზედა ფენაში ორგანული ნივთიერების დაგროვების მხრით დიდად განსხვავდება ადგილები უშუალოდ საღსაღაჯების ქვეშ და მათგან მოშორებით. ამას დავინახავთ შემდეგი ანალიზური მონაცემებიდან.

საილუსტრაციოდ მოგვყავს ნათელი ტყის რუხი-ყავისფერი ნიადაგების ორი ჭრილის მორფოლოგიური აღწერა.

ჭრილი № 1. ლეკისწყალი, დასავლეთი ფერდობის შლეფი 4⁰-მდე. ჭრილი გაკეთებულია საღსაღაჯის დიდ ხეებს შორის. ხეები ერთიმეორედან დაშორებულია 20-25 მეტრით. ხეების სიმაღლე 12 მეტრამდეა, დიამეტრი 80—115 სმ; ხეების ქერქი დიფარულია ხეისით.

ჭრილის ირგვლივ იზრდება ურო ბალახი, აბზინდი, მარილის ამტანი და ეკლიანი ბალახები (*Carduus* sp.) და სხვ.

შარშანდელი მაღალი და კარგად განვითარებული ბალახების ღეროები ნივთიერებები 1952 წლის უფრო ნესტიან პირობებზე, ვიდრე ეს 1953 წ. იყო. ნიადაგში ბევრია თავის სიღრმეში. ხოლო ნიადაგის ზედაპირზე კურდღლების ექსკრემენტები.

პორ. A₁ (0—4 სმ)—მუქი მურა, ფხვნილისებრი, ფხვიერი, ფესვებიანი, კენჭებიანი, თიხნარი, ნესტიანი; შიშინობს;

„ A₂ (4—26 სმ)—უფრო ღია (მურა), კაკლოვან-გორბოვანი, გამკვრივებული, დაბზარული, ფესვებიანი, თიხნარი, ოდნავ დანესტიანებული; შიშინობს;

„ B (26—52 სმ)—რუხი-მურა გორბოვანი, მკვრივი, უფრო ნაკლებად დაბზარული, თიხნარი, მშრალი; შიშინობს;

„ C/D (52—99 სმ)—მურა, უსტრუქტურო, უფრო ნაკლებად მშრალი; შიშინობს;



" D (99—120 სმ)—რუხი, უსტრუქტურო, გამკვრივებული, კენჭებიანი, იშვიათად სუსტად გამოხატული კირის თეთრი თვლებით თიხნარი, მწვანე; შიშინობს.

ნიადაგი: ტყის რუხი-ყავისფერი თიხნარი პროლუვიურ ნაფენებზე. № 7 კრილი გაკეთებულია ვაშლოვანის დეპრესიის ფსკერზე 5 მეტრის დაშორებით ორი კევის ხისაგან, წვიმის შემდეგ. ნიადაგის ზედაპირზე ბევრია კურდღლის ექსკრემენტები და საკმაოდ ბევრია თავის სოროები.

კრილის მახლობლად, გარდა კევის ხისა, იზრდება შავჯაგა (*Rhamnus pallasii*, ძეძვი, ეკალცოციხი (*Centaurea solstitialis*), სამწვანე (*Artemisia scoparia*) და სხვა ბალახები.

პორ. A (0—9სმ)—მუქი-მურა-ფერის, ფხვნილისებრი, სუსტად გამკვრივებული, ფესვებიანი, თიხნარი, ნესტიანი; შიშინობს სუსტად;

" B (9—26 სმ)—მურა, გოროხოვანი, ფესვებიანი, კენჭებიანი, თიხნარი, დანესტიანებული; შიშინობს საშუალოდ;

" C/D (26—75 სმ)—მოჩალისფერო, უსტრუქტურო, მკვრივი, ხირხატიანი, მსუბუქი თიხნარი, ოდნავ დანესტიანებული; შიშინობს ძლიერ.

75 სმ დაბლა გათხრა ძნელია კენჭების გამო.

ნიადაგი: ტყის რუხი-ყავისფერი თიხნარი, ხირხატიანი, პროლუვიურ რიყიან ნაფენზე.


ამ კრილის ახლოს, და, საერთოდ, ვაშლოვანის ფსკერზე არსებული თავის სოროებთან, პატარა-პატარა გროვების სახით, არის სოროდან ამოქრული კენჭები, რაც აქაური ნიადაგის ხირხატიანობაზე მიგვითითებს.

№ 1 კრილის აღწერილობა გვიჩვენებს ამ ნიადაგის შედარებით მეტ თიხანობას და ბიკომბიანობის სუსტ ნიშნებს.

ხეებს ქვეშ აღებულ ნიადაგებს თვალათა ემჩნევა ზედაპირულ ფენაში ორგანული ნივთიერების ბევრად მეტი დაგროვება და მისი უპრო ფხეერი აგებულება.

ქვემოთ მოგვყავს (იხ. ცხრილი №№ 1, 2, 3) შესწავლილი ნიადაგების რვა კრილის ქიმიური და მექანიკური შედგენილობის, შთანთქმული ფუძეებისა და სხვა მონაცემები. ანალიზები შესრულებულია უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიაში ე. ჩალათაშვილისა და მ. შვეარდნაძის მიერ. №№ 1, 2, 3, 4 და 5 კრილები ლევისწყლის ხეობაშია გაკეთებული; №№ 6, 7 და 8—ვაშლოვანში, №№ 2, 3 და 5 კრილები გაკეთებულია საღსაღაჯების უშუალოდ კრონის ქვეშ, ხოლო №№ 6, 7 და 8—ხეების მახლობლად, №№ 1 და 4 კი—ხეებს შორის, მოშორებით.

№ 1 ცხრილში მოყვანილი მონაცემები ადასტურებენ საკმაოდ დიდ განსხვავებას შესწავლილ ნიადაგებს შორის ჰუმუსისა და აზოტის შემცველობის მხრით და ამ მაჩვენებლებით საგრძნობ განსხვავებას აღნიშნულ ნიადაგებსა და უდაბნო-ველის წაბლასა და მურა ნიადაგებს შორის, როგორც ვხედავთ, მოყვანილი მონაცემებიდან მკვეთრად გამოირჩევა № 3 და № 5 კრილის მონაცემები, რომლებიც უშუალოდ საღსაღაჯის კრონის ქვეშ არიან გაკეთებული და, ამის გამო, ჰუმუსის დიდი შემცველობით ხასიათდებიან—



7, 78% და 10,25%¹ იეს, უდავოდ, მოწმობს ნიადაგზე ნათელი ტყისა და, კერძოდ, სალსალაჯის საკმაოდ დიდ გავლენას, მასში ორგანული ნივთიერების დაგროვების თვალსაზრისით.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ მდგომარეობას ხელს უწყობდეს კურდღლების ექსკრემენტებიც, რომლებიც ლეკისწყლის ხეობასა და ვაშლოვანში ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება. მაგრამ ყურადღებას იპყრობს, რომ ნათელი ტყის გავლენა ჰუმუსის დაგროვებაზე ნიადაგის მხოლოდ ზედაპირულ ფენას (0-3 სმ) შეეხება; როგორც ვხედავთ, № 3 ჭრილის მონაცემიდან, 5 სმ ქვემოთ ჰუმუსის რაოდენობა ნიადაგში მკვეთრად ეცემა გამოწკლის წარმოადგენს № 2 ჭრილი, რომელიც აგრეთვე კრონის ქვეშ არის გაკეთებული. მაგრამ მასში ჰუმუსის რაოდენობა საშუალოს არ აღემატება (3,89%); ეს იმით ახსნება, რომ ნიადაგი სუსტად გადაარეცხილია. ჩვენ მოსაზრებას სალსალაჯის ზეგავლენით ნიადაგში ჰუმუსის დიდი რაოდენობით დაგროვების შესახებ ადასტურებს ე. ვოლობუევის ზემონიყვანილი დასკვნა ყარაბახის ველის არიდული ნათელი ტყის ნიადაგებისათვის [2]. მის მონაცემებშიც ჰუმუსის რაოდენობა ზედა ფენაში 11,6%¹ მდე აღწევს.

დანარჩენ ჭრილებში ჰუმუსის რაოდენობა საშუალოა და ზედა ფენაში 4%¹-ს უახლოვდება; დამახასიათებელია, რომ ჰუმუსი საკმაოდ ბევრი მოიპოვება ღრმა ფენებშიც (ზოგჯერ 60-80 სმ), სადაც იგი 1,5%¹-ს და მეტსაც აღწევს. ჰუმუსით ღარიბია № 4 ჭრილის ნიადაგი, რომელიც სალსალაჯის ხეებიდან დაშორებით არის გაკეთებული და თავის მაჩვენებლებით მურა ტიპის ნიადაგს უახლოვდება; ჰუმუსით შედარებით მდიდარია № 1 ნიადაგის ზედა ფენა.

ნიადაგზე ნათელი ტყის აშკარა გავლენას ადასტურებს აზოტის შემცველობა და C:N შეფარდების მონაცემებიც. როგორც ვხედავთ, აზოტის შემცველობა არ შეესაბამება ჰუმუსის რაოდენობას და საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს—ზედა ფენაში 0,117-დან 0,350 მდე. ამასთან დაკავშირებით მერყეობს C:N შეფარდების მონაცემებიც. როგორც ვხედავთ, ეს შეფარდება ყველაზე ფართოა სალსალაჯის კრონის ქვეშ ან მასთან ახლოს აღებულ ნიადაგებში (№№ 3, 5, 6, 7), სადაც იგი 15—17 აღწევს. ეს მიგვიბრუნებს ამ ნიადაგებში ჰუმუსის შედგენილობის თავისებურებაზე და ამ ნიადაგების „ტყის“ ხასიათზე¹. დანარჩენ ნიადაგებში C:N შეფარდება ველის ტიპის ნიადაგების მსგავსია. ჰიდროლიზური აზოტის შემცველობა ზედა ფენაში ცოტად თუ ბევრად საერთო აზოტის შემცველობას შეესაბამება. მაგრამ დიდი რაოდენობით ახასიათებს მეორე ფენასაც.

ამავე ცხრილში მოყვანილი CaCO_3 მონაცემები ადასტურებენ ყველა შესწავლილი ნიადაგის დიდ კარბონატულობას. ზოგ ნიადაგში კარბონატულობა საკმაოდ თანაბარია ზედა და ქვედა ფენებში (№№ 1,4), ზოგში კი მერყეობს ფენებს შორის ანდა განაწილებას გვიჩვენებს ქვედა ფენებში

¹ ეს საკითხი დახუცებული იქნება ამ ნიადაგების ორგანული ნივთიერების შედგენილობის ანალიზებით, რომლებიც ჯერ დამთავრებული არ არის.

ცხრილი № 1

მუშუისა, აზოტისა და CaCO_3 შემცველობის მონაცემებისაქართველო
საბუნებისმეტყველო

| ნიადაგი | სიღრმე სმ-ით | მუშუისა %-ით | აზოტი საერთო %-ით | C : N | აზოტი მიდრთ- ლიზური ზგ ით | CaCO_3 % |
|---|-----------------|-----------------|-------------------------|-------|------------------------------------|----------------------|
| № 1—ლეკისწყალი, ფერდობი; ნიადაგი ტყის რუხი ყავისფერი, თიხნარი, დიდი სისქის; ხეებს შორის | 0—4 | 5,33 | 0,350 | 8,8 | 79,0 | 10,41 |
| | 10—20 | 1,73 | 0,078 | — | 49,0 | 12,49 |
| | 35—45 | 1,34 | — | — | — | 17,22 |
| | 70—89 | — | — | — | — | 13,53 |
| | 100—110 | — | — | — | — | 16,77 |
| № 2—ლეკისწყალი, ფერდობი; ნიადაგი იგივე, ხირხატანი სუსტად გადარე- ცხილი; სალსალაჯის ხის ძირში | 0—8 | 3,89 | 0,192 | 11,7 | 48,0 | 5,11 |
| | 15—25 | 3,47 | 0,195 | 10,3 | — | 13,97 |
| | 40—50 | 1,36 | — | — | — | 30,29 |
| | 80—90 | — | — | — | — | 26,16 |
| № 3—ლეკისწყალი, ქალა; ნიადაგი— აღუფური ქვიხნარი, ხირხატანი; სალსალაჯის ხის ძირში | 0—3 | 7,78 | 0,282 | 16,0 | 107,5 | 5,75 |
| | 5—10 | 0,86 | — | — | — | 13,23 |
| | 20—30 | — | — | — | — | 12,05 |
| № 4—ლეკისწყალი, ფერდობი; ნიადა- გი—რუხი—ყავისფერი, თიხნარი, დი- დი სისქის; ხეებიდან დაშორებით | 0—10 | 1,23 | 0,117 | 6,0 | 46,1 | 12,69 |
| | 50—60 | 1,32 | 0,067 | — | 55,6 | 13,12 |
| | 120—30 | 0,87 | — | — | — | 15,16 |
| | 290—300 | — | — | — | — | 14,8 |
| № 5—ლეკისწყალი, ფერდობი; ნიადა- გი—იგივე, თიხნარი; სალსალაჯის ხის ძირში | 0—3 | 10,25 | 0,350 | 17,3 | 84,32 | 4,22 |
| | 5—12 | 3,82 | 0,160 | 13,8 | 71,31 | 13,49 |
| | 25—35 | 0,92 | — | — | — | 19,49 |
| | 90—100 | — | — | — | — | 18,76 |
| № 6—ვაშლოვანი, ფერდობი; ნიადაგი მუქი რუხი—ყავისფერი, თიხნარი; ხე- ების მახლობლად | 0—10 | 4,16 | 0,150 | 16,0 | 30,49 | — |
| | 20—30 | 0,84 | 0,100 | 4,1 | — | — |
| | 70—80 | — | — | — | — | 21,58 |
| № 7—ვაშლოვანი, ფსკერი; ნიადაგი— იგივე, ხირხატანი; ხეებს შორის | 0—9 | 3,97 | 0,146 | 15,7 | 63,79 | — |
| | 12—12 | 2,13 | 0,102 | 12,1 | — | 9,61 |
| | 65—75 | 0,82 | — | — | — | 24,06 |
| № 8—ვაშლოვანი, ფერდობი; ნიადა- გი—იგივე, ხირხატანი გადარეცხილი; ხეების ახლოს | 0—8 | 3,61 | 0,193 | 10,8 | — | 15,66 |
| | 15—25 | 3,02 | 0,194 | 9,0 | — | 10,24 |
| | 80—90 | 1,64 | — | — | — | 21,75 |

(№№ 2, 5, 7). განსაკუთრებით დიდი კარბონატულობით გამოირჩევა № 2 ქრილის ნიადაგი, რომელიც კონგლომერატების გამოფიტვის პროდუქტზეა განვითარებული; როგორც ვხედავთ, CaCO_3 რაოდენობა ამ ნიადაგის ქვედა ფენებში 30, 29 და 26, 16% აღწევს.

მე-2 ცხრილში მოყვანილია შთანქმეული კათიონების შედგენილობის მონაცემები. ეს მონაცემები ადასტურებენ რუხ ყავისფერი ნიადაგების საკმაოდ მაღალი შთანქმის ტევადობას, რაც ძირითადად მექანიკური შედგენილობით და, კერძოდ, ლამინარი ნაწილაკების (და კოლოიდების) მაღალი შემცველობით აისხნება. ამას ისიც ადასტურებს, რომ, უფრო მძიმე შედგენილობის შესაბა-

შთანთქმული კატიონები და PH

| ბიოლის № | სიღრმე სმ-ით | % ¹⁰⁰ / ₁₀ -ით | | | მგ/ლ-მდე | | | ჯამი | PH წყლით გამონაწ. |
|----------|--------------|--------------------------------------|--------|-------|----------|------|------|-------|-------------------------|
| | | Ca | Mg | Na | Ca | Mg | Na | | |
| 1 | 0—4 | 0,975 | 0,070 | 0,031 | 48,79 | 5,78 | 1,12 | 55,69 | 7,4 |
| | 10—20 | 0,994 | 0,072 | 0,025 | 49,68 | 6,02 | 1,09 | 56,79 | 7,4 |
| | 35—45 | 0,825 | 0,053 | 0,020 | 41,24 | 4,38 | 0,88 | 46,50 | 7,4 |
| | 70—80 | 0,619 | 0,063 | 0,051 | 30,97 | 5,15 | 2,13 | 38,25 | 7,4 |
| | 100—110 | — | — | — | — | — | — | — | 7,6 |
| 2 | 0—8 | 0,857 | 0,040 | — | 40,9 | 4,19 | — | 44,28 | 7,4 |
| | 15—25 | 0,812 | 0,044 | — | 40,61 | 3,69 | — | 44,30 | 7,2 |
| | 40—50 | 0,659 | 0,045 | — | 32,98 | 3,85 | — | 36,83 | 7,4 |
| | 80—90 | — | — | — | — | — | — | — | 7,4 |
| 4 | 0—10 | 0,773 | 0,067 | 0,015 | 37,58 | 5,52 | 0,64 | 43,74 | 7,4 |
| | 50—60 | 0,742 | 0,084 | 0,020 | 37,11 | 6,94 | 0,87 | 44,92 | 7,4 |
| | 120—130 | 0,617 | 0,8386 | 0,040 | 30,83 | 6,91 | 1,78 | 39,52 | 7,4 |
| 5 | 0—3 | 0,831 | 0,073 | — | 41,54 | 6,08 | — | 47,62 | 8,0 |
| | 5—12 | 0,696 | 0,074 | — | 34,81 | 6,19 | — | 41,00 | 7,4 |
| | 25—35 | 0,565 | 0,065 | — | 27,22 | 5,37 | — | 32,59 | 7,6 |
| | 90—100 | — | — | — | — | — | — | — | 7,2 |
| 6 | 0—10 | 0,565 | 0,055 | 0,020 | 28,24 | 4,51 | 0,85 | 33,30 | 7,4 |
| | 20—30 | 0,566 | 0,029 | 0,029 | 28,31 | 2,35 | 1,07 | 31,73 | 7,2 |
| | 70—80 | 0,444 | 0,026 | — | 23,71 | 2,14 | — | 25,85 | 7,2 |
| 7 | 0—9 | 0,616 | 0,062 | — | 30,72 | 5,14 | — | 35,86 | 7,4 |
| | 12—22 | 0,591 | 0,032 | — | 29,54 | 2,69 | — | 32,23 | 7,4 |
| | 65—75 | — | — | — | — | — | — | — | 7,4 |
| 8 | 0—8 | 0,557 | 0,052 | — | 28,87 | 4,28 | — | 32,15 | 7,4 |
| | 15—25 | 0,587 | 0,069 | — | 29,38 | 5,71 | — | 35,09 | 7,4 |
| | 80—90 | — | — | — | — | — | — | — | 7,4 |

მისად, შედარებით უფრო მაღალი შთანთქმის ტევადობა ლევისწყლის ნათელი ტყის ნიადაგებს ახასიათებს და შესამჩნევად ნაკლები—ვალოვანისას. შთანთქმულ ფუძეთა შორის 80—90-სა და მეტ პროცენტს Ca შეადგენს, რაც ველის ტიპისა და აგრეთვე ტყის ყავისფერი ნიადაგებისათვის დამახასიათებელია. შთანთქმული Na შემცველობა ძალიან მცირეა. ეს გვიჩვენებს ამ ნიადაგებში ბიკობიანობის არ არსებობას; შთანთქმული Na შედარებით მეტია № 1 და № 4 ნიადაგების ღრმა ფენებში.

არილული ტყის ნიადაგების შთანთქმული ფუძეების მსგავსი მონაცემები მოჰყავთ გ. დ. ახვლედიანსა და გ. ტალახაძეს [1].

| კრი- ლის № | სიღრმე სმ-ით | 1— 0,25 | 0,25— 0,05 | 0,05— 0,01 | 0,01— 0,005 | 0,005— 0,001 | <0,001 | <0,01 |
|---------------|-----------------|------------|---------------|---------------|----------------|-----------------|--------|-------|
| 1 | 0—4 | 0,512 | 8,70 | 21,55 | 9,73 | 34,60 | 24,61 | 69,24 |
| | 10—20 | 0,724 | 1,60 | 18,76 | 6,41 | 26,38 | 47,13 | 78,92 |
| | 35—45 | 1,832 | 8,22 | 26,33 | 10,30 | 18,96 | 34,36 | 63,62 |
| | 100—110 | 5,424 | 24,32 | 26,15 | 7,73 | 15,99 | 21,28 | 45,00 |
| 2 | 0—8 | 17,052 | 25,35 | 21,65 | 5,99 | 13,46 | 16,50 | 35,95 |
| | 15—25 | 10,378 | 22,14 | 20,49 | 5,69 | 15,66 | 25,64 | 46,99 |
| | 40—50 | 8,778 | 20,91 | 16,87 | 11,17 | 23,51 | 18,76 | 53,44 |
| | 80—90 | 9,230 | 20,57 | 20,10 | 10,43 | 18,61 | 21,06 | 50,10 |
| 3 | 0—3 | 6,718 | 44,07 | 21,83 | 4,26 | 7,56 | 15,66 | 27,38 |
| | 5—10 | 9,132 | 60,96 | 12,71 | 3,55 | 6,04 | 7,61 | 17,20 |
| | 20—30 | 27,712 | 55,30 | 4,53 | 3,30 | 4,22 | 4,94 | 12,46 |
| 4 | 0—10 | 1,204 | 11,82 | 26,34 | 10,43 | 18,71 | 31,50 | 60,64 |
| | 50—60 | 1,278 | 12,17 | 24,81 | 8,91 | 18,90 | 33,93 | 61,74 |
| | 120—130 | 0,784 | 14,38 | 18,83 | 15,76 | 17,14 | 33,11 | 66,01 |
| | 290—300 | 0,938 | 20,69 | 32,73 | 12,27 | 15,99 | 17,38 | 45,64 |
| 5 | 0—3 | 1,424 | 18,54 | 29,41 | 8,94 | 15,30 | 26,39 | 50,63 |
| | 5—12 | 1,382 | 13,62 | 24,72 | 8,30 | 20,13 | 31,85 | 60,28 |
| | 25—35 | 1,624 | 20,97 | 28,89 | 4,85 | 18,04 | 25,63 | 48,52 |
| | 90—100 | 0,910 | 14,75 | 21,05 | 13,83 | 17,34 | 32,12 | 63,29 |
| 6 | 0—10 | 1,976 | 31,46 | 29,94 | 8,76 | 10,54 | 17,32 | 36,62 |
| | 20—30 | 3,268 | 6,79 | 25,35 | 3,28 | 9,62 | 31,69 | 44,59 |
| | 70—80 | 3,468 | 22,67 | 21,43 | 8,30 | 17,97 | 26,16 | 52,43 |
| 7 | 0—9 | 5,958 | 27,70 | 25,14 | 7,01 | 11,84 | 22,31 | 41,16 |
| | 12—22 | 5,254 | 21,63 | 30,65 | 6,06 | 10,99 | 25,42 | 42,47 |
| | 65—75 | 9,104 | 45,52 | 21,51 | 1,33 | 9,53 | 13,01 | 23,87 |
| 8 | 0—8 | 13,762 | 42,01 | 17,32 | 5,26 | 7,63 | 14,02 | 26,91 |
| | 15—25 | 13,760 | 33,71 | 23,50 | 4,58 | 9,98 | 17,47 | 32,03 |
| | 80—90 | 10,550 | 31,32 | 23,31 | 5,80 | 13,06 | 15,96 | 34,82 |

მეორე ცხრილში მოყვანილი PH მონაცემები მოწმობენ ყველა შემთხვევაში სუსტსა და საშუალო ტუტე რეაქციას.

მოგვეყვას რუბი-ყავისფერი ნიადაგების მექანიკური შედგენილობის ანალიზური მონაცემებიც (ცხრ. № 3).

წარმოდგენილი მონაცემები მოწმობენ უმეტეს შემთხვევაში რუბ-ყავისფერი ნიადაგების მექანიკური შედგენილობის მხრით საკმაოდ დიდ სხვადასხვაობას ცალკე ფენების მიხედვით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უფრო მძიმე მექანიკური შედგენილობა ახასიათებს ლევისწყლის რუბ-ყავისფერ ნიადაგებს, რომლებიც დიდ ნაწილში მძიმე თიხნარებს წარმოადგენენ (№№ 2, 4, 5). შედარებით მძიმე თიხნარია № 1 კრილის ნიადაგის ზედა ფენები, განსაკუთრებით კი — მეორე ფენა, რასაც ადასტურებს მასში ლამინი ნაწილა-



კების ($<0,001$ მმ) განსაკუთრებით დიდი შემცველობა (47⁰/₀); შეიქმნა ფიქროთ, რომ ეს ამ ნიადაგის ბიოობიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, თუმცა ეს ანალიზებით არ დადასტურდა; მორფოლოგიურად კი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბიოობიანობა მაინც შესამჩნევია. ლევისწყლის ნიადაგებიდან მსუბუქი (ქვიშნარი) შედგენილობით გამოირჩევა № 3 ქრილის ალუვიური ნიადაგი. ვაშლოვანის ნიადაგებს ძირითადად საშუალო და მსუბუქი თიხნარი შედგენილობა ახასიათებს.

მექანიკურ შედგენილობასთან ერთად მოგვყავს აგრეგატული ანალიზის მონაცემებიც, რომლებიც გვიდასტურებენ რუხი-ყავისფერი ნიადაგების ზედა ფენების საკმაოდ დიდ გამტვერებას. ამ მხრით განსაკუთრებით გამოირჩევა

ცხრილი № 4
აგრეგატული ანალიზი

| ქრილის №№ | სიღრმე სმ-ით | >3 მმ. | 3—1 მმ. | 1—0,25 მმ. | $<0,25$ მმ. |
|-----------|--------------|----------|---------|------------|-------------|
| 1 | 0—4 | 25,22 | 30,91 | 3,26 | 40,61 |
| | 10—20 | 64,25 | 20,73 | 2,95 | 12,07 |
| 3 | 0—3 | 18,33 | 23,82 | 3,30 | 54,55 |
| 4 | 0—10 | 40,02 | 33,82 | 2,70 | 23,46 |
| | 50—60 | 53,44 | 29,37 | 2,10 | 15,09 |
| 5 | 0—3 | 17,39 | 16,26 | 6,40 | 59,95 |
| | 5—12 | 62,01 | 16,56 | 1,87 | 19,56 |
| | 25—35 | 52,59 | 23,22 | 3,73 | 20,46 |
| 7 | 0—9 | 42,69 | 10,51 | 4,73 | 42,07 |
| | 12—22 | 66,84 | 13,89 | 3,22 | 16,05 |

№№ 3 და 5 ქრილების ნიადაგები, რომლებიც საღსალაჯის კრონის ქვეშ არიან აღებული და, მაშასადამე, მოკლებული არიან ბალახების ზეგავლენას. დანარჩენ ქრილებში (№№ 1, 7 და განსაკუთრებით № 4) ბალახეული საფარის ზეგავლენით ჩვენ ვხედავთ გამტვერების ბევრად ნაკლებ ოდენობას, რასაც გვიჩვენებს $<0,25$ მმ ნაწილაკების შედარებით მკირე რაოდენობა (ცხრ. № 4).

№ 5 ცხრილში მოყვანილი წყლით გამონაწურის მონაცემები გვიჩვენებენ განხილული ნიადაგების დაუმლაშებობას; მკვრივი ნაშთი მერყეობს ძირითადად 0,07—0,10 % ი-ფარგლებში. სუსტ დამლაშებას ვხედავთ მხოლოდ მე 4 ქრილის ღრმა ფენაში (120—130 სმ), სადაც მკვრივი ნაშთი 0,396%-ს აღწევს; დამლაშება ქლორის მარილების აიხსნება. № 1 ქრილის ზედასა და შუა ფენებში (35—45 და 70—80 სმ) გვიჩვენებენ შედარებით გადიდებულ ტუტიანობას (HCO_3^- —0,05—0,06⁰/₀), რაც ადასტურებს ამ ნიადაგის ადრე აღნიშნულ სუსტ ბიოობიანობას.

ცხრილი № 5

წელით გამოანაწილდის ანალიზები

| № პრილის | სიღრმე სმ-ით | % გ-ით | | | | | | | მთლ-მკვებ. | | | | | | | |
|----------|-----------------|---------------|-----------------|------------------|--------|-----------------|-------|--------|------------|-----------------|------------------|-------|-----------------|-------|-------|-------|
| | | მგბრ. წაწი | CO ₂ | HCO ₃ | Cl | SO ₄ | Ca | Mg | Na | CO ₂ | HCO ₃ | Cl | SO ₄ | Ca | Mg | Na |
| 1 | 0-4 | 0,216 | — | 0,068 | 0,0105 | 0,004 | 0,021 | 0,003 | 0,001 | — | 1,01 | 0,266 | 0,085 | 1,04 | 0,25 | 0,071 |
| | 10-20 | 0,686 | — | 0,040 | 0,004 | 0,006 | 0,02 | 0,003 | 0,001 | 0,66 | 0,12 | 0,085 | 0,65 | 0,21 | 0,005 | |
| | 35-45 | 0,086 | — | 0,05 | 0,004 | 0,002 | 0,013 | 0,002 | 0,004 | 0,82 | 0,098 | 0,115 | 0,655 | 0,19 | 0,194 | |
| | 70-80 | 0,126 | 0,103 | 0,06 | 0,003 | 0,003 | 0,009 | 0,007 | 0,006 | 0,98 | 0,079 | 0,052 | 0,415 | 0,366 | 0,293 | |
| 4 | 0-10 | 0,072 | — | 0,032 | 0,004 | 0,007 | 0,009 | 0,0034 | 0,001 | 0,52 | 0,098 | 0,151 | 0,465 | 0,28 | 0,024 | |
| | 50-60 | 0,099 | — | 0,038 | 0,004 | 0,012 | 0,014 | 0,003 | 0,002 | 0,62 | 0,12 | 0,239 | 0,7 | 0,25 | 0,029 | |
| | 120-130 | 0,396 | — | 0,032 | 0,172 | 0,012 | 0,027 | 0,003 | 0,085 | 0,52 | 4,85 | 0,256 | 1,35 | 0,566 | 3,71 | |
| | | | | | | | | | | 0,13 | | | | | | |



საკმაოდ დიდ ნაწილში ნათელი ტყეების ნიადაგებს ახასიათებს კულტურული და მლაშეობა ადგილად ხსნადი მარილებითა და თაბაშირით; ამას განსაზღვრავს გ. დ. ახვლედიანი და გ. ტალახაძე [1] და აგრეთვე ვ. ვოლობუევი [2].

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ შესწავლილი ნათელი ტყეებით დაკავებული ტერიტორია ნაწილობრივ ზამთრის საძოვრად არის გამოყენებული. ეს გამოწვეულია, ერთი მხრით, დასახლებული პუნქტებიდან სიშორით და, მეორე მხრით, ატმოსფერული ნალექების დიდი სიძვირით. ტარიზანას ველის მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგიერთი მარცვლულთა კულტურის მოყვანა აქ შესაძლებელია და ნალექებით მიდიარა წლებში შესაძლებელია მაღალი მოსავლის მიღებაც. გასაგებია, რომ სათანადო რელიეფის პირობებთან ერთად ეს მით უმეტეს შესაძლებელი იქნება მორწყვის პირობებში.

როგორც ჩანს, ნათელი ტყეების მასივები ბუნებრივი პირობების ზეგავლენითა და ადამიანის ზემოქმედებითაც განადგურების გზაზე იმყოფებიან. საჭიროა სპეციალური ზომების მიღება მათ ვადასარჩენად. ლეკისწყლის ხეობაში, ბუღას მოედანსა და ზოგიერთ სხვა ადგილას მოიპოვება ძველი სასაფლაოები, რაც მოწმობს ამ ადგილებში წინათ მოსახლეობის არსებობას, რომელმაც, ალბათ, ხელი შეუწყო ნათელი ტყეების განადგურებას და ამის შედეგად ძლიერი ეროზიული პროცესების განვითარებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფერდობებზე არსებულ ლიანისა და სალსალა-ღვიან ტყეებს, რომელთაც ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვთ; თესლის ხელოვნური ჩათესვით საჭიროა ამ ტყეების სიხშირის გადიდება და ნიადაგის ზედაპირის დამაგრება.

ეროზიულ პროცესებს და დეფლაციას განსაკუთრებით ფართო გავრცელება აქვს დამრეც ფერდობებზე, გამეჩხერებულ მცენარეულ საფარქვეშ, რაც ძალიან ზღუდავს ნიადაგის საწარმოო ღირსებას.

ლიტერატურა

1. გ. დ. ახვლედიანი და გ. ტალახაძე, გარე-კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ნიადაგები: საქ. მეცნ. აკადემიის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. V, 1953.
2. В. Р. Волобуев, О почвах аридного редколесья Карабахской степи: Труды Института агрохимии и почвоведения, АН Азербайджанской ССР, т. V, 1951 г.
3. А. А. Гроссгейм, Растительный покров Кавказа, М., 1948.
4. В. З. Гудиншвили, Лесостепь и степи Восточного Закавказья и влагоотношение между древесной и травянистой растительностью: Изв. Всесоюзного геогр. общества, т. 80, вып. 2, 1948.
5. Б. კეცბათაძე, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935.
6. М. Н. Сабашвили, Почвы Грузии, Изд. АН ГССР, 1948.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიადაგმცოდნეობის კათედრა

М. Н. Сабашвили и И. Г. Бараташвили

Почвы светлых лесов Кахети

Резюме

В юго-восточной части Кахети, на склонах, спадающих к Эльдарской степи, значительное место занимают светлые леса, известные под названием «аридного редколесья». В составе этого леса преобладающее место занимают фисташка (*Pistacia mutica*), можжевельники (*Juniperus exuseanus*, *J. foetidissima*), карагач (*Celtis caucasica*) и некоторые другие породы. Между деревьями большое распространение имеют степные травянистые растения, в частности, бородач (*Aridorhizon fischeri*) и полыни.

Задачей нашей работы было исследование почвенного покрова области распространения светлых лесов и, в частности, выявление влияния светлых лесов на химический состав, органическую часть и физико-химические свойства почв.

В результате исследования установлено, что почвы светлых лесов довольно разнообразны по степени развитости, мощности, скелетности, гумусности и др. признакам, но в основном характеризуются переходными чертами лесных (коричневых лесных) и пустынно-степных почв. Несомненно, что светлые леса в прошлом имели большее распространение и в настоящем значительно развит процесс ксерофитизация почв; по ряду признаков эти почвы близки к каштановым и бурым почвам, с другой же стороны — к коричневым лесным почвам.

Весьма различается степень гумусности рассматриваемых почв, подтверждающая заметное влияние светлых лесов, в частности, фисташки на накопление в почве органического вещества. Под кроной деревьев содержание гумуса в почве достигает 8—10%, под травяным же покровом не превышает 3—4%. Подтверждающим указанное влияние является также соотношение C:N, показывающее большие величины (15—17) под кроной деревьев и, следовательно, более «лесной» характер этих почв; в остальных же почвах эта величина близка к давним для степных почв (9—11).

Характерными являются также показатели агрегатности исследованных почв. Высокие показатели агрегатности характеризуют, естественно, почвы с травяным покровом, под кроной же деревьев заметно больше их распыленность. По остальным признакам, как-то состав поглощенных оснований, реакция почвы и др., эта разница не замечается.

В настоящем состоянии площади распространения светлых лесов используются частично лишь как зимние пастбища для овец. В связи с весьма большой засушливостью климата этой местности и удаленностью от населенных пунктов посевы здесь отсутствуют.

საქართველოს
მეცნიერებათა
აქადემიის
გამომცემლობა

Весьма распространенным является здесь эрозия почв, сильно снижающая их плодородие. В связи с этим основного внимания требуют проведение защитных мероприятий для сохранения светлых лесов и борьба с эрозией почв. В условиях орошения значительная часть этих массивов, не занятая лесом, могла бы быть использована под зерновые, огородные, плодовые, виноградники и другие культуры.

თ. კიკილაძე

ღვარცოფების გამოწვევი მთავარი ფაქტორები მდ. ლკაჯის აუზში

ღვარცოფული მოვლენები სხვადასხვა აუზებში, და ერთსა და იმავე აუზშიც კი, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად მიმდინარეობენ. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის გარემოება, რომ ღვარცოფის ცნება საბოლოოდ დღემდე ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

ზოგიერთი მკვლევარი ღვარცოფების კლასიფიკაციას აწარმოებდა მათ მიერ აუზის 1 კმ² ფართობიდან გამოტანილი მასალის რაოდენობის მიხედვით (ინჟ. ნებოროჟნი), ზოგი აუზის გეომორფოლოგიური ნიშნების მიხედვით (სიურელი), ზოგი მიდროგრაფიული ქსელის ხასიათის მიხედვით (კოსტა-დებასტოლიკა), რიგი მკვლევარებისა კი ღვარცოფებს აჯგუფებდა მათი განომწვევი ფაქტორების მიხედვით (ნებოროჟნი), ღვარცოფების მასაზრდოვებელი კერების ფართობის მიხედვით (ინჟ. გ. ვაგოშიძე), ღვარცოფების საზრდოობის წყაროების მიხედვით, მყარი მასალის გამოზიდვის ხასიათით, აუზის გეოლოგიური აგებულების მიხედვით, ამ მოვლენით მიყენებული ზარალის მიხედვითა და სხვ.

ამგვარად, ასეთი სხვადასხვა კრიტერიუმის მიღება ღვარცოფების შესწავლის საქმეში შეიძლება მიეწეროს იმ გარემოებას, რომ მათ შესწავლას, უმეტეს წილად, აწარმოებდნენ ისეთი მკვლევარები, რომელთაც სპეციალური გეოგრაფიული განათლება არ ჰქონდათ და ამ ბუნებრივ მოვლენას ერთი რომელიმე ნიშნის მიხედვით ხსნიდნენ.

ღვარცოფი პირველ რიგში ფიზიკურ-გეოგრაფიული მოვლენაა და ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებისა და პროცესების ერთობლივი მოქმედებით არის გამოწვეული. ამიტომ, ჩვენი აზრით, ღვარცოფი პირველ რიგში გეოგრაფის კვლევის ობიექტს წარმოადგენს, ვინაიდან აღნიშნულ ერთობლიობას, გეოგრაფიული ობიექტებისა და პროცესების ურთიერთმიზნობრივ კავშირს გეოგრაფი სწავლობს.

მართალია, როგორც უკვე ზემოთ იყო თქმული, ღვარცოფი წარმოიშობა გეოგრაფიული გარემოს მრავალი ფაქტორის ერთობლივი მოქმედების შედეგად, მაგრამ ამ ფაქტორებს შორის ერთი ან რამდენიმე არის მთავარი და წამყვანი, დანარჩენი ფაქტორი მხოლოდ ხელშემწყობია. ჩვენ მიერ მდ. ალაზნის აუზში ჩატარებული კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მივდივართ:



რომ ეს მთავარი, წამყვანი ყველა აუზში და ყოველთვის ერთი და იგივე ფაქტორი როდია. ამიტომ საჭიროა მკვლევარმა გამოარკვიოს ყველა ეს ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ღვარცოფის ფორმირებაში და მათი რთული ხლართიდან გამოაჰყოს მთავარი ფაქტორები.

კომპლექსური მეთოდი ღვარცოფული მოვლენების გამომწვევი მიზეზების ახსნისას მეცნიერებაში პირველად პროფესორმა ბ. ი. ყავრიშვილმა გამოიყენა. მან ამ მოვლენის ახსნისათვის თავის შრომაში „ღვარცოფები მდინარე ალაზნის აუზში“ გეოგრაფიული ლანდშაფტის ყველა კომპონენტი მიიშველია, მაგრამ მათგან მთავარი, წამყვანი ფაქტორები არ გამოუღვია.

როგორც უკვე ცნობილია, უკანასკნელ ხანებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან დაარსდა ღვარცოფების შესწავლელი კომისია, რომელმაც ჩაატარა სამი საკავშირო კონფერენცია. უკანასკნელ კონფერენციაზე, რომელიც 1952 წ. ოქტომბერში თბილისში ჩატარდა, დამკვიდრდა საზეცნიერო ლიტერატურაში ღვარცოფების შემდგენიანი განსახლვრა: ღვარცოფები ეწოდება მთის ისეთ ღვარებს, რომლებიც ფორმდებიან ზოგიერთ აუზში უმთავრესად თავსხმა წვიმების დროს, გაჯერებული არიან მყარი მასალით, ავითარებენ მნიშვნელოვან სიჩქარეს, აქვთ დიდი გამანადგურებელი ძალა და წარმოშობენ განსახლვრულ, თავისებური ხასიათის ნალექებს. ღვარცოფები იყოფა ორ კატეგორიად: შეკრული ანუ სტრუქტურული ღვარცოფები და დენადი ანუ ტურბულენტური ღვარცოფები.

სტრუქტურული ღვარცოფების გამანადგურებელი ძალა გამოწვეულია ნაკადის სიმძლავრითა და იმ ქვების დარტყმითი ენერგიით, რომლებიც ნაკადში ატიენარებულ მდგომარეობაში იმყოფებიან; ქვები დიდი მოცულობისა არიან, ხასიათდებიან დიდი წონითა და ძლიერ დიდი გამანადგურებელი ძალა აქვთ. გაჩერების დროს ღვარცოფის მასა თითქოს დედდება, არ იშლება და რელიეფში წარმოშობს ტალღისებურ მადლობებს.

ტურბულენტური ეწოდება ისეთ ღვარცოფებს, რომელთა ტრანსპორტულ უნარს წყლის მასა განსახლვრავს. ისინი თავსდებიან კალაპოტის ცოცხალ კვეთში; ახასიათებთ ისეთი გამანადგურებელი ძალა, როგორც სტრუქტურულ ღვარცოფებს, მყარი მასალის დიდი ნაწილის აკუმულაციას აწარმოებენ გზაში და გამოზიდვის კონუსზე გამოტანილ მასალას დალექვის დროს ახარისხებენ.

ამ განმარტებაში საკმაოდ არის გაშუქებული პროცესის მიმდინარეობის ხასიათი, დამოუკიდებლად მისი გამომწვევი ფაქტორებისა, რაც, ჩვენი აზრით, აისხნება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ გარემოებით, რომ ღვარცოფის წარმოშობი ფაქტორები სხვადასხვა აუზში სხვადასხვაა.

ცნობილია, რომ დურუჯის აუზში ღვარცოფები განსაკუთრებული სიმძლავრით გამოირჩევიან და დიდ ზიანს აყენებენ რაიონის სახალხო მეურნობას. ამიტომ არ იქნება თეორიულსა და პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული ამ აუზში ღვარცოფების გამომწვევ მთავარ ფაქტორებზე შეჩერება.

ღვარცხოფების წარმოშობის მთავარ ფაქტორებად საერთოდ მიჩნეულია შემდეგი მოვლენები: 1) აუზის ამგები ქანების ლითოლოგია, აუზის მორფოლოგია (აუზის ფორმა, ჰიდროგრაფიული ქსელის ხასიათი, აუზის ფერდობებისა და კალაპოტის დახრილობა, აუზის ფართობი, კალაპოტის სიგრძე, ხეობის კალთებისა და კალაპოტის ფსკერის მქისეობა და სხვ.), 3) თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესები (ფიზიკური და ქიმიური გამოფიტვა, ეროზია, დენუდაცია, მეწყერები და სხვ.), 4) კლიმატი (მეტეოროლოგიური პროცესების მსვლელობის ხასიათი, ჰაერის ტემპერატურის დღეღამური რყევა, ნალექების რაოდენობა და ინტენსივობა, გვალვიანი პერიოდის ხანგრძლივობა და სხვ.), 5) მცენარეული საფარი.

განვიხილოთ თითოეული ფაქტორის როლი, რომელიც ხელს უწყობს ღვარცხოფების წარმოშობას მდ. დურუჯის აუზში.

აუზის ლითოლოგია

დურუჯის აუზი, ზემო წელში, აგებულია ლიასური თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. ქვემოთ კი ეს ქანები ჯერ იცვლებიან ზედა ან შუა იურული ასაკის თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით, რომელთაც მორიგეობით წოლა ახასიათებთ, ხოლო შემდეგ — ზედაიურული და ქვედა ცარცული ასაკის ნალექებით. აუზის ქვემო წელი მეთხეული და თანამედროვე ნალექებით არის აგებული.

მდინარის ზემო წელში ქანები ინტენსიურად არიან დანაოქებული და სანხრეთისაკენ გადმარწოლილი; ალაგ-ალაგ კი თითქმის აყირაგებული წოლით ხასიათდებიან. ქანების დაქანების კუთხე 75° — 80° -მდე აღწევს; თიხაფიქლები, რომელნიც უმეტეს წილად კარბონატული ხასიათისა არიან, თხელფურცლოვანი დაფიქალეობითა და ინტენსიური განწვევებით გამოირჩევიან.

თანამედროვე გეომორფიული პროცესები

აუზის ამგებელი ქანები ხელშემწყობი ლითოლოგიისა და კლიმატური პირობების განო ინტენსიურად განიცდიან გამოფიტვის პროცესებს, ანიტომ მდ. დურუჯის ხეობაში, განსაკუთრებით სათავეების რაიონში; ღვარცხოფის წარმოშობისათვის საჭირო მყარი მასალა დიდი რაოდენობით გროვდება. ხშირია აუზში აგრეთვე მეწყერებიც.

ნაპარლების გზით ქანებში წყალი დიდ სიღრმეზე იქონება და იწვევს შრეების დაცურებას. უკანასკნელი მოვლენით უნდა აეხსნათ გენეზისი იმ გრანდიოზული ნასშტაბის მეწყერებისა, რომელთაც შავი და თეთრი დურუჯის სათავეებში აქვთ ადგილი.

გამოფიტული და დაქუცმაცებული მყარი მასალის განუწყვეტელი ზრდა და მათი კოლოსალური რაოდენობით არსებობა მდინარის ზემო წელში, პირველ ყოვლისა, დაწვევებისა და ფიზიკური გამოფიტვის პროცესებს უნდა დაეუკავშიროთ. არ გამოვრიცხავთ, რა თქმა უნდა, ეროზიულ პროცესებსაც, რომელნიც აქ ადვილადშლადი ქანების პირობებში აგრეთვე ენერგულ-




ლად მიმდინარეობენ და იწვევენ ხეობების დრამატიზაციას. ამასთანავე ვაჭარები კვეთი ხეობის ძირში მდინარე დურუჯის წყალი ეროზიული მოქმედებით შედეგად ინტენსიურად რეცხს ფერდობების ძირს, აცლის საყრდენს სანზრეთისაკენ გადმოწოლილ ქანებს და იწვევს მათ ჩანონგრევასა და დაცურებას. შუაწელში აუზის ამგები ქვიშაქვები და ფიქლები გაცილებით უფრო მკვირივი და უფრო მდგრადი არიან გამოფიტვისა და ეროზიის პროცესებისადმი, რის გამო ხეობა აქ უფრო მეტად ვიწროვდება და არც მყარი მასალის დიდი რაოდენობით დაგროვებას აქვს ადგილი. მდინარის ზემო წელიც რომ აგრეთვე მდგრადი ქანებით ყოფილიყო აგებული, ღვარცოფისათვის საჭირო მყარი მასალის ინტენსიურ დაგროვებას არ ექნებოდა ადგილი და არც ასეთი ძლიერი ღვარცოფი წარმოიშობოდა.

ამრიგად, ადგილადშლადი ქანების არსებობამ, სხვა ფაქტორებთან შეხამებით, მდინარის ზემო წელში ხელი შეუწყო ეროზიას, ეროზიის გაძლიერებამ შემდეგში გამოიწვია სათავის ნაკადულების ეროზიის ადგილობრივი ბაზისის თანდათანობით დაწვევა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა რეგრესიული ეროზია და სათავის უკანდახვევა, რის შედეგადაც დაგროვდა სათავის რაიონში მყარი მასალა დიდი რაოდენობით.

აუზის ნორფოლოგია. დურუჯის აუზი ხასიათდება მკაფიოდ გამოხატული სამი ნაწილით. ზემო წელი ძაბრის მოყვანილობისაა. აქვს გაშლილი, ე. წ. მიმღები ნაწილი და ვიწრო ძირი-ანუ ყელი; აქ ერთდებიან სათავის ნაკადულ-წყაროები და წარმოიშობა დურუჯის სათავე. მდინარის შუა წელი ვიწროა; ის წარმოადგენს ე. წ. აუზის ტრანზიტულ ნაწილს. აკუმულაციური ნაწილი, ქვემო წელი, წარმოადგენს გამოზიდვის კონუსს, რომელიც ალაზნის ვაკისაკენ მარაოსებრ არის გაშლილი.

ძაბრის ფერდობები დასერილია ეროზიული დარების ხშირი ქსელით. დარები, რომელთა დახრილობა ძლიერ მნიშვნელოვანია, მშრალ პერიოდში აწარმოებენ ნაშალი მასალის გადატანას, ხოლო წვიმების დროს ზედაპირული ჩანონადენის ძირითად გზებს წარმოადგენენ. ნგრევის პროდუქტები, ძაბრის ფერდობების დიდი დახრილობის გამო, განუწყვეტლივ მოძრაობენ სიმძიმის ძალისა და წყლის მოქმედების შედეგად. მათი დიდი უმეტესი ნაწილი განიცდის აკუმულაციის ძაბრის ვიწრო ყელში—დურუჯის ძირითადი კალაპოტის სათავეში. გამოფიტვის პროდუქტების ნაწილი ადგილზე რჩება. დურუჯის სათავის ნაკადულები ჩვეულებრივ ნეტეოროლოგიურ პირობებში ამ ფერდობებზე დარჩენილ გაფხვიერებულ ქანებში იკვლევენ გზას. დღის სინათლეზე ისინი მხოლოდ ადგილ-ადგილ გამოდიან და ხეობის ძირში კვლავ ნაშალი მასალის ქვეშ იკარგებიან. ძაბრის ფერდობებზე გამოყოფილი მიწისქვეშა წყლები გამოფიტვის პროდუქტებს შლიან და კიდევ უფრო აქუცმაცებენ. ნგრევის პროდუქტების დაშლა-დაქუცმაცებას ხელს უწყობენ აგრეთვე თოვლის ზეაგებიც, რომლებიც ზამთრობით ეფარებიან ზემოდან ნაყარებს და, ნელი დნობის პირობებში, ეღენთენ მათ სინოტივით. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, როგორც ხეობის ძირში, ისევე ძაბრის ფერდობებზე, გამოფიტვის




პროდუქტები სველ მდგომარეობაში იმყოფებიან და ღვარცოფის მზა მასალას წარმოადგენენ.

ძაბრის ყელის საგრძნობი სივიწროვის გამო დაგროვილი მყარი მასალის სიმძლავრე რამდენივე მეტრს აღწევს. ყელი რომ ფართო ყოფილიყო, ფერ-ღობებიდან ჩამოტანილი პროდუქტების გატანას მდინარის ქვემო მიმართულებით სისტემატური ხასიათი ექნებოდა, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს ღურუჯის დასავლეთით მდებარე მდ. ჩელთის აუზში, და მყარი მასალის დიდი რაოდენობით დაგროვებას ადგილი არ ექნებოდა, ღვარცოფის გაფორმებისათვის აუცილებლად საჭირო მყარი მასალა არ გვექნებოდა და არც ღვარცოფები წარმოიშობოდნენ.

სათავეში ღურუჯის კალაპოტის დახრილობა საკმაოდ დიდია. ქვემოთ, განსაკუთრებით იმ რაიონში, სადაც ხეობაში მკვრივი ქვიშაქვები გამოდიან და ხეობა ძლიერ შევიწროვებულია, კალაპოტის დახრილობა კიდევ უფრო იზრდება. მიუხედავად კალაპოტის მნიშვნელოვანი დახრილობისა, ჩვეულებრივ მეტეოროლოგიურ პირობებში, როდესაც წყლის ხარჯი საგრძნობლად შემცირებულია, მდინარის კალაპოტში ხშირად წარმოიშობა ცალკეული, საკმაოდ მძლავრი გამოზიდვის კონუსები, რომლებიც აგრეთვე მომდევნო ღვარცოფის მასალას წარმოადგენენ მდინარის კალაპოტში.

ღურუჯის ღვარცოფის ცოცხალი ძალის ქვემო მიმართულებით თანდათანობით ზრდის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს სატრანზიტო ნაწილის კიდევ უფრო მეტი შევიწროვება სათავეს ქვემოთ, დაახლოებით 6-7 კმ-ზე; ვინაიდან ამ ვიწრო ნაწილში ადგილი აქვს ზევიდან წამოდებული ლოდებისა და სხვა მყარი მასალის დაგროვებას. კალაპოტში ჩნდება ხერგილი, რომელიც იწვევს ღვარის შეგუბებას. ჩამონადენის შემდგომ ზრდას თან სდევს ტალახის ნაკადის წნევის გაზრდა, ხერგილი ვეღარ უძლებს მოწოლილი მასის გაზრდილ წნევას, ირღვევა და ღვარცოფი კიდევ უფრო დიდი სისწრაფითა და დაძაბულობით ეშვება ქვემოთ. ასეთ შემთხვევებში ღვარცოფის მასის ძალა და სიჩქარე იმდენად დიდია, რომ მასზე აღარც ფსკერის მქისეობა და არც კალაპოტის კლაკნილობა არ მოქმედებს, და ღვარცოფი „სწორხაზოვანი“ მიმართულებით ეშვება ქვემოთ, სოფლისაკენ. მაგრამ ხეობის ვიწრო ნაწილის ჩახერგვას ყოველთვის არა აქვს ადგილი, ამიტომ ღურუჯის ღვარცოფი ყოველთვის ერთნაირად კატასტროფიული ხასიათისა არ არის.

ღურუჯის წყალშემკრები აუზი პატარაა, მისი ფართობი სულ 103 კმ² შეადგენს. ამავე დროს მის ზემო წელში შემდინარეების სიგრძე დაახლოებით ერთნაირია და წყალშემკრები აუზებიც თითქმის თანაბარი სიდიდისაა, ხეობათა კალთების დახრილობა ყველგან დაახლოებით ერთნაირია და ტალღის გარბენის დროც თითქმის თანაბარი აქვთ. ამიტომ წვიმები აქ მთელ აუზზე მოდებული იცის და თოვლის დნობაც ყველგან ერთდროულად მიმდინარეობს. ამ მიზეზებით უნდა აიხსნას წყალმოვარდნის სინქრონულობა მთავარ მდინარესა და მის შემდინარეებზე, რომლებიც, მცირე გამოჩაკლისის გარდა, ღვარცოფიული ხასიათისა არიან. ამავე დროს ერთდროულად წარმოებს წყალმოვარდნა მდინარის მთელ სიგრძეზე ალპურს, სუბალპურსა და ტყის



ზონაში (ნაწილობრივ ეს გარემოებაც წარმოადგენს დურუჯის ღვარცოფის დიდი სიძლიერისა და კატასტროფულობის მიზეზს.

ნიკაგაგისა და მხანარაულობის საუბარი

დურუჯის აუზში ღვარცოფების ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე მცენარეული საფარის განადგურება, განსაკუთრებით ტყეებისა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საკვლევ აუზში ღვარცოფისათვის საჭირო წყარი მასალის დიდი უმეტესი ნაწილი წარმოიშობა ალპურსა და სუბალპურ ზონებში, სადაც კორდი უსისტემო ძოვების გამო დარღვეულია, კორდის მათიანობის დარღვევა, ფერდოთა დიდ ციკაბოსთან ერთად, ხელს უწყობს ნიადაგის საფარის გაძლიერებულ დენუდაციასა და ეროზიას, აჩქარებს ძირითად ქანების დამლა-დანგრევსა და ღვარცოფის საზრდოობის კერების განუწყვეტელ ზრდას.

ჩვენ არა გვაქვს საბუთი გამოვრიცხოთ ღვარცოფების არსებობა ამ აუზში ადრეც, როდესაც მცენარეულობის საფარი ჯერ კიდევ არ იყო დაზღვეული და ტყის ზედა საზღვარი არ იყო დაწეული. რომ ღვარცოფებს დურუჯის აუზში ადრეც ჰქონდა იდგილი, ამაზე ბევრი ფაქტი ლაპარაკობს. ამიტომ მართო მცენარეულობის საფარის განადგურება არ უნდა იყოს მიზეზი დურუჯის ღვარცოფიანობისა. როგორც ცნობილია, ტყე თავისთავად აბრკოლებს ეროზიასა და დენუდაციას; საერთოდ ანელებს ღვარცოფის ცოცხალ ძალას, ახდენს მისი მყარი მასალის ნაწილობრივ აკუმულაციას, მაგრამ დურუჯის აუზში მისი გამაზომიერებელი როლი, სამწუხაროდ, არ ჩანს. შეიძლება ეს აეხსნათ იმ გარემოებით, რომ ტყის ზონაში ღვარცოფი უკვე გაფორმებული შედის და იმდენად დიდია მისი ცოცხალი ძალა და სიჩქარე, რომ ტყის გავლენა ინიღბება.

კლიმატური პირობები

დურუჯის ზემო წელი ხასიათდება შედარებით ნოტიო კლიმატითა და ცივი ზამთრით. ამიერკავკასიაში შემოჭრილი ჰაერის მასები იძულებული ხდებიან აჰყენენ კახეთის კავკასიონის ციკაბო კალთებს, რაც იწვევს საკმაოდ უხვ ნალექიანობას ამ კალთებზე. განსაკუთრებით უხვი ნალექები მოდის მაშინ, როდესაც აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ერთდროულად იჭრება ცივი ჰაერის მასა და კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში ხდება მათი ოროგრაფიული ოკლუზია. წლის თბილ პერიოდში კი განსაკუთრებით უხვსა და ხანგრძლივ ნალექებს იძლევა ა/კ. სამხრეთ პოლარულ ფრონტზე წარმოშობილი ტალღური აღრევები. ამ პერიოდის დროს დურუჯის ზემო წელში ჩვეულებრივად უხვი და საკმაოდ ინტენსიური წვიმა იცის. თოვლის საკმაოდ დიდი მარაგი, რომელიც გროვდება წლის ცივ პერიოდში, და საკმაოდ უხვი ნალექები წლის თბილ პერიოდში აპრობებენ სინოტივის დაგროვებას აუზის მაღალ ზონებში, სინოტივის დაგროვება კი იწვევს გამოფიტული ნასლის კიდევ უფრო მეტ დაქუცმაცებას.

მაღალი სინოტივისა და შედარებით ხშირი წვიმების გამო ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურის დღეღამური და სეზონური ამპლიტუდა მნიშვნე-



ლოვანი არ არის ამ რაიონში, ზაფხულში ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა 10°—12° არ აღემატება.

ტემპერატურის დღელამური რყევა, გვალვების ხანგრძლივობა და ინტენსიობა, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ ქანების გამოფიტვის პროცესებისათვის, ამ რაიონში არც იმდენად დიდია, რომ ისინი ჩავთვალოთ ღვარცოფების წარმოშობის ძირითად ფაქტორებად. ეს მოვლენები აქ არ აჩქარებენ ქანების დაშლას ისე, როგორც ამას ადგილი აქვს ალაზნის მარჯვენაპირეთის აუზებში, სადაც ჰავა უფრო კონტინენტურია, ჰაერის ტემპერატურების რყევა დიდია და გვალვებიც უფრო ხანგრძლივი. დურუჯის აუზში ღვარცოფებისათვის უფრო ხელსაყრელია ატმოსფერული ნალექების ხასიათი. ინტენსიური და მოდებული წვიმები თბილ პერიოდში წარმოშობს დიდ ზედაპირულ ჩამონადენს, რომელიც აუზის ციცაბო ფერდობებიდან დიდი სიძლიერით ჩამოეშვება და კალსალური რაოდენობით ჩამოაქვს გამოფიტვის პროდუქტები. ამიტომ თითქმის ყოველი უხვი და ინტენსიური წვიმის მოსვლის დროს მოსალოდნელია ღვარცოფის წარმოშობა. ჩვენ ვთვლით, რომ კლიმატური პირობები დურუჯის აუზში ხელშემწყობია ღვარცოფებისათვის, მაგრამ მთავარი ფაქტორი არ არის, რადგან კლიმატური პირობების გარეშეც ეს აუზი თავისთავადაც ღვარცოფულია. არც ციცაბო და გაშიშვლებული ფერდობები, არც ინტენსიური და უხვი წვიმები და თოვლის სწრაფი დნობა არ გამოიწვევდა დურუჯში ღვარცოფის წამოსვლას, აუზი გამოფიტვისა და ეროზიისადმი განწყობილი ქანებით რომ არ ყოფილიყო აგებული. ჩამოთვლილი ფაქტორები და მათი ურთიერთშეხამება მხოლოდ აჩქარებს და აძლიერებს ღვარცოფულ მოვლენებს. ანალოგიურ კლიმატურსა და ტოპოგრაფიულ პირობებში იმყოფება მდ. სტორის აუზიც. მისი ზემო წელიც სუბალპურსა და ალპურ ზონაში მდებარეობს, მაგრამ ღვარცოფები მისთვის დამახასიათებელი არ არის, რადგან იქ აუზის ამგები ქანები ნაკლებად არიან განწყობილი გამოფიტვისა და ეროზიისადმი.

ამრიგად, მართალია, ყველა ზემოდასახელებული ფაქტორი ღებულობს მონაწილეობას ღვარცოფის წარმოშობაში, მაგრამ მთავარ, წამყვან ფაქტორებად ჩვენ მივიჩნევთ აუზის ლითოლოგიასა და მორფოლოგიას. მნიშვნელოვან როლს ვაკუთვნებთ აგრეთვე ატმოსფერული ნალექების ხასიათს. სხვა დანარჩენი ფაქტორები წარმოადგენენ მხოლოდ ხელშემწყობს.

ცნობილია ის დიდი ზიანი, რომელსაც დურუჯის ღვარცოფი აყენებს სოფ. ყვარელს, რომელიც თითქმის მთლიანად მის გამოზიდვის კონუსზე მდებარეობს. დღემდე ბრძოლა ამ ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესასუსტებლად მიმდინარეობს მხოლოდ მდინარის ქვემო წელში, სოფლის მიდამოებში ბეტონის ჯებირის აშენებით, რაც სავსებით დაყოველთავის არ უზრუნველყოფს სოფლის დაცვას ამ სტიქიისაგან. ზემოხსენებულ ღონისძიებასთან ერთად, საჭიროა ისეთი ზომების მიღება, რომელიც ღვარცოფის ძალას ზემო წელშივე შეასუსტებს.

ზემო წელის ლითოლოგიას, რაც ღვარცოფის მყარი მასალით გაძიდვების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, ხელოვნურად ვერ შეეცვლით და,



მაშასადამე, ვერ შევაჩერებთ ფიზიკური გამოფიტვისა და დამეწვევის პროცესებს. უკანასკნელთა რამდენიმე შესუსტებას შეიძლება მივალწიოთ მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ძოვების აკრძალვით. ყველაზე კარგ შედეგს მოგვცემდა აუზის ფორმის შეცვლა, აუზის სატრანზიტო ნაწილის ხელოვნურად გაფართოებით სათავედან ვიწრობის დასასრულამდე. ეს ღონისძიება უზრუნველყოფდა „ძაბრის“ ფერდობებიდან ჩამოსული მყარი მასალის სისტემატურ გადატანას, გარდა ამისა, ზევიდან წამოსული ღვარცოფის შეგუბებას ადგილი არ ექნებოდა, რის გამოც ღვარცოფის ცოცხალი ძალა ზომიერი იქნებოდა.

ლიტერატურა

1. ბ. ი. ყავრიშვილი, ღვარცოფები მდ. ალაზნის აუზში, თბილისი, 1936.
2. М. С. Гагошидзе, Новый способ борьбы с селями (грязе-каменными потоками): Труды Груз. науч. инст. гидромеханики и мелiorации, сборник 2 (15), Тб., 1951.
3. А. Н. Джавахишвили, Геоморфологические районы Грузинской ССР, АН СССР и АН ГССР, И., 1947.
4. Н. С. Дюрнбаум, Защита населенных мест от грязе-каменных потоков, Изд. Мин. ком. хоз. РСФСР, 1949.
5. П. С. Непорожный, Селевые потоки и мероприятия по защите ГЭС от их вредного действия: Гидротехническое строительство, № 7, 1940.
6. Н. Н. Пыльцов, О внезапных наводнениях и селях в Нухинск. уезде: Изв. Кавк. Отд. Русск. Геогр. о-ва, т. XVII, № 4, 1904.
7. С. Ю. Раунер, Селевые потоки Закавказья и способы их урегулирования: Лесн. журн., № 1 и 2, СПб, 1903.
8. И. И. Рошин, К вопросу о методах борьбы с селевыми потоками и наводнениями в Закавказье: Бюллетень Зак. НИИВХ, № 7, 1931.
9. Резолюция третьей Всесоюзной конференции по изучению селевых потоков Тбилиси, 1952 г.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიადამცოდნეობის კათედრა



Т. Кикилашвили

Основные факторы, обуславливающие возникновение селевых потоков в бассейне р. Дуруджи

Из селевых потоков Грузии самыми мощными и разрушительными являются селевые потоки, имеющие место в бассейне р. Дуруджи. Эти потоки особенно большой ущерб причиняют селу Кварели, расположенному на конусе выносов названной реки.

Выявление основных факторов, вызывающих селевые потоки в бассейне р. Дуруджи, естественно, имеют значительное теоретическое и практическое значение.

Известно, что в формировании селевых потоков принимают деятельное участие следующие факторы: литология (слагающих бассейна пород, морфология бассейна (размер и конфигурация бассейна, густота речной сети и ее характер, уклон склонов ущелий и русла реки, шероховатость склонов и дна ущелий), современные геоморфологические процессы (физическое выветривание, эрозия, денудация, оползни и пр.), климат (характер хода метеорологических процессов, суточное колебание температуры воздуха, интенсивность и количество атмосферных осадков, продолжительность периода засухи и пр.), почвенно-растительный покров.

В предлагаемой работе освещается роль каждого из вышеупомянутых факторов в образовании селевых потоков в исследуемом бассейне.

Литология бассейна. Верховья бассейна р. Дуруджи сложены интенсивно складчатыми и опрокинутыми на юг, а местами почти вертикально стоящими тонкослоистыми глинистыми сланцами и песчаниками. В среднем течении ущелье реки сложено более устойчивыми к эрозии и денудации песчаниками.

Современные геоморфологические процессы. Тонкослоистость и карбонатный характер пород, вертикальное расчленение слоев и наличие многочисленных дислокационных трещин способствуют свободной циркуляции воды и воздуха меж слоев и в глубину. Это обстоятельство благоприятствует интенсивному физическому и химическому выветриванию и образованию оползней. В связи с этим в верховьях р. Дуруджи, в русле реки и на склонах ущелья, из года в год накаплиются в колоссальном количестве продукты разрушения, которые с течением времени претерпевают дальнейшее измельчение и превращаются в твердый материал, необходимый для питания селевого потока.

Морфология бассейна. Воронкообразный бассейн р. Дуруджи состоит из трех ярко выраженных частей: сравнительно сильно



расширенная зона питания, сильно суженная транзитная зона выносов т. н. зона аккумуляции.

Крутые склоны первой зоны характеризуются сильной изрезанностью эрозионными ложбинами, по которым непрерывно движутся в сухое время года продукты выветривания, а во время дождей и таяния снега осуществляется поверхностный сток. Вследствие этого в транзитной зоне реки накапливается твердый материал большой мощности.

Вследствие накопления валунов и камней в сильно суженной части транзитной зоны создается преграда, задерживающая движение потока; напор воды усиливается, разрушается преграда и поток с большой скоростью и живой силой устремляется вниз, увлекая с собой накопленный твердый материал.

Почвенно-растительный покров. Скудность растительного покрова, разрушенность дернины дерна, большая крутизна склонов в верховьях Дуруджи способствуют усилению эрозии и денудации почвенного покрова, ускоряют разрушение и размельчение пород.


Однако мы не имеем основания думать, что селевые потоки не имели места и раньше, когда дернина растительного покрова еще не была разрушена и верхняя граница лесов была гораздо выше, чем в настоящее время.

Поэтому, мы считаем, что растительный покров в данном случае не является основной причиной возникновения селей.

Климатические условия. Климат бассейна р. Дуруджи умеренно влажный. Количество атмосферных осадков во все месяцы года довольно значительно. Дожди носят преимущественно обложной характер в особенности в теплое время года, что благоприятствует образованию селевых потоков. Что касается суточного колебания температуры воздуха и продолжительности засушливого периода, которые имеют особенно большое значение для ускорения процессов выветривания, здесь не так велики, как это имеет место в бассейнах правых притоков р. Алазани, где климат более континентальный.

Таким образом, хотя все выше перечисленные факторы принимают участие в формировании селевых потоков в бассейне р. Дуруджи, но главными, ведущими факторами здесь являются литологический состав пород и морфография бассейна; значительную роль играет также и характер выпадения атмосферных осадков.

Из указанных основных факторов образования селевых потоков в бассейне р. Дуруджи можно рационально изменить лишь морфографию бассейна путем расширения русла транзитной части реки и этим ослабить разрушительную силу селевых потоков в исследуемом бассейне.



გადაეცა წარმოებას 13/VIII-1954 წ. ავტორიზირებულ დასაბეჭდად 27/XI-1954 წ. ტირაჟი 500.
ფე 17227. ასტამბო თაბანი 20. საადრიცხვო-სავაჭროცემლო თაბანი 14,59. შვედეთის № 791.
ფასი 10 მან.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა,
უნივერსიტეტის ქ. 1.

Типография издательства ТГУ имени Сталина, Университетский, 1.